


729 / 2  
969 / 2



# ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՆԱԽԱՆՆԵՐ



1969

2

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

# მოამბე

№ 2 (48)

მარტი—აპრილი

11.1.29



19 თბილისი 69

რედაქტორი — **ერეკია ქარელიშვილი**  
პასუხისმგებელი მდივანი — **გურამ ბათიაშვილი**

---

**სარედაქციო კოლეგია:** დ. ანთაძე, ვ. გოძიაშვილი, ო. ევაძე,  
ნ. გურაბანიძე, დ. მჭედლიძე,  
ბ. ჟღენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციცი-  
შვილი, ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

---

## თეატრი და მისი საბჭო

თეატრის ცხოვრების თავი და თავი მისი რეპერტუარი და სამხატვრო საბჭოა. კოლექტიური სიბრძნე და ტალანტი გამოხატულებას ამაში ჰპოვებს. რეპერტუარის შექმნის, სრულყოფისა და დახვეწის სფეროში სამხატვრო საბჭოს მუშაობა დღეს, როცა მთელი ქვეყანა, მთელი ჩვენი ხალხი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ემზადება, უაღრესად მაღალი მომთხოვნელობაა უნდა იყოს გამსჭვალული.

მასზე მეტი სრულყოფილობით, მაღალი მომთხოვნელობით ვინ უნდა ასწონ-დასწონოს კოლექტივის ინტერესები და შესაძლებლობანი, გაითვალისწინოს მასშტაბი პიესისა, რომლითაც თეატრი ხალხის წინაშე უნდა წარსდგეს? ადრევე ვინ უნდა განჭვრიტოს ნაწარმოები, რომელსაც მოელის საბჭოთა საზოგადოება? აქ აუცილებელია სამხატვრო საბჭოს კოლექტიური გონება. სამხატვრო საბჭოს შემადგენლობაში უნდა იყვნენ მოღვაწენი, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა საბჭოთა ხელოვნების სოციალისტური რეალიზმის ბედის წინაშე.

სამხატვრო საბჭოები მოწოდებულნი არიან შეიგნონ მდგომარეობის მთელი სირთულე. ღირსშესანიშნავ თარიღამდე ერთი წელია დარჩა და აღარ შეიძლება ელოდო იმ უკანასკნელ მომენტს თუ როდის გადაინაცვლებენ პიესები აგტორთა საწერი მაგიდებიდან დამდგმელებთან. ეს რეჟისორებსაც და მსახიობებსაც აიძულებს უაზრო აჩქარებას, რაც დაუშვებელია ისტორიის ამ დიდი თარიღისათვის სპექტაკლების მომზადების შემოქმედებითი პროცესისათვის.

სამხატვრო საბჭო გვერდს ვერ აუვლის ახალი პიესების შექმნისა და დახვეწისათვის ზრუნვას, სამხატვრო საბჭოს ყოველ წევრს ახსოვს, რომ მისი ხმა საბჭოთა საზოგადოებრიობის აზრს გამოხატავს. ეს ხმა პრინციპულად უნდა ეღერდეს.

არ შეიძლება, რომ სამხატვრო საბჭო მხოლოდ შემფასებელი და კრიტიკოსი იყოს. ცხოვრებამ მას მოუწოდა, უწინარეს ყოვლისა, კოლექტიური ორგანიზატორი იყოს. რეპერტუარი სამხატვრო საბჭოს ყოველი წევრის პოლიტიკური, შემოქმედებითი და საქმიანი აქტიურობის სარკეა. აზრთა თავისუფალი, ღრმად პრინციპული გაცვლა-გამოცვლის ატმოსფეროში, მხოლოდ თვითულის პირადი პასუხისმგებლობისა და ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფეროში შეიძლება შეიქმნას ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილებები-პიესები და სპექტაკლები.

ამის გამო უცილობლად ისმის სამხატვრო საბჭოს წევრების ახლო შემოქმედებითი მეგობრობის საკითხი დრამატურგებთან, პროზაიკოსებთან, პოეტებთან, რომელთაც შეუძლიათ ახალი ნაწარმოებები მისცენ თეატრს. ვინ იცის, ამა თუ იმ ქანრის რომელი წარმომადგენელი აჩუქებს თეატრს ახალ, ტალანტიან

აღბეჭდილ პიესას, თუ იგი მეგობრობის გულითად სიტბოს იგრძნობს და თავისი პიესის დახვეწაში სამხატვრო საბჭოს რომელიმე წევრი ან ყველა ერთად დაეხმარება.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ სამხატვრო საბჭოს როლსა და მნიშვნელობაზე რეპერტუარის მომზადების, დახვეწისა და ფორმირების საქმეში, რასაკვირველია. მხედველობაში გვაქვს ტალანტით აღბეჭდილი თანამედროვე პიესა, სოციალისტური რეალიზმის ნაწარმოები, რომელიც საბჭოთა ადამიანს, თანამედროვე გმირს გვიჩვენებს ყოველივე იმასთან კონფლიქტში, რაც ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ხალხის წინსვლას კომუნისტური მომავლისაკენ. სამხატვრო საბჭო, ყოველი წევრის სავატიო მოვალეობაა მონახოს, „აღმოაჩინოს“ პიესა, გამოიჩინოს ჭკუმაღრიტი დაინტერესება, მომთხოვნელობა და კიდევ ერთხელ მომთხოვნელობა. ავტორთან მუშაობაში, მხატვრულად დასრულებული, მაყურებლისათვის ამდღევებელი სპექტაკლის შექმნისათვის შემოქმედებით მუშაობაში.

და აი, სპექტაკლზე მუშაობა დამთავრდა, იგი უკვე მიიღო მაყურებელმა და წარმატებაც მოიპოვა. ეს არის ზეიმი, დღესასწაული! მაგრამ დღესასწაული და ზეიმი სამხატვრო საბჭოს წევრებს სრულიადაც არ აძლევს იმის უფლებას, რომ თვითდამშვიდებან მისცენ თავი.

დამთავრებულია განა მუშაობა შემდგომ პიესაზე? როგორი იქნება სპექტაკლი? კარგად ვანაწილდათუ არა როლები? როგორ მიდის რეპეტიციები?

ვინ იზრუნებს იმაზე, რომ სპექტაკლმა, რომლის პრემიერაც ჩატარდა, შეინარჩუნოს მარადიული ახალგაზრდობა! მაყურებელს ხომ არ სურს ანგარაში გაუწიოს იმას, თუ რომელ სპექტაკლზეა იგი: მესხეთეზე თუ მეორმოცდაათეზე? ამ შემთხვევაში მაყურებელი მართალია, იგი ჩვენს გაზეთშიც ხშირად წერს, სანართლიანად მოითხოვს: „ყოველდღე პრემიერა უნდა იყოს“.

ვინ იზრუნებს იმაზე, რომ ახალი შემართულებლები შევიდნენ კარგა ხნის წინათ დადგმულ სპექტაკლში, რაც მუდამ რთული და სავსაუხისმგებლოა...

თეატრი შეუხელებელი მოძრაობით ცხოვრობს, იგი ისწრაფვის ცხოვრების სრულყოფისათვის—უამისოდ იგი არც არის თეატრი: შემოქმედებითი კოლექტივი, რომელიც ყოველდღიურად წინ არ მიდის, უღმობლად იხვევს უკან.

მხოლოდ წინ და მაღლა, წინ და მაღლა!

მართალია, თეატრის მთელ მოღვაწეობაზე ზრუნავს მთავარი რეჟისორიც, დირექტორიც და თავისი საქმის მრავალი სხვა ოსტატიც, მაგრამ დასაწყისში ტყუილუბრალოდ როდი ვსთქვი, რომ სამხატვრო საბჭო თეატრის კოლექტივის ტალანტისა და სიბრძნის თავიდათავიაო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელოვნება ეძახის მას, თავისი ათასი მოვალეობიდან არც ერთი არ დაივიწყოს, მუდამ იყოს შთაგონებული და შთამაგონებელი, მომთხოვნი და მკაცრი. მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს თეატრის სინდისი!

გაზეთ „სომხმსახიბი კულტურა“, № 37.

27 მარტი, 1969 წელი.

# თეატრის საერთაშორისო დღე

## ზ ა ი ო ზ ი ა კ ა ვ ე მ ი ლ ი

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე

იუნესკოსთან არსებულმა თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის ვენის კონგრესმა გამოსთქვა სურვილი, რომ „წელიწადში ერთხელ დედამიწის ადამიანებმა ყველა ენაზე აღიღონ თეატრი, როგორც ცხოვრობობის საყოველთაო გამოხატულება“. ეს სურვილი დღესაც საფუძვლად დიდ საცაცობრიო საქმეს დაწესდა მსოფლიო თეატრის დღე — 27 მარტი. დედამიწის ხუთივე კონტინენტის მოწინავე თეატრების ქურუმნი საქმიან ვითარებაში აღნიშნავენ ამ თარიღს. ჩვენთვის, საბჭოთა თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთათვის განსაკუთრებით ძვირფასია თეატრის საერთაშორისო დღე, რადგან „თეატრი, როგორც ურთიერთ გაგებისა და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საშუალება“ უშუალოდ ეხმარება კომუნისტური შედეგების ხალხის დიდ იდეალებს.

საბჭოთა თეატრი ცხოვრებისეული თეატრია. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხთან და თავისი ხელოვნებით ხელს უწყობს ჩვენი საზოგადოების განვითარებას. მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას, ხალხთა ურთიერთ დაახლოვებას.

„რად გვიჩნდა ენის ცოდნა, როცა ვგრძნობთ სულს.“ — ეს ფრაზა ჩაიწერა კონსტანტინე სტანისლავსკიმ ამერიკაში სამხატვრო თეატრის პირველი განცხადების დროს. ასეთი ფრაზა ისმოდა ყველა იმ ჩვეყანაში, სადაც კი საბჭოთა თეატრი თავის ხელოვნებას უჩვენებდა. ეს კანონზომიერებაა, რადგან საბჭოთა თეატრი მსოფლიოს ხალხებს ელაპარაკება მალალი პროზოციებიდან მათთვის სავსებით გასაგებ ენაზე. ამი-

ტომ ჩვენი თეატრი საყოველთაოდ აღიარებულია როგორც რევოლუციური, რომანტიკული და ოპტიმისტური თეატრი, როგორც ყველაზე პროგრესული და ყველაზე იდეური თეატრი.

მიმდინარე წელს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასკომის გადაწყვეტილებით ეს დღე მთლიანად ეძღვნება ახალგაზრდობის საკითხს. ეს გარემოება განაპირობა იმან, რომ თეატრალური ხელოვნების პროგრესიული მოღვაწენი შეშფოთებას გამოსთქვამენ იმს გამო, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ახალგაზრდობა კარგავს ინტერესს ხელოვნებისადმი, რაც უარყოფითად მოქმედობს მათ სათანადო აღზრდა-ჩამოყვლიბებაზე. ამ მხრივ თეატრს ბევრის გაეხეთება შეუძლია.

თეატრის ახალგაზრდა შემოქმედთა რეკომენდაციებს, მსახიობებს, დრამატურგებს ბევრის გაეხეთება შეუძლიათ იმასათვის, რომ თეატრმა მტკიცედ დაიმკვიდროს თავისი ადგილი ახალგაზრდობის სულიერ ამაყარაში. ხელი შეუწყოს მათში ესთეტიკური იდეალებს ფორმირებას. საბჭოთა თეატრი ამ მხრივ იდეალურ მდგომარეობაშია, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის, ახალგაზრდობის ცხოვრებასთან, ის მათ წინაშე მომავლის ნათელ პერსპექტივებს ხსნის. ჩვენთან თეატრი ცდილობს, რაც შეიძლება სრულყოფილად დააკმაყოფილოს ახალგაზრდა მკაყორებლის გაზრდილი მოთხოვნილებანი.

საბჭოთა თეატრალური ხელოვნება თავისი ისტორიის მანძილზე ყოველთვის ეყრდნობოდა ახალგაზრდებას. გაბედულად აწინაურებდა მათ.



თეატრალური ხელოვნების ტიტანები სტანისლავსკი და ნემიროვიჩი-დანიენკო, ვახტანგოვი და მარჯანიშვილი, მიეიერხოლდი და ტაიროვი თავიანთ ყოველ წამოწყებას ახალგაზრდობასთან მჭიდროდ, კავშირში ანხორციელებდნენ; ამავდროს იყვნენ მათი აღიარებული მასწავლებლები და აღმზრდელები. მხოლოდ ის ფაქტი, რომ კ. ს. სტანისლავსკიმ თავისი საყოველთაოდ ცნობილი სისტემა ახალგაზრდობთან ერთად შექმნა, ბევრის მეტყველია.

როგორც კოტე მარჯანიშვილმა, ისე სანდრო აბმეტელიმ დიდ მიღწევებს, — თავიანთ შემოქმედებითს ზენიტს ახალგაზრდა ძალებით, მათთან ერთობლივ შემოქმედებითი მოღვაწეობით მიაღწიეს; დღესაც ქართულ თეატრში საპატიო ადგილი ახალგაზრდებს უკავიათ, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, რუსთაფისა და ახალციხის თეატრები თითქმის მთლიანად ახალგაზრდა ძალებითა და კომპლექტირებული.

თეატრალურ ახალგაზრდობაზე ჩვენი პარტიისა და მთავრობას დიდი ზრუნვის ნათელი გამოხატულება გახლდათ აგრეთვე საქართველოს სსრ კულტურის

სამინისტროს, საქართველოს კულტურის, კომიტეტის, კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტისა და თეატრალური საზოგადოების მიერ ჩატარებული ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი თეატრალური ფესტივალი, რომელიც ახალგაზრდა შემოქმედ ძალთა მიღწევების ნამდვილ დემონსტრაციად იქცა.

ახალგაზრდობა ჩვენს თეატრებში არა მარტო შემოქმედითი ძალაა, არამედ მაცურებელთა ძირითად ბირთვსაც შეადგენს. საბჭოთა ახალგაზრდობას უყვარს თეატრი, იგი აქ პოულობს თავის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ნათელ პასუხს თავის იდეურ მისწრაფებებზე.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის თეატრალური ახალგაზრდობა გაცხოველებით ემზადება დიდი ბელადისა და ახალგაზრდობის მასწავლებლის ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილესთან. მთელ თავიანთ ნიჭს, ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას ისინი მოახმარენ იმას, რომ ამ დიდ თარიღს შესაფერისი მიღწევებით შეხვდნენ.

## თეატრის დღისადმი მიძღვნილი სტომა

27 მარტს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, კულტურის სამინისტროსთან ერთად, აღნიშნა თეატრის საერთაშორისო დღე. თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სტომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დოღია ანთაძემ. თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ოთარ ევაძემ.

სიტყვები წარმოსთქვეს: საქართველოს სახალხო არტისტმა დიმიტრი მჭედლიძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გივა

ლორთქიფანიძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სერგო ჰელიძემ, ეურნალ „თეატრის“ განყოფილების გამგემ გ. შჩერბინამ და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა გ. ბოიჯიეშმა.

დასასრულს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ია გამრეკელმა სიტყვები და საჩუქრები გადასცა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკის თეატრების დათვლიერებაში გამარჯვებულ მსახიობებს, რეჟისორებსა და მხატვრებს.

## ილია ჭავჭავაძე „სამშობლოს“ ნარმოცენაზე

ხალხს უთქვამს „დროულად თქმული სიტყვა საქმის ნახევარს უდრისო“. — სწორედ „დროულად“ ნათქვამი სიტყვაა იყო დ. ერისთავის პატრიოტული დრამა „სამშობლო“ მე-19 საუკუნის 80-იანი წლებისათვის, იმ პერიოდისათვის, როცა ჩვენს საზოგადოებას განსაკუთრებით სჭირდებოდა ისეთი ნაწარმოები ეხილა ს(კენაზე), რომელიც ღრმად ჩაწვდებოდა მის გულს და უაღრესად გამახვილებულ და შეღახულ პატრიოტულ გრძობას დაუკმაყოფილებდა, აწმყოზე ჩააფიქრებდა და მომავლის იმედს გაუღვიძებდა. ეს კი შესანიშნავად შეძლო დ. ერისთავის „სამშობლო“.

პიესის მთავარ გმირს სვიმონ ლეონიძეს ჩვენს ს(კენაზე ისეთი შესანიშნავი შემსრულებლები ჰყავდნენ, როგორებიც იყვნენ ვ. ყიფიანი, ვ. გუნია, ვ. გამყრილიძე.

ამ უკანასკნელს ილია ჭავჭავაძემ საგანგებო წერილიც კი უძღვნა — „ბ-ნი გამყრილიძე სვიმონ ლეონიძის როლში“, სადაც მისი თამაშით აღტაცებული დიდი პოეტი წერდა: „მისი თამაში ამ შემთხვევაში თვით ბუნება იყო. არაფერი მეტი, არაფერი ნაკლები, თავიდან ბოლომდე ერთნაირად, თანასწორად, ფრთხილად და ცოლნით, ნამდვილი გმირის ბუნების შეუბღალავად გაატარა თავისი როლი“.

საინტერესოა, რა ვითარებამ გამოიწვია ილიას ეს წერილი. ამის შესახებ თვითონ მსახიობი ვიქტორ გამყრილიძე ფართე საზოგადოებისათვის უცნობ თავის მოგონებაში „ნაწყვიტი წარსულიდან“ მოგვითხრობს:

„1892 წელს მხოლოდ იანვრის გასულს ჩამოვიდი თბილისში, სეზონში არ ვიყავი, რადგანაც ვერ მოვრიგდით. ქართულ ს(კენაზე „სამშობლოში“ სვიმონ ლეონიძის როლს სულ მუდამ კოტე ყიფიანი ასრულებდა. მისი თბილისში არ ყოფნის დროს, ე. ი. 1892 წ. „სამშობლო“სათვის“ რეჟისორმა ნ. ავალიშვილმა მე გამომიძახა რასაკვირველია, დავთანხმდი. სახლში რომ დავბრუნდი, ვალ. გუნიას რეჟისორისათვის გული შევიცვალა:

მაგ როლის შესრულებას გამყრელიძე ვერ შეძლებსო. — ისევე მე ვითამაშებო. რეჟეტიციოზე რომ მივედი, — დიდი ბოდიშით დადიანის როლი მომცეს. მე უჩუბრად დავთანხმდი, გულში კი გავეფიქრე: „როდისმე ჩამივარდება ეს როლი ხელში და გაჩვენებო, როგორც უნდა თამაში-მეთქი“. მართლაც 1892 წ. დიდ მარხვაში ქართულ დასს სათავეში ჩაუდგა მაცო საფაროვი — მისი ანტერპრიზა იყო. დააპირა სამშობლოს დადგმა. მითხრა: ვიქტორ, იმათ ხომ არ განდეს ეს როლი — მე გაიდობი და, აბა, შენ იციო. სიხარულით ვიკისრე. გათენდა წარმოდგენის დღეც. მე ძალიან ველიავდი.

წარმოდგენის ღამეს ილია ჭავჭავაძეს და ნიკო ხიზანიშვილს მოეწადინებიათ „სამშობლოზე“ მოსვლა. საზოგადოთ, ილია ძალიან იმეოათაუ დაიარეზბოდა თეატრში. მოვიდნენ, გაიხადეს პალტოები და შევიდნენ ლოჯაში, როცა გაიგეს, რომ სვიმონ ლეონიძეს როლს კოტე ყიფიანის მაგივრად მე ვასრულებდი, ილიამ მამინევი მოითხოვა პალტო და დააპირა უკან გაბრუნება. ხ. ხიზანიშვილმა შეაჩერა: „დაიცა კაცო, პირველი მოქმედება ენახოთ და თუ არ მოგეწონა, მაშინ წავიდეთო“. აიხადა ფარდა, გამოვიდი ს(კენაზე. დავიწყე თუ არა — ილიამ ჭერ ერთი სახელო გაიხადა. მეტი მთლად გაიძრო პალტო და ბოლომდის გულმოდგინეთ მოისმინა, რაც იშვიოთი იყო მის ცხოვრებაში. რამდენად ნასიამოვნები იყო ილია. იმაზე შეიქცო, რომ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ თეატრიდან არ წავიდა. ვიდრე კადევი არ გამომიძახეს ს(კენაზე, თუმცა მეხუთე აქტში სრულებით არ ვიყავი. მეორე დღეს გზაში შემხვდა ნიკო ხიზანიშვილი და მითხრა: „ილია დიდად აღტაცებულია შენი თამაშით და ვრ(კულ რეკვიზიასაც წერსო“.

### ლამარა ღონდაძე

თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, შალვა დადიანის სახელობის სტაპენდიანტი.



# ქართული თეატრის მემობარი

მიხეილ ჰიაშრავლი

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

1908 წლის ზაფხული. ჩემი დედი-სეული სტეფლი დიღომი. მაშინ 14-15 წლისა ვიყავი. იქაურმა ახალგაზრდობამ თეატრი ჩამოვაყალიბეთ; ვდგამდით ისეთ სერიოზულ პიესებს, როგორც არის ა. ყაზბეგის „არსენა“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. ყველა ძირითად როლებს გლენობდა თამაშობდა. როგორ უყვარდათ თეატრი! როგორ ეხერხებოდით თამაში! აი, სწორედ ამ პერიოდში შეგვხვდა და დავეუმიჯობრდი სოსო გრიშაშვილს. ხალხი უკვე იცნობდა ახალგაზრდა პოეტს, სოსო თვითონ კითხულობდა თავის ლექსებს და თავისსავე პიესა „ტიმოთის ლელეში“ ახალგაზრდა მსახურის როლს თამაშობდა, თამაშობდა ისე ნიჭიერად, რომ ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. ყოველთვის, როდესაც რაიმე ღონისძიება იმართებოდა და აფიშები გვაუწყებდა, რომ საღამოს დასასრულს სოსო გრიშაშვილი თავის პიესაში ითამაშება, დარბაზში ტყვა არ იყო, ხალხმრავლობას საზღვარი არა ჰქონდა.

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ. სოსო დიდი პოეტი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე გახდა. მაგრამ თეატრის სიყვარული მასში არ განელეზულა. თავდავიწყებით იყო შეყვარებული თეატრზე და დიდი ამაგიც დასდო მას. დღეს ეს ყველასათვის ცნობილია.

როგორ უყვარდა სოსოს დიღმის საღამოების და მის მიერ წაკითხული ლექსების გახსენება!

გავიდა წლები და სოსო სტალინური პრემიის ლაურეატობაზე წარადგინეს. მე მაშინ ამ პრემიის კომისიის წევრი ვიყავი და თავგამოდებით ვიბრძოდი, რომ მას მიეღო ეს დიდი ჯილდო. უკანასკნელი ტურის წინ შემთხვევა მქონდა მესაუბრა ი. ბ. სტალინთან და გავბედე მიხთხოვნა მხარი დაეჭირა ჩემი კანდიდა-

ტურისათვის. ი. ბ. სტალინმა გაიცინა და მითხრა ძალიან ბევრი ლექსი აქვს სიყვარულზე და ქალებზე. მისი მეტოქენი კი ჩვენს დღევანდელ ყოფაზე სწერენ და კარგადაც. სტალინს სოსოს უკანასკნელი ლექსები წაკითხული არ ჰქონდა.

მოვებნე საჩქაროდ გრიშაშვილის უკანასკნელად გამოცემული კრებული, ამოვხიე ბოლოდროინდელი ლექსები და როდესაც საამისო შემთხვევა მომეცა სტალინს წავუკითხე. სტალინმა გაიღიმა და მითხრა, მაღე გაიგებ შენი გრიშაშვილის ამბავსო. ეს უბრალოდ ამოვლეჩილი ფურცლები გამომართვა და გიბუში ჩაიღო. ჩემდღე გავიგე, რომ კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც მე ვერ დავესწარი, სტალინი თურმე გრიშაშვილის კანდიდატურას იცავდა და ვერ ფარავდა თავის აღფრთოვანებას.

სოსო გრიშაშვილმა დამსახურებულად მიიღო ეს მაღალი ჯილდო. ყველას გვახსოვს როგორ დიდ სიხარულს იწვივდა ყველგან სოსო გრიშაშვილის მარტო გამოჩენაც კი. ხალხს უყვარდა, უსაზღვროდ პოპულარული პოეტი იყო. როცა ის თავის ლექსებს კითხულობდა, პირდაპირ შეუდარებელი იყო. ვერ გავიგებდი მღეროდა თუ კითხულობდა. მის საოცარ მედიდურ ინტონაციაში ვხედავდი ძველ თბილისს. მესმოდა შესანიშნავი მშობლიური ჰანგი. სოსოს მიერ წაკითხული ლექსი უდიდეს მღელვარებას იწვივდა.

მაგონდება მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები. ახლაც თვალწინ მიდგას დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომით მოღლილი, თითქმის დაფერფლილი, სრულიად დამწვარი, დადალული, მაგრამ დამწვარი ტკბილად, დამწვარი ბედნიერად. სხვაგვარად წვა უაღრესად ნაჰკერ ადამიანს, ალბათ, არ შეეძლო!

# ქართული ლექსის დიდოსჯავი

## იკამია ქარაღიზილი

იოსებ ბრიშაშვილი, რომლის დაბადების ოთხმოცი წლისთავიც ასე გულთბილად აღნიშნა ქართველმა ხალხმა, განსაკუთრებული მოვლენა იყო მეოცე საუკუნის ქართული მწერლობისა, კერძოდ ქართული პოეზიისა. სამწერლო სარბიელზე გამოსვლისთანავე მისმა დიდმა ტალანტმა უმაჯალითო პოპულარობა და მკითხველის უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურა.

ათეული წლების მანძილზე იგი თავისი მადლიანი ქართული სიტყვით, ოსტატური შედარებებით, ქართულ ჩუქურთმასავით ჩამოქნილი სახეებით, დახვეწილი და ორიგინალური რითმებით, განცდების სიმდიდრითა და ფერთა მშვენიერებით, მართალი და მომაჯადოებელი ემოციებით დაპყრობილი ჰყავდა არა მხოლოდ ფართო მკითხველი საზოგადოება, არამედ ლიტერატურული სამყაროც.

ცნობილია, რომ დიდი აკაკი და დიდი ვაჟა მოხიბლული იყვნენ გრიშაშვილის პოეტური ნიჭის სილამაზითა და სითამაშით, სილადითა და სიფაქიზით. მის სტრაქონებზე თავიდანვე თავლის სანთლის სისპეტაკე და დამატებობელი სურნელება დაჰყავდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საუკუნის ათიან წლებში გრიშაშვილის ლექსის ატმოსფერო იდგა და ამ ატმოსფეროს გავლენას მრავალი დიდად ნიჭიერი ახალგაზრდა განიცდიდა. გრიშაშვილი ერთი პირველთაგანი იყო იმ მგოსანთა შორის, რომელთაც მეოცე საუკუნის ქართული ლექსის კულტურა ამაღლებს და

უკეთესი ძიების მძლავრი მოძრაობა წარმოშვეს. შემთხვევითი როდი იყო, რომ ჩვენი საუკუნის გამოჩენილმა მესიტყვემ გალაკტიონ ტაბიძემ თავისი ახალგაზრდობის წლებში ოთხი ლექსი მიუძღვნა გრიშაშვილს.

აი ერთი მათგანი:

მეგობარო! შენ ვინახავს  
მღუმარ ტბაზე ხის ფოთოლი,  
ტბა ნანას რომ უძღვროდა,  
გამჰვირვალე, როგორც ბროლი?  
მთის ნიავმა ხის ფოთოლი  
ააცალა ზვირთთა ცემას,  
აქ გაშალა და ზედ ლერწმით  
სედიით სავსეს ვწერ პოემას.  
პოეზიის წმინდა ცრემლი  
და ნაყოფი ფიჭრთა მცირე —  
შენ მოგიძღვენ, მეგობარო,  
შეიწირე, შეიწირე!

მხოლოდ გალაკტიონმა კი არა, ცისფერყანწილების თავმა პოეტმა ტიცინამაც თავისი ერთი უსაყვარლესი ლექსი „მედლეა“ გრიშაშვილს მიუძღვნა, ალექსანდრე აბაშელმა სოსოსადმი განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა სიკვდილამდე შეინარჩუნა, გრიშაშვილზე საუბარი სიამოვნებებს ანიჭებდა და აღნიშნავდა, რომ სოსომ ჩვენს პოეზიაში ადრე-დანერგე საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა და მის თავისთავადობას დრო და ჟამი ვერ შეარყევსო. ყველა ჭეშმარიტი პოეტი, ბელეტრისტი და კრიტიკოსი, მეცნიერი და ჩვეულებრივი მკითხველი ერთსულოვნად აღიარებდა, რომ გრიშაშვილმა თავისი ბრწყინვალე ლექსებით არა მხოლოდ დაამშვეს, არამედ გაამდიდრა კიდევ ქართული პოეზია.

ეს საყოველთაო სიყვარული მგოსანისა მშვენიერად გადმოგვცა ხალხის გულის ჭეშმარიტმა მესაიდუმლემ გიორგი ჭეჩინავილმა:

სოსო!  
რა თოვლი მოსულა!  
რა შექთა სინახახეა!  
ეს ფიფქთა თეთრი გვირგვინი  
ცამ შენთვის ჩამოახია!  
სოსო!  
რა ყველას გულში ხარ!  
რა ყველგან შენი აახლია!  
ტაშატყორცნილი ტალღები  
გაეკატურ ვაშას გახლიან!

გრიშაშვილი იყო ქართული სიტყვის დიდი ხელოვნოვანი. იგი მთლიანად გრძნობდა ქართული სიტყვის სტიქიას და იშვიათი ძალით განგაცდევინებდა მის სილამაზეს. უფრო მეტიც, თავის დროზე სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ „ქართულ სიტყვაში მან აღმოაჩინა ახალ-ახალი სილამაზე“.

გიორგი ლეონიძე, ერთბაშეობდა რა განსვენებულ პოეტს, ამბობდა:

„გვშორდება დიდი ნიჭის პოეტა, გულში აღმოკიდებული, ქართული ლექსის მეჩუქურთმე, დამამშვრალი მოღვაწე, სპეტაკი, კეთილშობილი, დიდად პრინციპული, თავაზიანი, მორიდებული, მოალერსე ადამიანი, ქართული სიტყვისა და მწერლობისათვის თავდადებული რაინდი... მან მტკვრის ლურჯი ზვირთების ლივლივიდან წმინდა აღმასები ამოკრიფა და მით გაამდიდრა ჩვენი პოეზიის სალარო“.



ბრიშაშვილის პოეზია ქართული კლასიკური მწერლობისა და ფოლკლორის ტრადიციებზე აღმოკენდა. თავისი ბუნებით, თავისი შინაარსით, თავისი მაცოცხლებელი მოტივებით იგი უაღრესად ეროვნული პოეტი იყო. მას აძლევდა, სევდასა და სიხარულს ჰკვირდა, აღაგზნებდა და აღაფრთოვანებდა ხალხის სიხარული და მწუხარება. იგი თბილისის გამორული ტრადიციების, პატრიოტული ტრადიციების თბილისის ტრუბადური იყო, მაგრამ თბილისის გულისცემაში მთელი საქართველოს გულისცემა ესმოდა. მას უყვარდა არა მშვიდი და კმაყოფილი თბილისა, არამედ მშფოთვარე და მოუსვენარი

თბილისი, რადგან „ირაკლივით მუდამ მშფოთვარე თბილისში“ ქართველი ხალხის დაუკმაყოფილებელი სულის აღმაფრენას შეხაროდა.

პოეტის მხატვრულ წარმოსახვაში თბილისი იგივე მთელი საქართველოა თავისი მზითა და მთელით, თავისი ციათა და მიწით:

საქართველო ბეჭედია ბავალღო,  
და თბილისი — შიგ ჩასმული ბადღში.  
გავსკვრ არეს უხინჯოს და უნადლოს,  
წერათელის დინჯ შებღვივთ გადამოღოს,  
ასეთი ცა მე ჯერ არსად მინახავს!  
ასეთი მზე მე ჯერ არ შემხვედრია!  
ეს ჩუქურთმა ჩამოსხმული ინახად  
თავისუფალ საქართველოს ხვედრია.

გრიშაშვილის თბილისის სიმღერებში სამშობლოს სადიდებელი ჰიმნი მოისმოდა, სამშობლოსი რომელიც თავისუფლებისათვის იბრძოდა: სამშობლოს თავისუფლება პოეტის უმაღლესი იდეალი იყო. რადგან სამშობლოს თავისუფლების გარეშე ადამიანის თავისუფლება ვერ წარმოუდგინა. გრიშაშვილის მთელი პოეზია ადამიანის მადიდებელი სიმღერაა. იგი შთაგონებით უმღეროდა სიუკარულს, რათა ადამიანი, მთელი საზოგადოება ბედნიერი, ხოლო ცხოვრება უფრო ლამაზი და მშვენიერი ყოფილიყო. პოეტის კონცეპციით ცხოვრება მშვენიერია მაშინ, როცა ადამიანი ბედნიერია.

მაღლი გრიშაშვილის პოეტური ნიჭისა კიდევ იმაში გამოიხატა, რომ იგი არ შეჩერებულა ტრადიციებზე. ტენდენციური მკვლევარები ცალმხრივად სჭირებენ მისი პოეზიის ხასიათს და მეტად ვიწროდ წარმოიდგენენ გრიშაშვილის პოეზიის დიპაზონს. სიტყვის ეს ჯადოქარი, რომელმაც ლექსს თავისებური ენა და ჯავარი მისცა, ზედმიწევნით გრძნობდა ევროპიდან მონაბერი პოეტური სიოს სიახლეს. გრიშაშვილის ლექსი შინაარსითაც და ფორმითაც ახალი იყო და ეპოქის პოეტური მოღწევების სიმაღლეზე იდგა. სხვაანაირად იგი ვერც მოახდენდა იმ დიდ შთაგონებასა და ზეგავლენას ქართულ პოეტურ ახროვნებაზე. რასაც მთელი ათეული წლების მანძილზე ახდენდა.



გრიშაშვილის შემოქმედებითი დიპლომატიის ფართო და მრავალფეროვანია. ტიციან ტაბიძის სიტყვებით რომ ესტყვით, იოსებ გრიშაშვილმა უბადლოდ თარგმნა ოვანეს თუმანიანის ნაწარმოებები. ამ თარგმანებში გამომსახველობით უშუალოდ ასა და მალა პოეტურ დონესთან ერთად დაცულია დედანთან ზედმიწევნით სიახლოვე, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა პოეტურ თარგმანებში. აზერბაიჯანულიდან მან თარგმნა მირზა ფატალი ახუნდოვის პოემა და ეს თარგმანი, სპეციალისტების აზრით, თავისი მხატვრული ღირსებით დიდ მეტოქეობას უწევს დედანს.

გრიშაშვილი მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე და ბრწყინვალე მკვლევარი-მეცნიერი იყო. მისი ნაშრომები გამოირჩევიან საგნის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით, ანალიზის მეცნიერული სიზუსტით. აქ საკმარისია გავი-

ხსენოთ თუგინდ მისი მხოლოდ რამდენიმე ტალური გამოკვლევები საიანდრე ალექსანდრე ჭავჭავაძეზე. ძველი თბილისის პოეტურ მემკვიდრეობაზე, რუსეთ-საქართველოსა და საქართველოსა და უკრაინის კულტურულ ურთიერთობაზე, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ მეცნიერულ ღირებულებასა და აქტუალობას.

იოსებ გრიშაშვილმა მეტად დიდი ამაგი დასდო ქართულ თეატრსაც. თეატრში პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად, მან მრავალი შესანიშნავი ნარკვევი დაგვიტოვა ქართული თეატრის ისტორიის საკითხებზე და ქართული თეატრის ცალკეულ გამოჩენილ მოღვაწეზე.

იოსებ გრიშაშვილის სახელი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ამაყად ჟღერდა. სიკვდილის შემდეგ მისი სახელი უფრო მეტი დიდებით შეიმოსა და მან ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი თავფუძველი დაამშვენა.

## სახა ამირაჯიბი ოთხმოცი წლისაა

დავით ჩხაიძე

ქართული თეატრი იშვიათად არ განიცდიდა მსახიობ ქალთა ნაკლებობას. ამის პირველ მიზეზად ქართველი ქალის კდემამოსილებას ასახელებდნენ. მაგრამ იყო სხვა პირობებიც, რომელთაც არანაკლებ აფერხებდა მათს დაახლოვებას თეატრთან.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დამდეგსაც კი. შექლებული ქართული ოჯახები ამჯობინებდნენ განათლებას, განსაკუთრებით საშუალო და უმაღლესი, მხოლოდ ვაჟებისათვის მიეკრძაო.

საბედნიეროა, რომ ასეთი მოსახრებისა არ აღმოჩნდნენ ერთი უწყვარღესი ქართველი ქალისა და მსახიობის (ვაკა ამირაჯიბის დედ-მამა სოფიო და გიორგი ამირაჯიბები, ისინი სხვა რაგად აზროვნებდნენ.

„რა ქალი, რა ვაჟი, განა ორივე შვილი არ არისო“, იტყვოდნენ თურმე.

შრომისმოყვარე და დემოკრატიულად განწყობილი გიორგი დიდად განსხვავდებოდა სხვა დიდგვაროვანთაგან. იგი გლეხებთან ერთად ხნავდა, თესდა, მკიდა, ზრდიდა შინაურ ცხოველებს, ამყნობდა და რგავდა ვაშლსა და ვახს. თავისი სოფლის და ქალაქის საზოგადო საქმეებსაც არ ერიდებოდა. მის მუყყათობას და კეთილსინდისიერებას მთელ ქართლში იცნობდნენ. აქ მარტო ზნეობაზე როდი იყო საქმე. გიორგის ჭირდებოდა გარჯა და არც თავილობდა. შვილები რომ წამოეჩიტნენ, ქალები იყვნენ ისინი თუ ვაჟები, ყველას განათლება მიადებინა და ალალი შრომა შეაყვარა.

ახალგაზრდა ამირაჯიბები სწავლაში დიდად ბეჯითები აღმოჩნდნენ. გაკვეთილებს შეუსწავლელს არ გაუშვებდნენ. ამის დამატებით ქართულ ჟურნალ-გა-

ზეთებსაც ეწაფებოან და თუ ახალ რომელიმე გამოცემას ჩაიკვებდნენ ხელში რუსულად ან ქართულად. მაშინვე თავიდან-ბოლომდე წაიკითხავდნენ. არც სკოლაში წაეკლახე გალიძება ჭირდებოდა რომელიმე მათგანს. ტოროლებსაც კი დილით ადრე წამოიშლიდობდნენ ლოგინიდან. გაკვეთილებს ჩაიკითხავდნენ და ვინ გომნაზისაკენ, ვინ ეპარქიალურ სსსწავლებლისაკენ გაუდგებოდა. მასწავლებლებიც მოხიბლულები იყვნენ ახალგაზრდა ამირაჯიბებით.

განსაკუთრებით სრულყოფილად დავიფლა (ვაკა ქართულ, რუსულ, ფრანგულ ენებს. ამ ენებზე თავისუფლად წერდა, კითხულობდა. საუბრობდა.

გაიგლის დრო და როცა მოსკოვში ხალიუტინას ქალი (ვაკასაგან გამოცდას ჩიბარებს, მისი ბრწყინვალე რუსულით გაოცებულნი შეეკითხება:

— თქვენ სუფთა ქართველი ხართ თუ არა?

— დიას, სუფთა ქართველი გახლავართ!— მიუგებს (ვაკა პეშკინის ენაზე.

(ვაკა თავიდანვე ცხოვრების დიდ ცოდნას ამჟღავნებდა, ბავშვობიდანვე ხალხში ტრიალებდა და მის ავკარგს ღრმად აკვირდებოდა.

გიორგი ამირაჯიბის სამკვიდრო, სოფილი წაღვლი ქართლ-იმერეთის საზღვარზე მდებარეობდა ხაშურთან ახლო. წაღვლში ენახლა გიორგის მამა დარისპანი. ამ სოფლის სტუმრობა დარისპანას შვილიშვილებს ძლიერ უყვარდათ, თუ (ვაკა არცერთი იმათგანი იქ არ დაბადებულა. განსაკუთრებით შეუყვარდა წაღვლი (ვაკას. ლიხთ იქით ხშირად წვიმდა, ლიხთ აქით (ვაკასაკისებული იყო ხოლმე და მზიანში თუ მთვარეანში გოგონას მხერას იტაცებდა ცისარტყელები.

გიორგის მეუღლე მალალაშვილის ქალი იყო. მან ქმარი მამასთან არ გააჩერა და ზედ სიძვე წაიყვანა თავის მშობლებთან სოფელ ხურვალეთში (გორის რაიონი). ეს სოფელი ტირიფონის ველზე მდებარეობს. გაზაფხულზე მწკაპნით იმოსებოდა, ზაფხულის დამლევეს ყვირთელ-წითელი ფერი გადაჰპროდა, ხოლო შემოდგომაზე გუთნით ამობრუნებული შავ ხავერდა გამსავსებოდა.

ბევრი ამ მინდორს ადრე მხურვალეთის მინდორსაც ეძახდა. XX საუკუნის ოციან წლებში აქ სარწყავი არხი გაიყვანეს, და ახლა ამ ადგილების შესახებ დამოკიდებული სულ სხვაა.

აქ ხურვალეთში 1888 წელს აახილა თვალი ცაცამ და სწორედ აქედან უყვარდა ზაფხულობით წალღვში დაჩარდახებული ყრმით გამგზავრება. სამ წლიან ნიკოლა და კუდიანდა ზაქებს შეუბამდნენ ურემში, გადალახავდნენ მტკვარს და სამწვერისზე გავლით მივიდოდნენ წალღვში, როგორც უკვე ვსთქვით. ბავშვობიდანვე სოფლის ტოლ-ამხანაგებში ტრიალებდა, დიდ საყვარულს იჩენდა: გლეხი გოგო-ბიჭობისადმი დილიდან საღამომდე მათთან იყო, თან წიგნები მიჰქონდა, ვის ზღაპარს წაუკითხავდა, ვის გოგებაშვილის დედა-იენაში ჩაახედედა.

ახლა იქვე არავის ეპარება, რომ, თუ ცაცამს დაქალბნისა, თეატრში მოღვაწეობის დროს, შეუდარებელი ორიგინალური წმინდა ერთგული ნიღბების შექმნა ეხერხებოდა, ამაში მცირე წილი არ ედო მის ხალხურად აღზრდას. ცაცამს მიერ როლის განსახიერებაში, ნემეტნავედ ქართულ პიესებში, უმაღლე შეინიშნებოდა ქართული მანდილოსანის დაყვიწყარად სათნო, ამტანი და ამაყი ხასიათი.

წალღვიდან და მხურვალეთიდან ცაცამს თეატრში თან შემოჰყვა მშვენიერი სალბუნი მეტყველება. ყვილას ხიბლაჟდა მისი საუკეთესო მეტყველება. სუფთა ქართული, დარბაისლური და გამართული ჯილო. მისი ეს განსაკუთრებული ღირსება შეუნიშნავი კრება აბაშიძესაც არ დარჩენია. კიდევაც უთქვამს — „აბა ერთი ცაცა ნახეთ სკენახეო“.

ახლა მცირე ხნით დაეუბრუნდეთ ჩვენს პირველ ღრახას, — ქართული

სკენა ქართველ ქალთა ნაკლებობას განიცდიდაო. ეს ასე იყო, და თუ რომელიმე ახალგაზრდა ქალი სკენისადმი ოდნავ მიდრეკილებას გამოიჩენდა, მაშინვე გულზე იჭდივდნენ ქართული თეატრის მოღვაწეები: „ვინ იცის, რომ წამოიზრდება იქნება თეატრში მოვიდესო“.

ასეთი გოგონას სწავლას, ზრდა-განვითარებას თვალს არ აშორებდნენ, მზრუნველობას არ აკლებდნენ, ასე დაეშარტა ცაცამაც.

1896 წელს ცაცა თბილისშია. ყორღანოვილის პანაიონში სწავლობს. უკეთეს სკოლამ გადასწყვიტა მშობლებთან თავიანთი შეგირდების შეხვედრა მოეწყო, ამისათვის მოსწავლე ქალები გაწერთნეს, კრილოვის „დემიანოვა უხა“ შეასწავლეს უფროსების წინაშე გასათამაშებლად. იგაე-არაკის განსახიერებაში ცაცა ამირეჯიბს დემიანეს ცოლის როლი ერგო, გოგონამ დიდი მღელვარებას და მოთმინების გამოჩენით იმუშავა. სალაპარაკო თითქმის არათფერი ჰქონდა. თამაში მოქცევის ხელოვნებაში უნდა გამოჩენილიყო, ამას მაშინვე მიხვდა ცაცა, როლი რთული ეჩვენა და ასეც იყო.

მალე საღამოც გაიმართა, მოვიდნენ სტუდენტები, აიხადა ფარდა და დაიწყო. „სკენაზე კდემამოსილად შეჩერებულ ცაცამს შეეშა «да, кланыйся жена» და ცაცამაც ისე დაუკრა თავი, რომ ბევრი განკვირებაში მოიყვანა. სულ ახალგაზრდა გოგომ უსიტყვო როლი შესანიშნავად დაამტოვა და თავისი თავი იქ დამსწრეთ მკვითრად დაახსომა.

ამის შემდეგ ცაცამ თბილისში სამჯერ მიიღო საოჯახო წარმოდგენებში მონაწილეობა და სამჯერვე წარმატება ხედა.

ნათესავ-ნაცნობებს შორის მას უკვე იცნობდნენ, როგორც ნიჭიერ ქალ-შეილს. მაგრამ მალე გაციდა სკოლაში სწავლის დრო. ცაცამ ის დაამთავრა, გიორგი ამირეჯიბს ამ დროს აღარ შეეძლო შეილისათვის უმაღლეს სასწავლებელში წასასვლელად ხელის მოწყობა.

ცაცა ამას არ შეუშინდა, მშობლებს დაუხმარებლად მიეშურება დიდი რუსეთის ცენტრისაკენ: იქ ეწყობა უმაღლეს

სათეატრო განათლებას. იქ გაიცნო ახალგაზრდა დამწყებმა მსახიობმა ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, კოტი მარჯანიშვილი, რომელთანაც შემდეგ მუშაობა მოუხდა. ვალერიან შალიკაშვილი, კომისარეჟესკაია და ბევრი სხვა გამოჩენილი მსახიობი.

1911 წელს არდადეგებზე (კაცა თბილისში ჩამოდის. იგი ისევ სწავლის გაგრძელებას ფიქრობს, ემზადება კიდევ უკან დასაბრუნებლად, მაგრამ მისი ბუდი ამჯერად სხვანაირად დატრიალდა. რა იცოდა რომ მისი პიროვნებით თეატრის მესვეურები დაინტერესდებოდნენ.

სანამ გაემგზავრებოდა, ლადო მესხიშვილმა და ვალერიან გუნიამ იხმეს. ახალგაზრდა ქალს ქართულ თეატრში თანამშრომლობა შესთავაზეს. (კაცა სიამოვნებით თანხმდება. იმავე 1911 წლის ზაფხულის დამლეგს აფიშაზე გამოჩნდა ახალი მსახიობის (კაცა ამირჯიბის გვარი და სახელი.

ამ დღიდან (კაცა ერთგულად და თავდადებით ემსახურება ქართულ სცენას. მსახიობს უყვარდა თავისი ხალხი და ქართველი ხალხიც სამაგიეროს უხდიდა.

ქართველ მაყურებელს უყვარდა (კაცას მიერ განსახიერებელი სახეები. მისი ლამაზი ქართული მეტყველება.

(კაცას იმდენი პირველხარისხოვანი როლი აქვს განსახიერებელი, რომ მა-

თი მხოლოდ ჩამოთვლაც კი შორს წავიყვანს, მაგრამ არ შეიძლება არ გავისვენოთ სრულყოფილად. შთამბეჭდავად განსახიერებელი ზეინაბი. კინა ჩიტუნია, კრუჩინინა, ანტიგონე, მედეა, გიორგი სააკაძის დედა, არინა...

(კაცა ამირჯიბი თეატრის პარალელურად კინოში მუშაობდა. აქაც მან ღირსშესანიშნავი სახეები გამოკვითა.

(კაცას უმუშავნია თბილისში, ქუთაისში, ბაქოში, გამოსულა საქართველოს რაიონული თეატრების სცენაზე და ყველგან მაყურებლის სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია.

ახლა, ახლა როგორღა ყველასათვის ეგზომ საყვარელი მსახიობი? მერე რა რომ ღრმა მოხუცებულობა სწვევია! თავს მაინც ყოჩაღად გრძნობს. ვარაზის ხევის და ბარნოვის ქუჩის შესაყართან (ცხოვრობს თბილისში. ხანდახან უნივერსიტეტის პატარა მოედნის გავლით რუსთაველის გამზირისაკენ მიდის. აქა-იქ ნაცნობებს ხვდება და ყოველთვის თავის საყვარელ თეატრზე საუბარს ჩამოაგდებს. მერე რა რომ ბევრმა ახალგაზრდამ შეიძლება არც კი იცოდეს რა ბრწყინვალე ვარსკვლავი იყო ის ქართულ სცენაზე; როგორც მისი წინაპრების სახელები დარჩნენ ჩვენს მახსოვრობაში, ასევე დარჩება (კაცა ამირჯიბის სახელი ქართული თეატრის ისტორიაში.

## საღამო ყვარელში

მიმდინარე წლის 31 მარტს ხელოვნების მუშაობა სახლმა ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებასთან ერთად ყვარელში მოაწყო რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის ღიადო ჭიჭინაძის შემოქმედებითი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ყვარლის პარტრიაკომის მეორე მდივანმა ზაალ იოსებაშვილმა.

მოხსენება თემაზე: „ღიადო ჭიჭინაძის ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხა თეატრმცოდნე გივი ბარამიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ ხელოვნების მუშაობა სახლის დირექტორი — გივი სერგია, მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თე-

ატრის დირექტორი ანზორ ქუთათელაძე, — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინო-დრამატურგი — კარლო გოგოძე, თეატრმცოდნე — ქეთევან ხუციშვილი, დრამატურგი აკაკი დევიძე, საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი მიხეილ ყვარელაშვილი, თეატრმცოდნე ნუნუ მესხი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ელენე ყიფშიძე, ყვარლის კ. მარჯანიშვილის სახ. სახალხო თეატრის დირექტორი ნიკოლოზ ეპმეტაშვილი, ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმის დირექტორი, პოეტი ილია ბეროშვილი, საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობებმა და თვით დ. ჭიჭინაძემ.

## 25 წელი უოთის თეატრის სცენაზე

### პარლო კომახიძე

ფოთის საქალაქო გაზეთ „ახალი კოლხეთის“ რედაქტორის მოადგილე.

როცა მსახიობზე გინდა რაიმე თქვა, უჩვეულო განცდები გეუფლება. საიდან და როგორ დაიწყო, რომელი როლი და წარმატება გაიხსენო, რა უთხრა მკითხველს ისეთი, რაც მის თვალში აამაღლებს მსახიობს — აი როგორ კითხვებს უნდა ვასცეს პასუხი წერილმა, რომელიც ამა თუ იმ მსახიობის პორტრეტს წარმოადგენს.

ეს მით უფრო ძნელია, როცა საქმე გაქვს შენს თვალწინ გაზრდილ და დავეჯაკებულ მსახიობთან, საზოგადოების მიერ პატივდებული ადამიანთან, რომელსაც ნამდვილად შეუძლება სიაპაყით თქვას: ყველაფერს ვაკეთებ ხალხის საკეთილდღეოდ. მშობლიური ქალაქის სასიყვარულოდ, ჩემი კოლექტივის სადიდებლად.

იტყვიან — შენივე მოწოდება თვითონვე გაგიყვანს ცხოვრების საიმედო გზაზე. მართლაც, რომ ასეა. სერგო ყურაშვილმა სკოლის ყელღებშივე შეიცნო თავისი მომავალი ცხოვრების მიზანი და გულით მიემშობილა თეატრს. აი როგორ იფონეს მსახიობი ამ არაოფიციალურ დებიუტს ფოთის თეატრის მაშინდელ სამხატვრო ხელმძღვანელთან ნიკო გომიამვილიანს და რეჟისორ თეიმურაზ ლორთქიფანიძესთან.

„მაშინ 15 წლისა ვიყავი. თეატრის ბევრი დადგმა, მათ შორის ზოგიერთი, ორჯერ მქონდა ნახული. გადავწყვიტე მეც მესინჯა თავი სცენაზე და მოკრძალებით ვთხოვე თეატრის ხელმძღვანელებს დასმი მიმიღეთ-მეთქი. მათ ცნობისმოყვარეობით ამხედ-დამხედეს და დამავლეს იქვე წამეკითხა რომელიმე ლექსი ან პოემა ქართული ლიტერატურიდან. მე კი მინდოდა ფოთის თეატრის სპექტაკლ „კოლმურწის ქორწინებიდან“ რომელიმე მონოლოგი წამეკითხა. ყურადღებით შემომხედეს, თანაც ღიმილით თანხმობა მომცეს... შემდეგ კი ჩემივე სურვილით წარმოეთქვი მონოლოგები ვაჟა-ფშაველას „მოკეთილიდან“. მომიწონეს და დასმი ჩამრიცხეს“.

ამ ჩინებულ დებიუტიდან, რომელიც 1942 წელს შესდგა, ს. ყურაშვილი ფოთის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის უცვლელი წევრია.

— სცენა უნდა გიყვარდეს და სცენაც შეგიყვარებსო — სწორედ ეს ხატოვანი თქმა მთლიანად შეიძლება მიუძღვნა ს. ყურაშვილს. იგი ამ თეატრის აკვანში ღღღად გაიზარდა, ფრთები გაშალა და სასაპარუზო აღიარება პპოვა. რამდენი დიდი და პატარა როლით წარსდგა საზოგადოების წინაშე, რამდენი სახე შექმნა, რამდენი სცენური წვა და დაგვა ვანიცადა. სწორედ ამ წვასა და დაგვაში გამოიწროო მისი აქტიორული სახე.

ოცდახუთი წლის მანძილზე ს. ყურაშვილს ფოთის თეატრის სცენაზე ასამდე როლი აქვს შესრულებული. თავისი შემოქმედების პირველათ წელიწადში შეასრულა შატოს („კოლმურწის ქორწინება“), იზნასატის („ღალატია“), ხადილას („ხევისბერი გოჩა“), მამუქას („ეთაბაგერის ასული“), ზუბკოს („კიდილი“), მსახურ კოვიელის („ფორვ დანდენი“), შერიფის („რუსეთის საკითხი“), რაბინის („ურთელ აკოსტა“), ცალგება მიტროხინის („ქექა-ქუხილი“), სენატორის მსახურის („ღრმა ფესვები“) და სხვათა როლები.

მომდევნო ათწლეულში მსახიობის შემოქმედებითი დიაპაზონი საგრძნობლად გაფართოვდა და იგი წამყვანი როლების ერთ-ერთ ყველაზე საიმედო ძალად იქცა. ერთმანეთს მიჰყვა ისეთი რთული სახეების ამეტყველება, როგორიცაა შადიმანი („გიორგი სააქაძე“), სერგო („მზე ცრემლში“), არქიფო („პარაკუნე“), ილარიონი („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), ფეიქარბანი („ბაში-აჩუკი“), ბურავჩიკი („კონსტანტინე ზასლონოვი“), სილიბისტრო ლომჭარია („ნაპერწყლიდან“), ბექთარი („კოქლი მენისქველე“), ელიზბარაინი („პატკონენებისათვის“), გიგო ტეტიამვილი („მსხვერპლი“), ლეკანი („ჩრდილი ყვავილებზე“), ქლესოვი („ციმბირელი“), ყარაბანი („ჩემი ყვავილეთი“), ლევანი („ადამიანი დაბრუნდა“), ნოდარი („ეინ არის დედა“), ჭუჭუბე გარიბალდი („კრაზანა“), ალანი („ალანის ოჯახი“), პეტრე („ოთარაანთ ქრევი“), ბერესტი („პლატონ კრეჩეტი“), ტერბანია („ეკევის მასწავლებელი“), ხევისბერი („ხევისბერი გოჩა“), დანიელ ბეგი („შამილი“), ამალახვარი („მთა წყნეთელი“), და სხვ.





ეს როლები თავიანთი ხასიათით რამდენადმე განსხვავებულია და თვითველ თავისებურ შინაგან აღქმას მოითხოვს, რასაც მსახიობი ს. ყურაშვილი ქვეშარტი ხელოვანის მაღალი აღწევს.

იგი ორჯერ წარსდგა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისის მაცურებლის წინაშე ფოთის თეატრის გასტროლების დროს და ორჯერვე წარმატება დაიმსახურა. უკანასკნელ გასტროლებზე, რომლებიც ორი წლის წინათ მოეწყო კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, მსახიობი ხუთ სპექტაკლში მონაწილეობდა.

როგორც წინათ, ამჯერადაც მსახიობმა დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა და სპექტაკლების განხილვისას ავტორიტეტულმა თეატრმკოდნებმა მაღალი შეფასება მისცეს მის მიერ განსახიერებულ როლებს.

ს. ყურაშვილი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. 1947-53 წლებში იყო თეატრის კომკავშირის კომიტეტის მდიანი, ხოლო 1954-63 წლებში — პარტიურის მდიანი. 1958 წელს თეატრალური საზოგადოების მიერ მოწვობილი პერიფერიული თეატრების რესპუბლიკურ დათვალეობაზე იგი დააჯილდოვეს შემოქმედებითი მივლინებით, ხოლო 1961 წელს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ამჟამად მსახიობი ს. ყურაშვილი 42 წლისაა. აქედან 25 წელზე მეტი მან სცენის სამსახურს მოახმარა. იგი, რომ იტყვიან, თავისი ნაქმის გაფურჩქვნის ასაკშია და სრული იმედი გვაქვს, რომ მომავალში კიდევ ბევრ კარგსა და საინტერესო სახეებს შექმნის.

## შენხედრე ქართულ მსახიობებთან

ა. ა. იაბლოჩკინას სახელობის აქტიორის ცენტრალურ სახლთან არსებული თეატრალური ხელოვნების უნივერსიტეტის მსმენელები განაგრძობენ მოკავშირე რესპუბლიკათა თეატრების გაცნობას. მკვლევარობებზე უკვე გამოვიდნენ უკრაინისა და ბელორუსიის მსახიობები, ახლახან კი ქართული ხელოვნების მოღვაწეებს გაიცვინენ.

მსმენელებს ქართული თეატრის ისტორიაზე ესაუბრა სსრკ სახალხო არტისტი ა. ვასაძე. შემდეგ გამოვიდა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ზ. ფალიაშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის სოლისტი მ. დონაძე (აკომპანაშენტი ი. მადათოვაძე), ქართველ მსახიობთა ლექსებს კითხულობდა მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. რუსინოვი.

კარგად გამოვიდა ვოკალური დუეტი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი

ნ. თვალთვაძე და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. გამრეკელი.

შუკრებილნი გულთბილად შეხედნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტს მ. ჩახავას.

დიდი წარმატება ხვდა წილად ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს თენგიზ ზალიაშვილს.

დიდის ტემპერამენტით აქტიურად ქართულ ენაზე შექსპირის ნაწარმოებები, რომლებიც სსრკ სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ შეასრულა.

ქართველი მსახიობები აგრეთვე წარსდგნენ დედაქალაქის კალინინის რაიონის ერთ-ერთი საწარმოს მუშებისა და მოსამსახურეების წინაშეც.

### 3. ქაზისი

„სოვიეტსკაია კულტურა“-  
17 აპრილი, № 46.

# „სიყვარული სხუემარო არ არის“

იან აბულაძე

საშაძენაში მეტია მას შემდეგ, რაც ფრანგული რეალიზმის წარმომადგენელმა ალფრედ დე მიუსეიმ შექმნა პიესა „სიყვარული სხუემარო არ არის“. ამ რამდენიმე ხნის წინათ ეს პიესა თბილისის, კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა დადგა. კლასიკოსის შემოქმედების პირველ პერიოდში, მაშინ როდესაც ეს პიესა შეიქმნა, ალფრედ დე მიუსეს წინა პლანზე ახალგაზრდა ადამიანები ჰყავს წამოწეული. იგი, კარგად გრძნობდა ყველა იმ ხელისშემშლელ მოვლენას, რომლებიც მის თანამედროვე სინამდვილეში იყო, სწორედ აქედან გამომდინარეობს დრამატურგის ირონიული პესიმიზმი და ის მწვავე სატირული ფორმა, რითაც იგი ამჟღავნებს ბურჟუაზიული მორალის მტკივნეულ მხარეებს.

სპექტაკლი საინტერესო რეჟისორული გაკეთებით მიეღია კულუბიძემ განახორციელა. დამდგმელის უდაო ღირსებაა გემოვნება და ზომიერების უტყუარი გრძნობა. არსად მთელ წარმოდგენაში მაყურებლის ყურს არ სჭრის გრძნობის გაუმართლებელი აფექტაცია და უადგილო კომიკური გადახვევა. პიესის მთელი კონფლიქტი დამაჯერებელია და მომქმედ პირთა განცდების მიმდინარეობა საერთო ხაზებში ბუნებრივია.

ინტერესს აცხადებებს ის გარემოებაც, რომ სცენაზე კომილას როლს ასრულებს თვით რეჟისორი მ. კულუბიძე. მისი გმირი საოცარ სიძულვილსა და სევდას შეუპყრია მორალური დაუკმაყოფილებლობის გამო, ახალგაზრდა კომილას სძულს ის ეფემერული დამოკიდებულება სიყვარულისადმი, რასაც მის გარშემო მყოფ ადამიანებს ამჩნევს და მწვავედ განიცდის კიდეც ამა.

მ. კულუბიძემ შეძლო ახლებური შტრიხი შეიტანა და ახლა კუთხით გაეხანა თავისი გმირის განცდები თუ ხასიათები. მისი ყველა ფაქტოლოგიური განცდა ძალიან ბუნებრივი და დამაჯერებელია. ამის მიღწევა კი განსაკუთრებული გულმოდგინე ძიების ნაყოფია. კომილია არ არის სუსტი და მერყევი ბუნების პატრონი, მიუხედავად იმისა,

რომ თავს ვერ ართმევს თავისსავე წინააღმდეგობრივ გრძნობებს. იმდენად მომხიბლავია მ. კულუბიძის კომილია სცენაზე, რომ ერთი შეხედვით მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება (კი რჩება, რომ ეს ხასიათი საკუთრივ მისთვის არის შექმნილი და ამიტომაც ასეთ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი ყოველგვარ სიყალბესა და არაბუნებრივობაზე.

ქან ლეის როლს ასრულებს ახალგაზრდა მახიობი მ. თავაძე, რომელიც დამაჯერებლად ასახიერებს მისი გმირის მსუბუქსა და ადვილად ცვალებად დამოკიდებულებას სიყვარულისადმი.

საინტერესო სახეები შექმნეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა გ. გოგუამ (ბარანი), ზ. ლაფრაძემ (ბლახიუსი), გ. ციციშვილმა (ბრიდენი). სამივენი საინტერესოდ გამოხატავენ იმ ადამიანთა სახეებს, რომლებსაც ანსახიერებენ სცენაზე.

რესპუბლიკის დამს. არტისტ ე. ვერულაშვილს მკაფიო ქანრიზში იტაცებს. იგი ჩვეულ მაფარ სატირულ ფერებში გვიხატავს მოუსვენარსა და გამოჩერჩეტიბულ ქალბატონ პლუმს.

კარგი სცენური სახე შექმნა მ. ბეალაძემ როზეტას როლში. კარგია ქაროც, რომელიც ორგანულად ერწყმის სპექტაკლის ფონს. საერთოდ კი თვითოველ პერსონაჟს თავისი ადვილის ზუსტი შეგრძნება აქვს სპექტაკლში.

წარმოდგენის დეკორაციული ფონი უცვლელია (მხატვარი თ. სუმბათაშვილი). სცენა ისეა აგებული სადა და ლაკონიური დეკორაციებით, რომ უდაოდ ხილს უწყობს სპექტაკლის პარნიონილობას.

მსუბუქი, უხმაურო, საოცრად მგრძნობიარე მუსიკა ახლავს სპექტაკლს, რომელიც ორგანულად ერწყმის მის ხასიათს. (კომპოზიტორი — რესპ. სახ. არტისტი ს. ვინცაძე).

ელანიშნავია ის სისიამოვნო ფაქტორი, რომ თბილისის, კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა შეძლო ახლებური ელფერი მიეცა ალფრედ დე მიუსეს პიესისათვის „სიყვარული სხუემარო არ არის“.



## ოპერის მომღერალი ოპერაჟში ვუზამ მებრელიძე

მუსიკალური კომედიის თეატრი მეტად სავსაუბისმგებლო გამოცდისათვის ემზადება. მალე იგი საგასტროლოდ ეწევიდა მოსკოვის მსაყურებელს. ეს მზადება უთუოდ დიდი სტიმულის მიმცემია თეატრის შემოქმედებით მუშაობაში. ამას მოწმობს, თუ გნებავთ, ის ფაქტიც, რომ, ამ დღეებში მან თავის მსაყურებელს სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყობა. აგრე უკვე რამდენიმე ხანია ამ თეატრის სცენაზე წარმატებით სარგებლობა უკვე დადგინდა. მისი დადგმული იმერკალმანის ცნობილი ოპერეტა „სილვა“.

გაიგვანისვილის მიერ განხორციელებულ ამ ოპერეტას მსაყურებელი კარგად შეხვდა, სპექტაკლის გამარჯვება განაპირობა აგრეთვე ჩინებულმა დეკორაციულმა გაფორმებამ, რომელიც ახალგაზრდა მხატვარ მურაზ მურვანიძეს ეკუთვნის. მაგრამ, რასაკვირველია, სპექტაკლში უმთავრესი მაინც მსახიობები და ორკესტრია, რომელთა პროფესიული ოსტატობა განაპირობებს სპექტაკლის შემდგომ ბედს. კალმანის ამ ოპერეტას ქართულ სცენაზე კარგი სილვა დახვდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თინა მერკვილაძის სახით. ჩინებული ვოკალი, აქტიორული ოსტატობა და კარგი სცენური მეტყველება — აი ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ თინა მერკვილაძის სცენურ წარმატებას. მსახიობის მიერ შექმნილი სახე არა მხოლოდ მსახიობის, არამედ თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიჭირა.

„სილვა“-ში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლია ედვინი. ედვინის შემწეობით ხდება სილვას სახის სრულყოფილი გახსნა. მასთან ურთიერთობაში ამჟღავ-

ნებს სილვა თავის ადამიანურ თვისებებს. ამავე დროს, თვით ედვინი არის გმირი, რომლის რთული ფსიქოლოგიური სამყარო მსახიობს დიდი სიმძნელების წინაშე აყენებს. მუსიკალური კომედიის თეატრში ედვინს ნებიერიძე და პინინაშვილი ასრულებენ.

ამასწინათ თეატრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სასიამოვნო „ცვლილება“ შეიტანა სპექტაკლში. მან ედვინის როლის შესასრულებლად მოიწვია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი სერგო თორელი.

სერგო თორელს კარგად იცნობენ ჩვენი საოპერო ხელოვნების მოყვარულნი. ჩვენს საოპერო თეატრში დადგმულ სპექტაკლებში მან შეასრულა არაერთი და ორი წამყვანი პარტია და მსაყურებლის სიყვარულიც მოიპოვა. ამიტომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სერგო თორელის გამოსვლა მუსიკალური თეატრის სპექტაკლში. სერგო თორელის ედვინი მომხიბლავი გმირია. მისი ტენორი ოპერეტაში მეტად საამოდ აქლერდა. მსახიობს უცდია. და საკმაოდ წარმატებითაც, საოპერეტო ყაიდაზე გარდაექმნა, გარდაეხსნა თავისი შემსრულებლობითი მანერა. მოხიბლა მსმენელი. მრავნიჭა მას დიდი ესთეტიკური სიამოვნება.

სერგო თორელის ამ მოწვევით თეატრის ხელმძღვანელობამ უთუოდ კარგი საქმე გააკეთა. ერთგვარად გაახალისა სპექტაკლი, ახალი სული შთაბერა მას, რადგან სხვა როლების შესრულებელი მსახიობებიც ამ სპექტაკლებში აღმავლობით თამაშობდნენ.



# „როცა სიხოსხლე გვექანის“ კავლე ხმალამი

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა ლენინური კომპაქვირის 50 წლისთავის სახელოვან თარღს მიუძღვნა დრამატურგ დავით კვიციანიძის ლირიკული დრამა „როცა სიციცხლე გეძახის“. პიესის ავტორი ამ ნაწარმოებისათვის დაჯილდოვდა საპატიო სიგელით, ხოლო სპექტაკლის მონაწილე მსახიობებმა ანზორ ხერხაძემ და ვაჟა ურეშიძემ ფასიანი საჩუქრები მიიღეს.

„როცა სიციცხლე გეძახის“ მკაყურებელს უჩვენებს ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობას როგორ მშენებლობაზე, საზოგადოებრივ შრომასა და საოჯახო ურთიერთობაში. სპექტაკლში მთავარია საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი, რაც გულისხმობს სიყვარულს სამშობლოსადმი, ერთგულებასა და თავდადებას მისი კეთილდღეობისათვის, აქტიურ მონაწილეობას ახალი ცხოვრების განმტკიცებასა და განვითარებაში.

კვიციანიძის ეს დრამა მკაყურებლის თვალწინ აცოცხლებს ახალგაზრდა მშენებელ ჰაბუტას სახეებს.

სპექტაკლის დამდგმელმა — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ და რეჟისორმა მურმან ფურცხვანიძემ სწორად წარმოსახეს პიესის ძირითადი იდეა და ყველაფერი მას დაუმორჩილეს. სპექტაკლში ბევრია ორიგინალური მიზანსცენა, საინტერესოდა გაყვებულ სპექტაკლის დასაწყისი, შესანიშნავადა მოფიქრებული მესამე სურათი — ქეიფის სცენა. მსახიობები ამ ეპიზოდში ძალდაუტანებლად, ენხითა და სილალით მოქმედებენ.

ლაკონურია ჭეირან ფაქტაშვილის მხატვრობა, მას მოძებნილი აქვს მშენებლობის მშვენიერი ტონი. მიზიდილე ლია მუშათა ბარაკი, სასურველი იყო უკეთესი, უფრო ეფექტური ყოფილიყო სპექტაკლის განათება. დიდებულად ძღერს კომპოზიტორ რ. გაბიძეძის მუიკა. იგი ორგანიზულად ერწყმის სპექტაკლის გმარებებსა და მოქმედების ხასიათს, განსაკუთრებით გამოირჩევა ბიჭების სიმღერა ბარაკზე, რომელიც სპექტაკლს ლეიტმოტივად მიჰყვება და საუკებო ატმოსფეროს ქმნის.

პიესის მოქმედება მიმდინარეობს ქალაქის ერთ-ერთი საცხოვრებელი კვარტალის მშენებლობაზე სცენაზე ბატონობს ხალხისანი შრომის ატმოსფერო.

გიგას როლს ასრულებს მსახიობი ერემო სვანიძე. გიგა არის თანამედროვე ახალგაზრდა, რომელმაც ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მშენებლობას მიაშურა. იგი ენერგიული ჰაბუტაკია, უყვარს შრომა და გარჯა, როგორც სხეებისადმი, ისე თავის თავისადმი მეტად მომთხოვნია. იგი მუშებთან ერთად ცხოვრობს ბარაკში, მათთან ერთად განიცდის სიხარულსა და სიღუპს. სვანიძე-გიგა ოდნავ დაბნეული ახალგაზრდაა. მან ჭერ კიდევ არ იცის ბოლომდე თავისი სიტყვის ფასი, თავისი შებიძება ხშირად ავიწყდება.

მეტად დამახასიათებელია სცენა — პირველი შეხედრა ციციანოსთან (მსახიობი ლამარა ვაჟაყიძე), როცა საუბარი ახალმოსულ გიორგი კახიანზე ჩამოვარდება.

გიგა-სვანიძის თამაშში იგრძნობა თანამედროვე ახალგაზრდა, რომლისთვისაც შრომა ხალისია, სიმღერაა. მსახიობის შესრულება კარგია და ზომიერი. ვეინდა მინც ერთი ეპიზოდი გამოვეყო, სადაც იგი ქეშმარიტი განცდის ხელოვნებას ავლენს.

ეს ეპიზოდი მესამე სურათიდანაა, როცა ჰაბუტულია (მსახიობი ირ. ბალიაშვილი) სცენის მონაწილეებს ეკითხება მამის შესახებ. ყველა ჰასუბობს შეძლებისდაგვარად. გიგა-სვანიძე იღუშება, ფერი ეცვლება. გრძნობთ, რომ მწარეა მისთვის მამაზე ლაპარაკი, იმ მამაზე ლაპარაკი, რომელიც თვალთ არ უნახავს. რომელმაც დედამისი მიატოვა; ეს მისი ბულის ჭრილობაა, რომელიც, მიუხედავად დიდი ხნისა, მოუშუშებელია. — რაოდენი სევდა, ნაღველი და ვაჟაკური ნებისყოფა ჩანს მის სიტყვებში: „...სიტყვით და ფიცით მომიწამლა უძღური დედა... ლეოს ანაბარა მიატოვა და განერყდა.“ ერ. სვანიძის გიგა თანდათანობით იძერწება მკაყურებლის თვალწინ, იძენს სრულყოფილ სახეს.

არავისათვის არ არის მოულოდნელი, რომ ქართული სცენის ოსტატი თიკო ლენიაშვილი ასე ორიგინალურად გარდასახერდა დედის როლში. თ. ლენიაშვილმა ამჯერადაც გაამართლა მკაყურებლის იმედები და მასი უსახლკრო სიყვარული დაიმსახურა. მარიაში თ. ლენიაშვილის შესრულებით მეტად საინტერესო ტოპია. ეს არის მრავალჭირგავლილი დედა, რომელიც ახალგაზრდობაში სიყვარულის აღმურბა

შეაცდინა. მაგრამ ამ გარემოებას მისი დედური გრძნობისა და ქალის პირველადი სავანდურისათვის არაფერი დაუტოვია.

მარიამი-ლენინაშვილი გარეგნულად მეტად ეფექტური, სანდომიანი სახის მანდილოსანია. იგი მკაცრი, მომთხოვნი და შვილის კეთილად აღზრდელი დედაა. მის ქვეყასა და მიმიკაში იგრძნობა ნებისყოფის სიმტკიცე და ხასიათის შეუვალობა.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვ. მეგრელიშვილმა გიორგი კახიანი სახის სრულყოფილად არ დააშურა ძალა. ენერჯია, მონდომება, გიორგი ისეთი მამაა, რომლისგანაც შვილსა და ოჯახს არასოდეს არავითარი სითბო არ ახსოვთ. ომგადახადილი, სამშობლოს წინაშე ვალმობადი, მიდის თავის ნასახლარზე, სადაც ახალი ვეება სახლის მშენებლობა განაღებულა. მშენებლობას ხელმძღვანელობს გიგა კახიანი, რომელიც აქ მამამ პირველად ნახა. მის გვერდით შრომობს გიორგიც. იგი ენერჯულად შრომობს შვილის წარმატებებისა და ბედნიერებისათვის. მათურებელი მკაფიოდ გრძნობს შინაგანად როგორ იტანება გიორგი სიღრმის ქვეყნითა და თავისი დანაშაულის შეგნებით.

გიორგი-მეგრელიშვილი დიდი ხელოვნება აღწევს გვირის ფსიქოლოგიის გადმოცემას. მეტად ამაღლებულად ატარებს გიორგი-მეგრელიშვილი შვილთან ორივე შეხვედრის სცენას.

პირველ სცენაში გიორგი უფრო თავდაპირველია. მან ჯერ კიდევ არ იცის — გიგა მისი შვილია თუ არა. ფრთხილად უდგება მას და გემანის სისწორეში რწმუნდება.

შვილთან შეხვედრის მეორე სცენაში გიორგი-მეგრელიშვილი აფორიაქებულია. თითქმის სულიერი წონასწორობაც დაკარგა. შორიდან ეფერება საყვარელ პირებს.

შთამბეჭდავი გიორგი-მეგრელიშვილის კომენდანტთან შეხვედრის სცენა. აქამდე თავშეკავებულმა კაცმა აქ სული მოითქვა თვითმზილებით: „აბა, მე მამა ვარ, ნახე ვარ, საუკუნის გადავიბიჯე და ჩემგან მისხალი სითბო არ ახსოვთ შვილსა და ოჯახს, ჩემო კონსტანტინე“.

რესპუბლიკის სახალხო არტისტს შოთა პარველს ბევრჯერ გაუხარებია მათურებელი თავისი გააზრებული თამაშით. მის მიერ შესრულებული სახეები მათურებელთა მესხიერებაში თითქმის წარუშლელი არიან.

მსახიობ შ. პირველის შემოქმედებითი წარმატება მისი ახალი როლი — დანიელ ფიჩხაქ, ესაა ებრაელი მამა, რომელსაც ერთი შვილი ომში დაედება, ხოლო მეორემ გადაწყვიტა მშენებლობაზე მუშად წასვლა. ეს ამბავი მესხიეთ დაეცა დანიელს და აი, დანიელი ელოდება უბრ

შვილს, ბოლომდე აღსაყვ ეჩხებება თავის მეუღლეს — სარას, რომელიც, როგორც ყველა დედა, შვილის მხარეზეა. მშვენიერად ატარებს მსახიობი შ. პირველი შვილთან შეხვედრის სცენას. იგი გრძნობს, რომ სიძარბულ შვილის მხარეზეა. მაგრამ ჭიუტად იცავს თავის შეხედულებას. მან ეერ მონახა საბუთი — დემეტრიუბინა შევილსაღვს მისი მცდარობა. დასძლია შვილის სყვარულმა და განიარაღებული მომართავს: „წადი, ბიჭო, წადი, ტუტუო სიტყვა არ მათქმევიო!“ შესანიშნავია მსახიობი შ. პირველი მეორე სურათშიც, როცა იგი მშენებლობაზე ნახავს შვილს: „მოხედა, შენ ჩემთან მზავალ.“ — ეუბნება შვილს და მათურებელი გრძნობს, რომ დანიელი უკვე დადგა დათმობის გზაზე. მსახიობ შ. პირველს დანიელის ქვეყვა, გულწრფელი განცდები მათურებელთა შეხედულებელ ოვაციებს იწვევს.

დანიელის შვილის მიმოკოს როლს დამაჩერებლად ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი მ. ჩიქოვანი, ზომიერია და სიძარბულით აღბეჭდილი მსახიობ ა. ხერხაძის მუშათა საერთო სიტუირებლის კომენდანტი კოწია.

კოწია-ხერხაძე დაუშრეული ენერჯის, ჭანსალი იუმორის, მახელოგონიერი იმპროვიზაციის განსახიერებაა. მისი ყოველი გამოჩენა სცენაზე ხალისიან ემოციებს იწვევს.

მელიტონი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კაპიტონ აბესაძის შესრულებით, სექტაკლის ერთ-ერთი საინტერესო სცენური სახეა. მსახიობი მხოლოდ ერთ სურათშია, მაგრამ როგორც ტექსტუალური მასალა, ისე მსახიობის თამაში დასამახსოვრებელია. მელიტონი შრობა, მელიტონი გლენია, კეთილსინდისიერი, ენამხეილი, გონიერი. მის ემის ქვეყნად შრომის ფასი, ამ შრომელმა გლენმა ლინის დროს ლინი იცის, შრომის დროს შრომა, მელიტონის საქველს, ინტონაციას და ეშმაყურ შეკითხვებს ხალისი და სილაფე ამკობს.

ამავე როლში ვიხილეთ მეორე შემსრულებელი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გრიგოლ ნაცვლიშვილი. მისი მელიტონი ოდნე სერიოზულია, წინა პლანზე მსახიობა აყენებს შვილის წარმატებლობის გამო გამოწვეულ გულიტვიჯილს. და შეიძლება ამის მიზეზი იყოს ის, რომ მის შესრულებას აკლია ცოტა სილაფე.

შრომელი ებრაელი დედის — სარას საინტერესო სახე შექმნა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თამარ კენაძემ.

იამა თხელიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გრიგოლ კაკელიძის შესრულებით, ცხოვრებისგან გარყული, ბნელი პიროვე



ნება, იგი თან უბედურებას გამოვლილი კაცია, რომლისთვისაც სინდის უცხო ხლია. მსახიობი შესანიშნავად ვადმოგვცემს იაშა თხელიძის სულის განწყობილებას.

ციციო-ლაშარა ვაშაიძე გამოირჩევა ბუნებრივი უშუალობითა და მომხიბლავი გარეგნობით. ციციო გულბერძევილი გოგონაა, იგი მთელი გულით მიენდო გიგას და კინაღამ მისი მსხვერპლი გახდა. გრძნობიერად ატარებს ციციო-ვაშაიძე გიგასთან შეხვედრის ბოლო სცენას, როცა მას სურს გაიგოს საბოლოო პასუხი.

ჭკუელი ირაკლი ბალიაშვილის შესრულებით კოლორიტული სახეა. ჭკუელია-ბალიაშვილი ქალაქის მუქთახორების წარმომადგენელია. ეს არის კაცი, რომელსაც მატერიალური დოვლათის შესაქმნელად თითოც კი არ გაუძნდრებია. დატანტალებს თანამედროვე „კრილვე მიმინო-შვილივით“, თითქოს ჩასაფრებულა, სადაც კი

სუფრა გაიშლება, ნაგეში ძალღვივით სუნს აიღებს და ისიც იქ განიდება.

გულწრფელობითა და სისადავით ასრულებენ თავიანთ როლებს მსახიობები ვაჟა ურუშიძე (ნოდარ წიტაიშვილი), ვივი ბერძენი (ლადიკო გორგაძე), მერაბ ჩიქოვანი (მიშკო ფინხაძე), ბონდო ვურჩიანი, (ბექნუ გულბანი), ნიკო წიკაური (ვივი ტუყაძე). მათი მსუბუქი, ლაღი და ხალისიანი შესრულება მაყურებელთა თანაგრძნობას იწვევს.

„მესხიშვილის სახელობის თეატრის ახალი სპექტაკლი, წერდა გაზეთ „ქუთაისში“ თეატრ-მცოდნე ვ. კინაძე, ახალ იმედებსა და ახალ საფიქრალს აღძრავს მაყურებელში.“

სპექტაკლმა მართლაც ახალი საფიქრალი აღძრა მაყურებელში და ამაშია მისი განსაკუთრებული ღირსება.

აკაკი ხმალაძე

## „ლიახ, ქვეყანა გაღაბუნდა“

### აკრილ დავითიანი

ამ სათაურით დიდი წარმატებით მიღის ახალი სპექტაკლი თბილისის სომხური თეატრის სცენაზე. პრემიერა ცხადყოფს რაოდენ მონატრებულია მაყურებელი თანამედროვეობის ამ სახველ წარმოდგენებს. — ისეთ სპექტაკლებს, რომლებიც მას უღვიძებს კეთილშობილურ სურვილებსა და მისწრაფებებს. ღაცუნის და აკრიტიკებს სიყალბეს, ფარისევლობას, სიმხდალეს; როცა იგი თეატრიდან გამოდის არა დამცირებული, არამედ გამხნეებული, გახარებული სიციხისადაც რწმენით აღსავსე და, ბოლოს, როცა თავის თავს შეიცინოს ცხოვრების შემოქმედად.

სარეცენზიო სპექტაკლისადმი მაყურებლის დაინტერესებას ისიც უწყობს ხელს, რომ არამაშობი პაპიანის პიესამ — „ლიახ, ქვეყანა გაღაბუნდა“ — ოქტომბრის რევოლუციის ამ წლისთაზე მუშათა კლასის თემზე გამოცხადებულ საკავშირო კონკურსზე მეორე პრემია მიიღო.

პიესის ავტორის მახვილი მიმართული იმპოწინააღმდეგ, ვისაც დღესაც კი, ხუთი ათეული წლის შემდეგ, ვერ შეუგნია „აეროსას“ ზარბაზნების ქუხილით დაწვებული რევოლუციის შედეგად ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი ცვლილებების არსი და გამბედაობა ჰყოფნის წინ აღუდგეს სიკეთის ნერგზე დამყნობალ სიმატრლეს... თუგინდ ჰემპარიტი სიყვარულის საკითხში.

სცენაზეა ქვისმოდელთა მამაპაპური მუშე-

რი ოჯახი. ამ ოჯახის უფროს ვაჟიშვილსა და ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკის ქალიშვილს უმწიკვლოდ შეუყვარდათ ერთმანეთი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალიშვილის ოჯახს აუგად მიაჩნდა ქალიშვილის მოთხოვნა ქვისმოდელისათვის. ეს არის სპექტაკლის მთავარი კონფლიქტი.

ამ კონფლიქტს უფრო ამძაფრებს მომდევნო ძმების დაცოლშვილების საკითხი; ისინი თავის გულის მურაბს ვერ მიაღწევენ ისე, თუ უფროსმა ძმამ არ იქორწინა. ეს ძირითადი კონფლიქტი კომედიის მსვლელობაში ისე იმუხტება, რომ კონფლიქტის ორბიტაში მოხვედრილია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა უბანზე მომუშავე ადამიანების ხასიათები თანდათან დასრულებულ სახეებად იძერწება... ირკვევა, რომ პოლიტიკურ-ეკონომურად ძირფქვიანად შეცვლილ ცხოვრებაში, სადაც არსებითად ახალი ზნეობრივ მორალური კატეგორიეა გაბატონებულან. ზოგიერთები წარსულიდან შემორჩენილი დრომოქმელი მორალით ხელმძღვანელობენ, სცენაზე იწყება ძველისა და ახლის მამფრი კიდილი, რომელიც უკვდავი სილაშხის ზეიმით, გადაბრუნებული, მაგრამ თავის ნამდვილ ორბიტზე გაყვანილი ქვეყნის დიდი სიმართლის გამარჯვებით მთავრდება.

მუშაიანის სახელობის თეატრმა კარგად გააზრა პიესის ჩანაფიქრი და რეჟისორ მ. უშიკიანის (საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე) გულმოდგინე მუშაობით აინტერესა სპექტაკლი შექმნა. რეჟისორმა და დრამატურგ-

## რესპუბლიკის თეატრალურ ავიზსთან

მა თანამედროვეობის გამახვილებული თვლით დაინახეს ადამიანის სულისა და გულის ძვრზე დაფუძნებული „ახალი ერის დასაწყისი“ და დიადი სიმართლის გამჟღავნების პრინციპზე ააგეს მთელი სპექტაკლი და გმირთა ცხოვრება.

როლების შემსრულებელთაგან უპირველესად მაყურებელთა ყურადღებას იქცევს სახალხო არტისტის დორი-ამირბეკიანის მარქარი. მარქარი მიიმე წარსულიდან ახალ ცხოვრებაში გადმოსული, ახალ ყოფასთან სისხლხორციელად გადაჯაჭვული მონუმენტური სახეა. მსახიობი თანამედროვე თეატრალური პრინციპებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი შტრიხებით აღწევს მუშაყაცის მაღალი ჰუმანიზმის, მისი ევკაცური სულის ჩვენებას, — მარქარისათვის დამახასიათებელი მრავალსაუქუნოვანი ზნეობრივი იდეალებისა და რაინდული სიწმინდის უცვლადებას. თითქოს მარქარის ევკაცური ბუნების პოეტურ-რომანტიკულ გაგრძელებას წარმოადგენენ მხნე და ფიციელი ვაჟიშვილები, მსახიობების — ე. კარაბეტიანის, რ. ოვანესიანისა და ა. სანოსიანის შესრულებით. ისინი თანამედროვე ახალგაზრდობის ზნეობრივად ბოლომდე შეუბღალავი უმრავლესობის მხატვრულ განზოგადობას წარმოადგენენ. თანამედროვე მუშა-ახალგაზრდებზე არიან, მუშაობენ და ეს ქვისმთლები თან უმადლესში დაუსწრებლად სწავლობენ; მართალია ზოგჯერ ტრისტასც ეცეკვენ, ტრანზისტორიც დააქეთ, მაგრამ უზამსოაში არასოდეს ვარდებიან, მემკვიდრეობით შიღველი ადამიანური რწმუნისადმი ერთგულებით სძლევენ სიძნელეებს, იმარჯვებენ და ამავთა სწორედ სპექტაკლის იდეურ-აღმზრდებლობითი ძალა.

ქვის მთელთა ამ ტრადიციული ოჯახის ჯვირგვის წარმოადგენს დამსახურებული არტისტის ემა სტეფანიანის დედა — ნუბარი. უკანასკნელ წლებში იმდენად საოცრად დაიხვეწა ამ მსახიობი ქალის შემოქმედება, რომ მისი გამოჩენა სცენაზე ყოველთვის დიდ სიამოვნებას ანიჭებს მაყურებელს. ამ სპექტაკლშიც კიდევ ერთხელ გამოკრთა მისი ოსტატობის მაღალი ემას ნუბარის ცხოვრებიდან სცენაზე ასული სომეხი დედის დაუფიქარი სახეა, ფსიქოლოგიური ნიუანსებითა და ფაქიზი დეტალებით გამოკვეთილი სახე — შვილების მოყვარული, უაღრესად თვინიერი, ოდნე გულუბრყვილი, ხალხური სიბრძნით მაღდმოსილი, გულთა, უბრალო და უბრალოებასავით მშვენიერი.

ქვისმთელი ქაბუების საცოლეების როლებს ასრულებენ დამსახურებული არტისტი ს. შუკოიანი და მსახიობები ლ. ფირუზიანი და კ. ალექსანიანი. სამივე განსხვავებული ბუნების ქალიშვილია და ასევე ასრულებენ მათზე და-

კისრებულ ამოცანას: ს. შუკოიანის კარდუპის ამპარტაველი სულისკვეთებით გაკლენილი ოჯახშიც არ დატყარგავს გულის სიწმინდე; ეამერალა ერთგვარად ახტაჯანა გოგონაა, ხოლო ლ. ფირუზიანის მანუშაი ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი უსამართლობით შეურაცხყოფილი, მაგრამ ქვისმთელი ქაბუის უნაგარო სიყვარულით გაბედნიერებული ქალიშვილის ლირიკული სახეა.

ცალკე გვინდა გამოვყოთ შმაგონი. როგორც ერთგვარად ახალი სახე უკანასკნელი პერიოდის სომხურ დრამატურგიაში. უპარტიო შმაგონი თავის დროზე სახელმოხვეჭილ ინჟინრად ითვლებოდა, ქების სიგელბითა და ორდენებით აჯილდოვდნენ. შემდეგ ადმინისტრაციულ სამუშაოზე დააწინაურეს. პარტიაშიც მიიღეს. მაგრამ დახეთ უბედურებას!.. აღზევებულ „შმაგონ გასპარიის“ თავს გაუვიდა. მის გულში დიდკაცური ამპარტაველის ქიამ გაიღვიძა, მესხანი მეუღლის გავლენაში მოექცა და წვირლბურჟუაზიულ ქაოში ჩაიფლო. პარტია ამასჯა შმაგონი, სამსახურიდან მოხსნა და ისევ ინჟინრად დააბრუნა. შმაგონი გაკვირვებულია: „ვიდრე უპარტიო ვიყავი, ქება-დიდებას არ მაკლებდნენ, როცა დიდი კაცი გამზადეს და პარტიაში მიმიღეს. მაშინ თავში ჩამარტყეს და ისევ ძირს დამცესო.“ მრავლისმთქმელი ეს აღსარება დარბაზის საერთო სიცილში გამაფრთხილებელ ხმად გაისმის სცენიდან... შმაგონის ამ „ფერისცვლებას“ კომიკურ-გროტესკული საღებავებით დამაჯერებლად ანსახიერებს დამსახურებული არტისტი რ. ჰაპოვიანი. მის მიერ შესრულებულ როლებში შმაგონის სახე ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია.

კარგია ამპარტავენი. გასულუქებულ მეუღლის როლში ა. ჟამოჩიანი (დამსახურებული არტისტი), პარტიული ხელმძღვანელის როლში ე. ჩოფიკიანი (კულტურის დამსახურებული მუშაი), მამაის ბიუროს თავმჯდომარე რ. სიმონიანი (დამსახურებული არტისტი), გაცლენიანი ბიძის მფარველობით ფრთებასხმული ლოველასი — ნაპოლეონი ს. ელიზბერიანი (დამსახურებული არტისტი) შესრულებით.

სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რ. ნალბანდიანის მხატვრობა და წარმოდგენის დანარჩენი მონაწილენი — ა. ადილხანიანი, ა. პარონბეკიანი, ვ. აბრამიანი, ს. ჩანიბეკიანი, ლ. ვეგორგანი. თავისი მოკრძალებული წკლილით ისინი მთავარი როლების შემსრულებლებს ეხმარებიან ნაწარმოების ხასიათისა და ბუნების მართებულად გახსნაში.

## „ყბაჩაე ლიბვიანა“

ვეზინია პოკოვა

მართული პროზის გამოჩენილი ოსტატის მ. ჯავახიშვილის ამ მოთხრობის მიხედვით ლ. (ჯავახიშვილმა შექმნა დრამატული ნაწარმოები. რომლის გმირებმაც ამ რამდენიმე ხნის წინათ სცენური სიცოცხლე ჰპოვეს გ. ერისთავის გორის სახელმწიფო თეატრში (რეჟისორი ნოდარ იონათამიშვილი). წარმოდგენა საინტერესოდ არის ჩაფიქრებული: უსინათლო თინას არსებამში ქალური ბუნების გამოღვიძებისა და მასთან მახინჯ სოლოს შეყრის ამბისათვის რეჟისორ ნოდარ იონათამიშვილს ლირიკული, პოეტური ხასიათი მიუცია. ამის წყალობით ოჯახის სიწმინდის, ადამიანური ღირსების და ცვის საკითხები წარმოდგენაში სწორად არის გადაწყვეტილი.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მოქმედების მხატვრული დონე (როგორც ჩანაფიქრის, ისე მსახიობების მიერ ამ ჩანაფიქრის განხორციელების თვალსაზრისით) მეორე მოქმედებაზე მაღლა დგას. შემსრულებელთაგან აღსანიშნავია: ნ. ზალდასტანიშვილი (მარიამი) და ვ. კახიანიშვილი (თომა).

თინას როლს სპექტაკლში დ. ჭამაურა ასრულებს. ამ ახალგაზრდა მსახიობ ქალს კარგი სცენური გარეგნობა და ხმა აქვს, იგი სასიამოვნოდ მეტყველებს. მსახიობმა დაძლია ეს როლი, თუმცა სასურველია, რომ სიბრმავისაგან განკურნების შემდეგ სამყაროს პირველად დანახვა უფრო მკვეთრად, გამოხატოს. ჭამაურმა არ იცის ვიკვა (როლით კი სჭირდება). ეს კი დასანანია, მით უფრო, რომ იგი მოხდენილი აღნაგობისაა. ამ მხრივ ჭამაური: ალბათ, გამოწვევისაგან არ შეადგენს. ამდენად ურიგო არ იქნება, თუ გორის თეატრში ახალგაზრდა მსახიობების პლასტიკურობაზე უფრო მეტად გაამახვილებენ ყურადღებას.

მართალია, ყბაჩას (მსახ. ს. ტატალაშვილი) განუწყვეტილვ ახსენებენ. მაგრამ სცენაზე სულ სამჯერ გამოჩნდება. ისიც ძალიან მოკლე დროით (ინსცენირებაშიც ასეა). მე მგონი, მსახიობ ტატა-

ლაშვილს სწორედ ამიტომ გაუჭირდა იმ იდეალის გამართლება, რომელიც ყბაჩაზე ლაპარაკით იქმნება. ეს, ალბათ, იმიტომ. რომ ყბაჩას სცენაზე შემოსვლასა და სცენიდან გასვლას შინაგანი აუცილებლობა აკლია. გარეგნულად კი ტატალაშვილი თინას წარმოდგენაში, მის ფიქრებში შექმნილ გმირს საყვებით მიუახლოვდა. ამას გარდა, იგი სხარტად მოძრაობს, კარგად გრძნობს სცენის ფიკარნაჯს.

სოლოს როლს ბ. ლონდაძე თამაშობს. მსახიობს ლოგიკურად აქვს გააზრებული სცენური მოქმედების თავისი ხაზი, კარგადაც მიხედვს მას. გრიმიც სწორად არის შერჩეული (სპექტაკლის დედააზრშია მოთავსებული სოლოს სამახინჯის შერბილება). აქედან გამომდინარე, ხომ არ აჯობებდა, რომ ასევე ფაქიზად გადაწყვეტილიყო სოლოს მიერ თინას ფიზიკურად დაპყრობის, ანუ ვითქვამთ, ნამუხის ახდის სცენა? ალბათ, ეს საჭიროა, რადგან ზოგიერთი დეტალი (სოლო ტანაცემის რომ იწესრავებს) ცოტა არ იყოს, აკნინებს პოეტურად აღქმულ მოვლენას.

როგორც ჩანს, მხატვარი ირ. მჭედელიშვილი უაღრესად მუყაითი მუშაკია. იმიტომ გასაკებია, რომ რეჟისორმა სწორედ მასთან მოინდომა თანამშრომლობა, მაგრამ სამწუხაროდ, რეჟისორის ამ უთუოდ სამართლიანმა გადაწყვეტილებამ და მხატვრის დიდმა მონდობებამ ამჯერად სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, მხედველობაში მაქვს შემდეგი: დაზგა (რეინიგზის ერთი ნაკვეთი) მოსახერხებელია. სახილველადაც სასიამოვნო. მაგრამ საჭესარის პანორამასთან არ არის პარმონიულად შერწყმული (I მოქ. სცენა თბილისში), ძირითადი პროპორციების დარღვევის გამო პერსპექტივაში მოსჩანს მეტეხის ციხე, რომელიც დაზგის განზომილებასთან შედარებით მეტად პატარა ზომისაა.

წარმოდგენა ფერწერულად მოიწყობება. ორივე მოქმედების მანძილზე



## როგორ დიდება ჩემი პიესა

აკაკი გვხაძე

მიგობარო, შენ მეკითხები, ონის სახალხო თეატრში როგორ წარმოადგინეს ჩემი პიესა „წმინდანები ქოჩოხეთში“. გაინტერესებს არა რომელიმე რეცენზენტის თვალსაზრისი, არამედ თვით ავტორის შთაბეჭდილება და პირთვინელი აზრი.

კი, ბატონო, მაგრამ ვიდრე ამას გავანდობ, მინდა გულწრფელად ვილაპარაკო იმაზე, რა შეხადლებლობა აქვთ საერთოდ სახალხო თეატრებს, კერძოდ, როგორ ცხოვრობს ონის სახალხო თეატრი, რომელსაც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიგა ჭავჭავაძე ხელმძღვანელობს.

— რა თანხა დახარჯეთ ამ დადგმაზე? — ვკითხე რეჟისორს.

— ეგ საკითხავი არც არის, — მომიკვირებან, — ჩვენი ენერჯისი, მონდომებისა და ენთუზიაზმის გარდა არაფერი დაგვიხარჯავს, ჩვენ ხომ სახელმწიფო თეატრი არა ვართ, საკუთარ თეატრალურ ოჯახში რასაც მოვიხელთებთ, ყველაფერს მაქსიმალურად ვიყენებთ, ეგ არის და ეგ.

შერბე სიტყვა დასის შემადგენლობაზეც ჩამოვარდა.

სახალხო თეატრთან სტუდია შეუქმნიათ. სტუდიაში თეატრით გატაცებული ახალგაზრდები არიან გაერთიანებული. ეუფლებიან სასცენო ხელოვნებას და... სახალხო თეატრის წარმოდგენებშიც უმთავრესად ისინი მონაწილეობენ. შემთხვევითი ამბავი არ არის, რომ გიგა ჭავჭავაძის ონელი ახალგაზრდები მასწავლებელს ეძახიან. მისი აღრინდელი რამდენიმე მოწაფე ამჟამად თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს.

სტუდიელთაგან საბოლოოდ ცოტა შერჩება სცენას, მაგრამ თეატრის სიყვარულს კი არავინ დაეკარგავს, განა ეს პატარა ამბავია?

— აი, იმ გოგონას ხედავ? დღისით რომ სამსახურშია, საღამოზე მსახიობობს, ერთ დღეს გამნათებლის მოვალეობას ასრულებს, მეორე დღეს მენტიოფონის ღილაკს აჭერს თიოს და... წარმოდგენის მუსიკალური ბედი და, ასე ვთქვათ, განმთავსება აბარია, სტუდიელთა გარდა ჩვენი მსახიობები არიან რაიონის მუშა-მოსამსახურენი: ზეინკალი, კულტურის სახლის ინსტრუქტორი, სპორტსახოგადოება „კოლმეურნეს“ თავმჯდომარე, მონტიორი „მშენებელი, ნოქარი, არქივის გამგე, პედაგოგი, მოსწავლე... ორი უბაღუე ჩარიდან ახლახან დაბრუნდა და... ორივემ ისევე ჩაიცვა ფარაჯა, ამჟამად სამაშულო

მარცხენა კოლისთან ტირიფი დგას (რატომღაც მრგვალი ფორმისა), რომლის განათებაც რამდენადმე აქვეითებს წარმოდგენის ესთეტიკურ დონეს. მთელი პირველი მოქმედების მანძილზე ტირიფი განათებულია ცისარტყელას ყველა ფერით, თანაც ეს ფერები ძალიან მსუყუდ არის გაქვინთილი და საერთოდ შთაბეჭდილება ამ ხისაგან ისეთია, თითქოს ნაძვის ხის სათამაშოა.

მომდევნო სცენებში ფერთა თამაში იცვლება (თინას განცდებთან დაკავშირებით — მუქდება). მაგრამ დარბაზოდან ეს ჩანადეკრი რატომღაც სათანადოდ ვერ აღვიქვით.

სპექტაკლში გამოყენებულია ო. თაქთაქიშვილის, ა. მაჭავარიანის, შ. აზნაი-

ფარაშვილის მუსიკალური ნაწარმოებები არა მარტო განწყობის შესაქმნელად, არამედ ზოგიერთ ადგილას მოქმედებაშიც არის ჩართული (ექსპოზიციკა, სცენა თბილისში, ფინალი). იგრძნობა, რომ რეჟისორი კარგად გრძნობს მუსიკას, მისი როლისა და ემოციური ზემოქმედების ძალას. მთლიანად წარმოდგენის დონე რეჟისორ ნ. იონათამიშვილის უწინარეობაზე, მის პროფესიულ მომზადებაზე მეტყველებს. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ნ. იონათამიშვილმა თავისი პროფესიისადმი დიდი სიყვარული გამოამჟღავნა უმნიშვნელო დეტალებშიც კი, რამაც სპექტაკლს ერთიანი, დასრულებული სახე მისცა.

ომში დაღუპულ მებრძოლთა სახეების სცენაზე გასაცოცხლებლად.

სახალხო თეატრის მუშაეები ბევრ სიძნელეს აწყდებან, მაგრამ კარგი წარმოდგენის შესაქმნელად არაფერს არ იშურებენ.

— რა გიჭირს, ეს მაყურებლის საქმე არ არის, რაკი იგი თეატრში მოდის, მისი ესთეტიკური გემოვნება უნდა დააკმაყოფილო. მისგან ჩვენ არავითარ შეღავათს არ მოვიტხოვთ.

ეს ჩემს გასაგონად უფრო თქვეს.

დაიწყო წარმოდგენა. მზერავემა ვალიკო იაშვილმა ავტომატი ააკაანა და... კედელზე ტყვიებით წითლად დაწერა „1941“. ეს უკვე სიმბოლური აქორღია. მაყურებელს თავიდანვე შეუქმნა განწყობილება, რომ წარმოდგენა ომის ამბებს ეხება, ომის, რომლის მატინეო ტყვიებით იწერება. ავტომატის ცეცხლი ანათებს გარემოს და ჩვენ ვხედავთ ყუმბარებით დანგრეულ ფართო საფეხურებიან კიბეს. იგი ზღვის სანაპირო მოაჯირსაც ჰვავს და კლდოვან კბილესაც. ამ კლდე-კიბის თავზე ჭარისკაცები ცალ-ცალკე გადმოდიან, ყველა საფეხურს ავსებენ და სცენური დანადგარი უცებ ძველ ციხე-სიმაგრეს ემსგავსება. შემდეგ ეს დეკორაციული დანადგარი ყველა სურათს გასდევს, მაგრამ სხვადასხვა რაკურსით. იგი ხან ზღვაში მიმავალ სამხედრო გემად იქცევა, ხან სახლად წარმოგვიდგება, ხან პატარა ქოხად, ხან საყნის იერს იღებს, ბოლოს კი...

სკობს, ბოლოზე ბოლოს ვთქვათ.

თაკის მოტყუება იქნება, რომ ვითხრათ, როლი ყველა სცენისმოყვარემ თანაბარი სიძლიერით განახორციელა და ყველა ერთნაირად მომეწონა-მეუტი. მით უმეტეს, როცა ჩემი პიესის გმირები სახელმწიფო თეატრების საუკეთესო წარმოდგენებში ვნახე. მათი სახეები გონებაში ღრმად მაქვს აღბეჭდილი და პირველ შთაბეჭდილებათა წაშლა კი, მოგვსენებათ, ერთობ ძნელია. მაგრამ ონელთა წარმოდგენაში მე გამახარა სცენისმოყვარეთა უმრავლესობის გულმოდგინებამ, რაც შეიძლება მიუახლოვდეს გმირს და უშუალო გახადოს იგი.

ნიკო კუდაშვილის როლს აველა ცოხელი ასრულებს. ეს მსახიობი, როგორც იტყვიან, ამ თეატრის სცენას შეაბერდა. მაღლიერმა მაყურებელმა სამიოდე თვის წინათ მას შემოქმედებითი საღამოც კი გაუმართა. ხანდახნული ჭარისკაცის ნიკო კუდაშვილის სახეე მსახიობმა ჩვეულ ოსტატობით გამოქრწა.

მეტ-ნაკლები სიძლიერით წარმოვიდგენენ დანარჩენი სცენისმოყვარენი: ტრერეზია ხიდეშელი (ნადეჟდა ფიალკოვა), მარია ჯაფარიძე (ნასტია), კელტერის დამსახურებული მუშაკი

პავლე დაუშვილი (მაიორი), გელა ისიანი (კავასი), იური ომანაძე (მიო), მიშა შიმშილაშვილი (კაპიტანი კეზნეცი), ჯამხელ თავეაძე (სავლი), იაშა შიმშილაშვილი (სერგი), ომარ ლობჯანიძე (მალეა), უშუალოდით მოხიბლეს მაყურებელი ციციო სხიერელმა (მაია კანდელაკი) და აბრამ ქოსაშვილმა (ამირანი). მზერავე ვალიკო იაშვილის წინააღმდეგობრივი ბუნება სიმართლით გახსნა ვახტანგ ჯაფარიძემ. თენგიზ ბერიშვილს უხედა აქვს მომადლებული იუმორის გრძნობა და ეს შესანიშნავად გამოიყენა ემზარ ჭიბუტის სახსიათო როლში.

მერამ ჯაფარიძემ ამასწინათ გამართულ ახალგაზრდა მწერლების რესპუბლიკურ შეკრებაზე თავისი პირველი ლექსები წაიკითხა. მის სტუმრი რომ პოეტი ზის, ეს კზიდო ქედისა როლის შესრულების დროსაც გვაგრძნობინა. იგი თქვესმეტი წლისაა და სახალხო თეატრში უკვე ოცზე მეტი როლი აქვს ნათამაშები. მერამი სკენაზე თავს თავისუფლად გრძნობს და გმირის ბუნება-ხასიათის გამოსაძერწად ზომიერად არჩევს დეტალებს. მას არც ბუნებრიობა აკლავ, არც სცენური მომხიბველობა.

რეჟისორს პიესის მთავარი გმირის, მირიან კობერიძის განსახიერება ბორის გობეჯიშვილისათვის მიუხდვია და არჩევანში არც. შემეცდარა. მან ყურადღება ბევრი კარგი თვისებით მიიქცია. შესანიშნავი, ხავერდოვანი ხმა და მართალი სახე აქვს. მშენიერი, ვაჟაკური თვალტანადობით გამოიჩინევა და პირველი შეხედვისთანავე გაგრძნობინებთ, რომ ფაქიზი სული აქვს. ყველაოდენ ეს მსახიობისათვის უბრალო ამბავი როღია.

წარმოდგენის შემდეგ ვავიგე, რომ ბორის გობეჯიშვილი, მერამ ჯაფარიძე და თენგიზ ბერიშვილი, თურმე, თეატრალურ ინსტიტუტში შესასვლელად ემზადებიან. არ ვიცი, ეს ახალგაზრდები ინსტიტუტში მოხვდებიან თუ არა, მაგრამ ერთი რამის თქმა აქვე შემიძლია დაბეჭითით: წრთობის შემდეგ ისინი ნამდვილად შეძლებენ. ქართული პროფესიული სკეა დაამშვენონ. მათ ბევრი მონაცემი აქვთ, რომ კარგი მსახიობები გახდნენ.

მოხალღვა წარმოდგენის ფინალი. მირიანმა და მიაამ დაღუბული რახმის სია ფრონტის შტაბში მოიტანეს. ეს სია ხელიდან ხელში გადადის და თანდათან მალა მიიწევს. ჩანს მხოლოდ ხელები, როცა სცენა განათდა, კლდეკაზე უზარმაზარ კვარცხლბეკად მოგვევლინა. კვარცხლბეკის საფეხურებზე დაღუბული გმირები ქანდაკებებივით დგანან. გმირებს დაჰყურებს კვარცხლბეკზე მდგარი დედა-სამშობლოს სიმბოლური ფიგურა, რომელსაც ხელში ღჭირავს და-

## თეატრალი

ლუქულ მებრძოლთა სია. ეს სია თითქმის მთელი კვარცხლბეკის სიმაღლეზე ეშვება და უკვე ძველის წარწერად აღიქმება. ამ მონუმენტური ძეგლის ფერხით მარადიული ცეცხლი ანთია. ცეცხლთან თავდახრილი ღვანდ მირიანის, მიაა, ჯონდო, ნასტია და ნადეჟდა... მარადიული ცეცხლი ანათებს გარემოს და გუგუუნებს უკვდავების სავალბელი.

ასე სიმბოლურად იწყება და სიმბოლურად მთავრდება ონელთა წარმოდგენა.

დრამატურგი ყოველთვის უყენებს რაიმე პრეტენზიას მისი პიესის დამდგმელ რეჟისორსა და კლექტივს. ეს ბუნებრივია. მეც მაქვს ორიოდუე შენიშვნა. განა პარადოქსული არ არის, რომ რაჟაში რაჟველი კაცის — სავლე რეჟისორის სახე ისე მართლად ვერ განასახიერეს, როგორც პიესის სხვა გმირები? ონელთა წარმოდგენაში სავლეს დაკარგული აქვს სცენური ბუნებრიობა. ვალარიბებელი და გაფერმკრთალებულია. მიზანსცენები ძირითადად კარგად არის გამართული. მაგრამ აქა-იქ შეინიშნება ცარიელი პაუზები. სცენაზე ნათქვამი ყველა სიტყვა მაყურებელამდე ვერ აღწევს. სხვამ იქნებ რაიმე სხვა ნაკლი აღმოაჩინოს, მაგრამ ეს არ არის ნიშანდობლივი. მთავარია, რომ ონის სახალხო თეატრმა სწორად გააგო ჩემი პიესის დედააზრი. გააგო და მაყურებელსაც აგრობინა, რომ „წმინდანების“ გმირები მართალი და პატიოსანი ადამიანები არიან. ისინი ომში ჯოჯობები პირობებში ჩააყენა, მაგრამ ამ ადამიანებმა აქაც შეინარჩუნეს თავიანთი ადამიანობა და სიწმინდე. მათ აწუხებთ ქვეყნისა და ერთმანეთის ბედი. სძულთ ომი, მაგრამ ისიც კარგად იციან, რომ ომის ტვირთი არავისთვის არ არის მსუბუქი და ამ ტვირთს თანაბრად ეხადებიან სწორედ იმისათვის, ომი რომ დაამარცხო. ისინი პათეტიკურად არ გააყვირიან „ვაშას“, მაგრამ როცა საჭიროა, სამშობლოს სიყვარულს ყველაზე მაღლა აყენებენ და უყოყმანოდ სწრაფენ თავს თავიანთი ადამიანური სიწმინდის-პატიოსანებისა და ქვეყნის გადარჩენად.

ონელ, ამბროლაურელ, ქუთაისელ და თბილისელ მაყურებელს გიგა ჯაფარიძის დამდგმული ბუკი კარგი წარმოდგენა ახსოვს. რა დვილს დაიქურს მის რეჟისორულ შემოქმედებაში „წმინდანები“, ამას მომავალი ვეჩვენებს. მაგრამ ემოციური წარმოდგენის შესაქმნელად მას ძალიან ნიჭი და ფანტაზია რომ არ დაუზოგავს, ეს უტყუარი ფაქტია.

პიესის ავტორს ამისათვის მაღლობის მეტი რა შეუქმის, დანარჩენი კი მაყურებლისა და თეატრმოცდენებისათვის მიმინდვია.

ბასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული. ნინო ჩხეიძემ ქართული თეატრის ისტორიაში არაერთი საუკეთესო ფურცელი ჩაწერა. მრავალი წლის მანძილზე იგი თავისი მაღალმხატვრული ნიჭითა და დიდი არტისტული გაქანებით აჯადოებდა თბილისის, ქუთაისისა და საქართველოს სხვა ქალაქებშია და დაბა-სოფლებს მათყობებდა.

ქართული თეატრის ისტორიის შექმნეველთათვის კარგად არის ცნობილი მისი შეახებ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ყველა მასალა, მაგრამ დღემდე ძალიან ვიწრო წრემ იცოდა მისი მდიდარი პირადი არქივი.

ამას წინათ საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმმა ნინო ჩხეიძის მიემკვიდრეთაგან მიიღო მსახიობის პირადი არქივი, რომლის ზერეკლედ თვალის გადაკვლევაც კი გვარწმუნებს თუ რაოდენ მდიდარი იყო მსახიობის შემოქმედებითი გზა.

პირადი არქივის უეჭველ მშვენიერებას წარმოადგენს ხელნაწერი ყურნალი, რომელიც მსახიობს 1919 წელს ქუთაისში გამართულ იუბილეზე მიართვეს ყურნალ „თეატრის და მუსიკას“ რედაქციის სახელით. ყურნალში თვით ავტორების ხელითაა ჩაწერილი აღვრთოვანებული წერილები საყვარელ მსახიობებზე. აქ შეხვდებით ჩვენი სასიკაძულო მწერლის დავით კლდიაშვილის ნიერ დაწერილ გულთბილ წერილს, შალვა აფხაძის, სერგო კლდიაშვილის, ჯაჭვ ჯორჯიკის, დია ჩიანჭილის, გრიგოლ აბაქელიძის, მიხეილ ჭიაურელისა და სხვათა წერილებს. ყურნალის გვერდზე, რომელიც პოეტ პაოლო იაშვილს აქვს დათმობილი, გულთბილი ლექსია მოთავსებული:

„თეატრი ჩემთვის — პრობლემა!  
ქართული თეატრიც — ალბათ!  
მაგრამ მე მიყვარდა სიარული ქართულ  
თეატრში! რისთვის?  
მიყვარდა ხედვა ნინო ჩხეიძის“.

ხელნაწერი ყურნალში მოთავსებული ლექსების გარდა არქივში ქართველი პოეტების მრავალი ლექსია დაკრული, ჩიერ კლდე სრულიად ახალგაზრდა შალვა დადიანმა 90-იან წლებში მსახიობ ქალს მოზრდილი ლექსი უძღვნა, სადაც ვკითხულობთ:

## მეზეუმის შენახენი

„კარგო ნინა, შენ ცვარი ხარ,  
ტურფა ვარდზედ დათრთვილული,  
ოქროს ფერად მოღვვარე,  
მარგალიტად ატვიფრული“.

შვილებს გადმოცემით ნ. მარჯანი-  
შვილის ქვემოთ მოყვანილ სტრიქონებს,  
თურმე, ნინო ჩხეიძე მოხუცებულ-  
ბამდე ხშირად იმეორებდა.

„ნუ ცავ! ნუ ნამავ, ნუ სტირი.  
სულ გლოვა როდი კარგია!..  
ცავ! სულ ბურუსი რა არის,  
ზოგჯერ მოწმენდაც კარგია!“

მწერალ დავით მეტეჟის (კვარნაძე)  
1919 წელს იუბილეზე მსახიობისათვის  
ლექსი უძღვნია, უფრო გვიან, 1946  
წელს, მსახიობის 50 წლის საიუბილეო  
დღეებში კვლავ ახალი შემდეგი ლექს-  
ით მიუძღმართავს:

„შწარ და.. ფიქრები  
სად შევაჩერო,  
ლურჯ მოგონებებს  
ანადეენები.  
დაფნის გვირგვინის  
შუბლს გადავას ჩერო,  
ძირს დაუხრია  
ვახებს მტევნები“.

მსახიობისადმი მიძღვნილ მრავალ  
ლექსთა შორის შეხედებით პოეტ სიკო  
ფაშალიშვილის გულთბილ ლექსაც, რო-  
მელსაც მწერლის მიერ 1963 წ. დაწე-  
რილი ბარათიც ახლავს თან. ამ ბარათ-  
ში ვკითხულობთ:

„გამდლობთ, ათასჯერ, ათიათას-  
ჯერ გამდლობთ იმ მწუხარებისა  
თუ ცრემლებსათვის, რაც თქვენ  
და ლადოს, ვალოკოს, თქვენს  
ბრწყინვალე კოლეგებს განმკაცებ-  
ლად გამოგიტანებიათ... ქართული  
სცენიდან ჩემთვის, ჩემი თაობისა-  
თვის, ქართველი ხალხისათვის...“

არქივში ინახება ნინო ჩხეიძის პირ-  
ველი მასწავლებლის, სახელოვანი ლა-  
დო მეხნიშვილის პორტრეტი. რომელიც  
1896 წელს თავისი ახალბედა მოწაფე-  
სათვის გულთბილი წარწერით უძღვნია  
და უსურვებია, რომ ეხილათ იგი დაფ-  
ნის გვირგვინით შემოკული.

აქვეა ვალ. გუნიას პორტრეტი, მიძღ-  
ვნილი ნინო ჩხეიძისადმი, წარწერით:  
„ნინა, იყავით მუდამ ეგეთი, როგორცა  
ხართ — მშვიდი, ლამაზი, გულკეთილი  
და უმანკო და მეც მარად თქვენი ერთ-  
გული და პატარისმცემელი ვიქნები.  
1895 წ. 25 დეკ.“

ნინო ჩხეიძის არქივში ქართველი  
მოღვაწეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი  
და საინტერესო ფოტო-კოლექცია აღ-  
მოჩნდა. აქ არის კოტე ყიფიანის, კოტე  
მარჯანიშვილის, იუზა ზარდალიშვილის,  
პლატონ კორიშელის, არეთა ლოლუას,  
ელისაბედ ჩერქეზიშვილის ფოტოსურა-  
ები. რომლებზეც აღბეჭდილია ქუთაისის  
თეატრის სხვადასხვა წლების დასვებს  
შემადგენლობა, ტექნიკური პერსონალი  
და სხვ.

აქ დაცულია შესანიშნავი მსახიობე-  
ბის ეფემია მესხის მიხეილ ნემოს, ნუჟუ  
მაჭავარიანის, ელო ანდრონიკაშვილის,  
რეჟისორ გამრეკელ-თორელის, მწერალ  
სიკო ფაშალიშვილის, მოსკოველი კრი-  
ტიკოსის ა. ფევერალსკის და სხვათა პირა-  
დი წერილები, რომლებშიც საინტერეს-  
ო აზრებია გამოთქმული თეატრალური  
მოვლენების შესახებ. არქივში დაცუ-  
ლია ქუთაისის მუშებისა და ნოქრების  
სახელით მსახიობისთვის 1911 წლის 12  
თებერვალს, მისი ბენეფისის დროს მი-  
ართმეული ადრესი.

განსაკუთრებით მდიდარი მასალაა  
დაცული ნინო ჩხეიძის 1919 წლის იუ-  
ბილეს შესახებ.

ამ წელს, ქუთაისსა და თბილისს გარ-  
და, საიუბილეო საღამოები გაიმართა  
სამტრედიასში, ხონში, ჭიათურაში და  
სხვა ქალაქებში. თუ რაოდენ დიდი სა-  
ზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა საკ-  
ვარელი მსახიობის იუბილეს, ადასტუ-  
რებს მრავალრიცხოვანი ადრესები, დე-  
პეშები, მილოცვები — სხვადასხვა ორ-  
განიზაციებისა და კერძო პირებისაგან.

არქივში დაცულია ქართული საბ-  
ჭოთა თეატრის ისტორიის ამსახველი  
მრავალი წერილი თუ ისტორიული დო-  
კუმენტი. გამოჩენილ ქართველ მწარ-  
ლთა, ხელოვნების მოწაფთა, მეცნიერთა  
სიტყაობა, აქვე არის ნინო ჩხეიძის მო-  
გონებების ავტოგრაფი. აქ ნახავთ აკ-  
რეთვე მოგონებებს ქართული თეატრის  
მოღვაწეებზე, რომელნიც სხვადასხვა  
მიზეზის გამო, ნინო ჩხეიძის „მოგონე-  
ბების“ 1956 წლის გამოცემაში არ შე-  
ვიდა.

არქივში 250-ზე მეტი დასახელებისა  
დოკუმენტია თავმოყრილი.

ლემი კაკანაძე

ნ ა ტ ო ბ ა ბ უ ნ ი ა

დაბადების 100 წლისთავის გამო

„ბემრი რამ კარგი და თან მწარე გამო-  
მივლია სცენაზე... ჩემთვის ყველაფერს  
თეატრი შეადგენს. ეხლაც ანა... შეიძ-  
ლება მე სცენისთვის ჩალადაც არ ვლირ-  
დე ეხლა. მაგრამ იგი ჩემთვის ყველა-  
ფერია“...

თეატრის მემბტიანე აუღელვებლად  
ვერ წაიკითხავს ნ. გაბუნის ამ სტრიქო-  
ნებს.

ნატო გაბუნია. მკო საფაროვა. ვასო  
აბაშიძე. ლადო მქსიშვილი. ვალერიან  
გუნია... აი სახელები ქართული სცენის  
იმ გამოჩენილი მოღვაწეებისა, რომელ-  
თაც დიდი როლი ითამაშეს პროფესიო-  
ნული თეატრის განახლებაში და წლების  
მანძილზე დიდი სიყვარულით, თავდა-  
დებითა და სასოებით ზოდეს ის მძიმე  
ტვირთი მსახიობისა, რომელსაც ქართუ-  
ლი თეატრი აკისრებდა მათ.

ქართული თეატრის მსახიობები სი-  
ტყვიითა და საქმით, პატიოსნად და პირ-  
ნათლად ასრულებდნენ თავიანთ შემოქ-  
მელებით და მოქალაქეობრივ მოვალეო-  
ბას თავისი ქვეყნის წინაშე. მათ შორის  
ერთი პირველთაგანი ნატო გაბუნია იყო.

1879 წლის პირველი სექტემბერი  
ქართული კულტურის დიდ დღიანსწაუ-  
ლად იქცა. ამ დღეს გაიხსნა პირველად  
განახლებული ქართული თეატრის სე-  
ზონი და პირველსავე სექტატაკლებში ნა-  
ტო გაბუნის დიდი გამარჯვება ხვდა წი-  
ლად... „განსაკუთრებით უფალ აბაშიძეს  
და ნატო გაბუნისა ქალს ბევრი ტამის  
კვრა და „ბრაჯო“ ეძღვნა იმ ესთეტიკო-  
რი სიამოვნებისათვის. რომელიც მოგ-  
ვეს იმთა თავიანთი ჩინებულის ნიჭი-  
რის თამაშობით“. — წერდა გაზეთი  
„დროება“.

სულ მცირე დროში მოიხვეჭა ნატო  
გაბუნამ მაყურებლის უდიდესი სიყვარ-  
ული და აღიარება. მაყურებლის ეს  
სიყვარული და აღიარება იყო 1880  
წელს ნატო გაბუნის ბენეფისი, რომე-  
ლიც საყვარელი მსახიობის დღიანსწა-  
ულად აქცია მადლიერმა მაყურებელმა.  
ამ დღეს ნატო პირველად ასრულებდა  
აკაკი წერეთლის მიერ მისთვის საგანგე-  
ბოდ დაწერილ კომედია „კინტო“-ში  
სალომეს როლს. მსახიობის ყოველ გა-  
მოსვლას მქუხარე ტამით ხვდებოდა

დარბაზი. განსაკუთრებით ხიბლავდა  
მათ ნატოს მშვენიერი სიმღერა და  
აკულშიანმწველში ხმა. წარმოდგენას  
შემდეგაც არ დამცხრალა თეატრი...  
უამრავი ყვავილები და საჩუქრები მი-  
ართვეს საყვარელ მსახიობს და ბოლოს  
ჩირადენებით ხელში ეტლამდე მიაცი-  
ლეს. ეს მოხდა მისი მოღვაწეობის და-  
წყების ოთხი თვის შემდეგ.

ოცდაათი წელი იმოღვაწა ნატო გა-  
ბუნია ქართულ სცენაზე. ამ ხნის მან-  
ძილზე არ შენელებულა ხალხის სიყვარ-  
ული და ინტერესი დიდი მსახიობის  
შემოქმედების მიმართ.

ნატო გაბუნია ჰუმანიტატი შემოქმე-  
დი იყო. მის თვითნაბად არტისტულ  
ნიჭს აღტაცებაში მოყავდა მნახველი.  
„უბრალო და სადა. ბუნებრივი და, ამა-  
ვე დროს, გრძნეული და ჯადოსნური“ —  
ასე ახასიათებენ მის შემოქმედებას თა-  
ნამოღვაწენ.

ნატოს ხალხმა ნიჭმა დააჩუყვედა დიდი  
ხელოვანი — ილია ჭავჭავაძე, აღიქ-  
სანდრე ოსტროვსკი. სახელგანთქმული  
მსახიობი, კრნესტო როსსი და სხვები.

ნატოს ნიჭით მოხიბლულმა ილიამ  
საგანგებოდ მისთვის გადმოაკეთა პიესა  
„მაქანკალი“ თავისი უკვდავ მოთხრობი-  
დან „კაცია ადამიანი“. ნატოს ნიჭით  
შთაგონებულმა დაუწერა საყვარელ მე-  
უღლეს ასიკო ცაგარელმა „ხანუმა“. ეს  
შესანიშნავი კომედია დღესაც წარმატე-  
ბით სარგებლობს ქართულ სცენაზე,  
თბილისსა თუ ეკრანზე.

ნატოს მიერ შესრულებული ყველა  
როლი — მთავარი იყო ის თუ მეორე-  
ხარისხოვანი — ყოველთვის წინა პლან-  
ზე იყო წამოწეული. მისი მდიდარი ფან-  
ტაზია, გარდასახვის იშვიათი უნარი შე-  
საძლებლობას აძლევდა მას ერთნაირად  
აღიფრთოვანებინა მაყურებელი.

გლეხის დედაკაცი და მოხუცი გლე-  
ხის ქალი. („ტივით მოგზაურობა“), კატო-  
ნა და ორომე („რაც გინახავს, ვიღარ  
ნახავ“), ელისაბედი („გერ დახოცენენ,  
მერე იქორწინეს“), მელანია („მელა-  
ნიას თინში“), ქიჩქინე („ქორთლი“),  
კუკუშკინა („შემოსავლიანი ადგილი“),  
ხამფერა („ხათაბალა“) და სხვა მრავა-

ლი, თითოეული ნახვის შემდეგაც არ ავიწყდებოდა მაყურებელს.

ყველა მსახიობს, რაოდენ დიდი და მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს მისი შემოქმედება, აქვს თავისი საყვარელი როლი, თავისი შემოქმედების მწვერვალი. ასეთ მწვერვალებად ნატო გაბუნიას შემოქმედებაში ითვლება მადამ ფროშარი, კორმონის და დენერის მელოდრამაში „ორი ობოლი“ და ხანუმა ასიკო (ვაგარლის კომედიაში).

მადამ ფროშარი... პარიზის გარეუბნის მაწანწალა... ლითონ და ბოროტი მოხუცი... თანაც ფრანგი... ნატო გაბუნია კი საქართველოს ფარგლებს არასოდეს გასცილებია... სწორედ აქ იჩინა თავი მსახიობის დიდმა ინტელიციამ და თანდაყოლილმა ნიჭიერებამ. როდესაც ამ როლზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ მსახიობის მიერ შესანიშნავად მივსახილველი გარეგნული სახე: დაფიქრებული ტანისამოთი... ქუჩიანი-დახეულ თავსაფარში გამოჩრილი თმები, (ხვირმოქციული ფრატურა ფეხსაცმელები, რომელიც ხელს უწყობდა მსახიობს განსაკუთრებული სიარული მოენახა ამ როლისათვის. „პროფესიონალ გლახა-მთხოვრებს, რომ თავიანთი სახელმწიფო ჰქონოდათ. მეფედ უიჭვილად ნატოს აირჩევდნენ. ისე ზედმიწევნით ანსახიერებდა იგი ყველა მათ თვისებას მრავალთა შორის გაფანტულს“. — წერს ილია ზურაბიშვილი.

„ხანუმას“ დადგმა 1889 წლის პირველ დეკემბერს ქართული თეატრის დღესასწაულად გადაიქცა. ეს იყო თეატრის და ნატო გაბუნიას ტრიუმფი. მსახიობმა სული შთაბერა ასიკო (ვაგარლის მიერ სიყვარულით დაწერილ სახეს და სამსახიობო შესრულების მაღალი ოსტატობის სიმადლემდე აიყვანა. ამ როლში ნატომ ბევრი რამ თვით შეიტანა, გაამდიდრა და მრავალფეროვანი გახადა. ის ხომ ბრწყინვალე ინპროვიზატორიც იყო. ნამდვილი ოსტატობით, შემოქმედებით ზემთაგონებით ასრულებდა მსახიობი ვანო ფანტიაშვილის მოლოდინის სცენას. ხანუმა, აკოფა და სონა თათბირობენ როგორ მოიშორონ თავიდან ვანო ფანტიაშვილი. რომელიც საცა გამოჩნდება... ხანუმა-გაბუნია ამჟღავნებდა ადგილებულ სონას და აკოფას „თქვენ არხეინად იყავით“ და რო-

დესაც ისინი შეეკითხებოდნენ როგორ... ნატო პაუზას აკეთებდა... ოდნავ ჩაილიმებდა ეშმაკურად... შემდეგ ეს ღიმილი თანდათან მთელ სახეზე გაიშლებოდა, ძლიერდებოდა და ბოლოს სიცილად გადაიქცეოდა და თითქმის ხარხარით ამბობდა „მე ვეჩვენებო“... „ეს ისეთი მომხიბლავი მიზანსცენა იყო — იგონებდა ამ სპექტაკლის ერთერთი მონაწილე, — რომ თავბრუ დამესხა და სულ დამავიწყდა სცენაზე გასვლის შიში და ჩემი თავიცო“.

ნატო გაბუნია სახალხო არტისტი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ის ყველგან თამაშობდა. სადაც კი მიიწვივდნენ: სახალხო სახლებში, დაბასოფლებში, საქველმოქმედო მიზნით გამართულ სპექტაკლებში... თამაშობდა დაუზარებლად, უანგაროდ, თავდავიწყებით.

ამიტომაც გადაიქცა სახალხო ზეიმად მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, რომელიც დაიწყო 1909 წლის 29 ნოემბერს თბილისში. შემდეგ გადავიდა ქუთაისში, ქიათურაში, მშობლიურ გორაში... ეს დღესასწაული გრძელდებოდა თითქმის გაზაფხულამდე.

1910 წლის აგვისტო... ხეივანურთში დასასვენებლად ჩასული მსახიობი ვერც აქ იხვეწებს და საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენის გამართვას გადაწყვიტს.

„ძვირფასო ძამია ნიკო — წერდა ნიკო გოციოძეს — მოგელით პარასკეს, ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვითამაშებთ, რადგანაც სოფელმა სცენა ვერ მოახერხა და კირას კალოზე გავმართოთ წარმოდგენა. გლეხებისათვის. შემოსავალი გლეხთაგონისათვის არის. აბანო უნდა გაეუმართოთ.“ ეს წარმოდგენა მართლაც გაიმართა ქარელში. ეს იყო ნატო გაბუნიას მიერ ნათამაშევი უკანასკნელი სპექტაკლი, რომელსაც ნატო გაბუნია „გედის სიმღერა“ უწოდებდა. ბურთიკაშვილმა, თბილისის დაბრუნებული მსახიობი გზაში გაცოვდა და 16 აგვისტოს გარდაიცვალა.

ქართველმა ხალხმა გულწრფელი ცრემლებით დაიტირა საყვარელი მსახიობი: საქართველოს ყველა კუთხე მონაწილეობდა საერთო გლოვაში.

**ნათელა ლაშინია**

## კობე უიზიანი

დაბადების 120 წლისთავის გამო

თბილისში, ქართულ თეატრში, 1914 წლის 26 იანვარს კოტე ყიფიანის სასცენო მოღვაწეობის 45 წლის იუბილე იყო დანიშნული. ძალიან მინდოდა ამ იუბილეზე დავსწრებოდი, რადგან კოტე ყიფიანი არ მენახა. ორი-სამი საღამო ვიტრიალე სალაროსთან, იქნებ შემთხვევით ბილეთი ვიყიდო-მეთქი, მაგრამ ვერაფერი გავწყვი. მართალია, გადამყიდვილებს ჰქონდათ ბილეთები (სალაროში აღარც ერთი ბილეთი აღარ იყო). მაგრამ ძალიან ძვირად აფასებდნენ. ჩემთვის შეუძლებელი იყო ორი-სამი მანეთის მიცემა ბილეთში, ამაზე ნაკლებად კი ბილეთი არ იყო. მივიდი იუბილეს საღამოსაც, თეატრის წინ მდგომმა ბიჭებმა მითხრეს, რომ ათ შაურად შეიძლება შესვლა. ხალხი რომ ყველა შევა—კარკებში მდგომი კონტროლიორი ათ შაურს გამოგართმევს და უბილეთოდ შეგიშვებსო. გადაწყვიტე დაველოდებოდი ხალხის შესვლას და ათ შაურად შეკუსულიყავი. ამ ლოდინში უცბად ვიღაც ჩემსავით ახალგაზრდამ წამოიძახა: „ქანდარის ბილეთი მაქვს, ათ შაურად ხომ არავის უნდაო“. ბევრი გაეჭანა მისკენ, მაგრამ მე ყველაზე ახლოს ვიდექი, იმ წუთს ჩავჭიდე ხელი, ბილეთი გამოვართვი, გავსინჯე და ათ შაურიანი მივიცი. მითხრა, რომ თეატრში ვიღარ მიდის, სხვა რაღაც საქმე აქვს და ათი შაურის ტყუილ-უბრალოდ დაკარგვა დაენანა. მე მადლობა გადავუხადე და თეატრს მივაშურე. დარბაზი გაჭედილი იყო, ქანდარასზე ხომ სუნთქვა აღარ შეიძლებოდა.

თავს არ შევანწყენ მკითხველს საიუბილეო საღამოს აღწერით. მე მაინტერესებდა კოტე ყიფიანის თამაშა. მან ამ საღამოს შეასრულა გიქოს როლი ვ.

სუნდუკიანის „პეპოში“ (წარმოდგენილი იყო მესამე მოქმედება).

მართალია, მე სრულიად ახალგაზრდა, თბილისში ახლად ჩამოსული ვიყავი სამუშაოდ და სასწავლებლად. მაგრამ თეატრში ავკარგის გარჩევა შემეძლო. ბავშვობიდანვე თეატრს ვუტრიალებდა, სცენისმოყვარეც ვიყავი და წაკითხულიც ბევრი რამ მქონდა თეატრზე. კოტე ყიფიანის თამაშმა პირდაპირ გამაოცა. წელში მოხრილი მოხუცი გაქიანურებული საუბრობდა, ჯიბიდან ბურნუთის კოლოფი ამოიღო და ბურნუთი ცხვირის ნესტოში შეიყარა— ეს ისე ოსტატურად გააკეთა. რომ დამსწრეთა სიცილი გამოიწვია. უნდა გენახათ რასითბო და კაცთმოყვარეობა იგრძნობოდა მის სიტყვა-მოქმედებაში... მე მამინ არ ვიცოდი, რომ ეს იყო მისი ერთ-ერთი საუკეთესო როლი, რომსამოცდაათიან წლებში ქართულსცენაზე პირველად დადგმულ „პეპოში“ კოტე ყიფიანმა შეასრულა ეს როლი და მას შემდეგ იშვიათად თუ ვინმე სხვა მას ითამაშებდა.

მე ნაძალადეგში ვცხოვრობდი. გავიგე, რომ ნაძალადეგის თეატრში, იუბილეს რამოდენიმე დღის შემდეგ, კოტე ყიფიანი იყო მოწვეული საზეიმო წარმოდგენაზე და მისი მონაწილეობით ნაძალადეგის სცენის მოყვარეთა წრეს უნდა წარმოედგინა დ. ერისთავის „სამშობლო“. მე დავეცნარი ამ წარმოდგენას. დიდი განსხვავება იყო ნაძალადეგის სახალხო თეატრსა და ქართულ თეატრს შორის, როგორც შენობის. ისე მართებელთა მხრივ. ქართული თეატრის დარბაზი ბრწყინავდა შუქსინათლით და პარტურში წამოჭიმულნი იყვნენ სერთუკებში გამოწყობილი ცნობილი პირები. ნაძალადეგის თეატრის ნახევრად ჩაბ-

ნელიბულ დარბაზში კი ისხდნენ მუშები დაკორებული ხელებით, უბრალოდ ჩაცმულნი. მაგრამ ისეთი გულწრფელობა და სიხარული, რაც ამ უბრალო მაყურებელმა კოტე ყიფიანს დაახედრა, იშვიათად თუ მახსოვს. რაც შეეხება თამაშს — კვლავ გამაკვირვა კოტე ყიფიანის მიერ შექმნილმა სვიმონ ლეონიძის სცენურმა სახემ. ეს ხომ გიგანს სრულეობით საწინააღმდეგო ხასიათის როლი იყო — დრამატიზმით აღსავსე. სვიმონ ლეონიძე წარმომიდგა, როგორც უაღრესად სულგრძელი, კეთილშობილი, თავისი ქვეყნისათვის თავგანწირული ადამიანი.

მახსოვს ვწუხდი, რომ კოტე ყიფიანი კარგი რიგად აღარ გამოდიოდა სცენაზე მოხუცებულობის გამო. მე მხოლოდ ერთხელ შემხვდა მისი ნახვა, როგორც სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი წრის სექრეტარის მონაწილეს. წარმოდგენილი იყო ა. ცაგარლის „ციმბირული“ და კოტე ყიფიანი ასრულებდა ივანე ჟსტაბაშის როლს. მახსოვს სცენა ტრიფონ ბლდანიჩ მახუთიანის სახლში, მისი შემოსვლისა ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ. დაფლეთილ ტანსაცმელში. თეთრი გრძელი წვერით, თმა აბურძგნული-სახარკელ სანახაობას წარმოადგენდა. როდესაც მახუთიანს მიმართა:

„... ერთი რომ დამეძახა. „ბიჭო ტიგრან“!... ოცდაათი პრიკაშნიკი და ბიჭი გამოიბოდა...“ ეს სიტყვები ისეთი ხმით წარმოთქვა, რომ მახუთიანთან ერთად მეც შემეშინდა — ტანში ქრუანტილმა დაშიარა.

ამ ჩემი ახალგაზრდული შთაბეჭდილებების შემდეგ, შევეცადე მოკლე და გააღწოთ კოტე ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა.

კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი დაიბადა 1849 წლის 15 მარტს თბილისში. საშუალო განათლება მიიღო თბილისშივე. ხატვის ნიჭი აღმოაჩნდა და მამამ 1865 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიბარა, მაგრამ პეტერბურგში თვალის ავადმყოფობა ტრაქომა გადაედო და მკურნალებმა ხატვა აუკრძალეს.

უმალღესი განათლების მისაღებად

იძულებული იყო მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში შესულიყო, მაგრამ ოჯახური მიზეზებით კერც აქ დაამთავრა სრული კურსი და 1870 წელს საქართველოში დაბრუნდა. დაიწყო სამსახური ქუთაისის სააქციონო სამმართველოში. შემდეგ მსახურობდა ბორჯომის სახელმწიფო მამულების სამმართველოში.

სასცენო მოღვაწეობის სურვილი კოტე ყიფიანს სიყრმიდანვე აღედგა. კოტეს მამა, დიმიტრი, — ცნობილი საზოგადო მოღვაწე. — მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართული თეატრის აღორძინება-განვითარების საქმეში. მან დიდი დახმარება გაუწია გიორგი ერისთავს ქართული თეატრის აღდგენაში 1850 წელს. ხოლო სამოციან და სამოცდაათიან წლებში ხელს უწყობდა სცენისმოყვარეთა წრეების მოღვაწეობას. მის ოჯახში იმართებოდა სცენისმოყვარეთა წრის რეპერტოიები. ამ თეატრალურ ატმოსფეროში გაიზარდნენ კოტე ყიფიანი და მისი და ელენე. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო მათი შემდგომი აქტიური მონაწილეობა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

კოტე ყიფიანის პირველი გამოსვლა სცენაზე მარცხით დამთავრდა. ის თორმეტი წლისა იყო. როდესაც მონაწილეობა მიიღო თბილისის სახაზინო თეატრში გამართულ სცენისმოყვარეთა საქველმოქმედო წარმოდგენაში. დ. ყიფიანის მიერ თარგმნილ მოლიერის კომედიამ „ძალად ცოლის შერთვევინება“. ასრულებდა პაჟის უსიტყვო როლს. კოტე ყიფიანი 1919 წელს ჟურნალ „ფასკუნჯში“ დაბეჭდილ მოგონებაში ასე აგვიწერდა ამ ამბავს: „... ამ პიესაში ქალის დორიშენას როლი შეასრულა ვასილ მაჩაბელმა. რადგანაც ქართველი ქალები ვერ ვერ ბედსავედნენ სცენაზე საჩივროდ გამოსვლას და სირცხვილადაც მიიჩნდათ მამის ამისთანა მოღვაწეობა. მაჩაბელს ჩააცვივს რაღაცნაირი კაბა, რომლის შლიეფი სამი არშინის ტოლა მისთარედა უკან. ეს კუდი-შლიეფი მიკერებულნი კი არა, მიბლანდულნი და აქა-იქ ქინძისთავებით მიამაგრებულნი იყო. ეს შლიეფი მე დამაჭირინეს ხელში და ასე გავედიოთ პირველად სცენაზე.“



## ღვანულადი პატივითი პატივითი

მაგრამ ვაი ამ გასკლას! რა დაეინახე უმ-  
ველებელი დარბაზი თეატრისა და აუ-  
რბელი ხალხი, მე ჭირ გავშტერდი, და-  
ვალე პირი და გავშეშდი ერთ ადგილას.  
მანაბელი თურმე წინ მიიწევდა და მე  
რომ ადგილიდან არ ვიძროდი, გაიწია  
ღონივრათა და მისი კუდი-შლიეფი ხელ-  
ში შემჩრა! წასკდა სიცილი იმოდენა  
ხალხს და ატყდა ერთი უშველებელი  
ტაშის ცემა. მე შემრცხვა, გავწითლდი  
და მანაბლის კუდიანად გავვარდი კულ-  
სებში!..“

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ,  
1871 წლიდან, კოტე ყიფიანი უკვე მუდ-  
მივად იღებდა მონაწილეობას თბილისის  
სცენისმოყვარეთა წრეების წარმოდგე-  
ნებში ჭირ როგორც სუფელიორი, ხოლო  
შემდეგ როგორც მსახიობი. სამოცაუ-  
ათიანი წლების სცენისმოყვარეთა წარ-  
მოდგენებში საძირკველი ჩაუდგეს ქა-  
თული პროფესიული თეატრის განახლე-  
ება 1879 წელს. ამ ახალი თეატრის  
ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო კოტე ყი-  
ფიანი, ისევე როგორც ნატო ვაბუნია,  
მაკო საფაროვი, ვასო აბაშიძე, კოტე  
მესხი და სხვები.

კოტე ყიფიანის სახით ქართულმა  
თეატრმა შეიძინა ნიჭიერი, გულმოდგო-  
ნი, მუყაითი და თავისი საქმის უაღრე-  
სად მოყვარული სცენის ოსტატი.

ნახევარი საუკუნე ემსახურა კო-  
ტე ყიფიანი თავის საყვარელ საქმეს და  
ამ ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდ-  
ში მრავალი შესანიშნავი სცენური სახე  
შექმნა. იგი სახასიათო როლების დიდი  
ოსტატი იყო და თანაბარი ნიჭიერებით  
ასრულებდა როგორც დრამატულ, ისე  
კომიკურ როლებს. ვალერიან გუნიანო-  
ვის საინტერესო წიგნში „ქართული თე-  
ატრი 1879—1889 წ.“, ხაზგასმით აღ-  
ნიშნავდა რა კოტე ყიფიანის ამ თვისე-  
ბას, წერდა: „მწელად გამოვა არ-  
ტისტი, რომ ერთის და იმავე ხელოვნე-  
ბით და ბუნებრივის სიმართლით ითამა-  
შოს დრამატული და კომედიური რო-  
ლები, ბებრები და ახალგაზრდები. ამ  
შემთხვევაში კოტე ყიფიანი სრულებით  
არამეფეულებრივ მოვლენას წარმოად-  
გენს ჩვენს სცენაზე მანც.“

უამრავ როლებიდან, რომლებიც ნა-  
ხევარი საუკუნის მანძილზე კოტე ყიფი-  
ანმა შეასრულა, ჩამოვთვლით ზოგი-  
ერთს: სვიმონ ლიონიე (დ. ერისთავის  
„სამშობლო“), ოტია ჯოლია (გ. გუნიან  
„და-ძმა“), გივი (ა. წერეთლის „პატარა  
კახი“), კონსტანტინე (ა. ყაზბეგის „კონ-  
სტანტინე ბატონიშვილი“), გიქო და ზიმ-  
ზიმოვი (გ. სუნდუქიანის „პეპო“), ოსეფ  
(გ. სუნდუქიანის „დაქვეული ოჯახი“),  
ზამბაროვი (გ. სუნდუქიანის „ხათაბა-  
ლა“), ივანე უსტამბაში (ა. ცაგარლის  
„ციმბირელი“), ფამუსოვი (ა. გრიბოუ-  
დოვის „ვაი ქვიისაგან“), გოროდნიჩი  
(ნ. გოგოლის „რევიზორი“), ანანია (ა.  
სუმბათაშვილის „ლალატი“), ლირი (უ.  
შექსპირის „მეფე ლირი“), შევლონა  
(უ. შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“),  
სკაპენი (მოლიერის „სკაპენის თინები“),  
და სხვ. ძალიან განსხვავდებიან ერთმან-  
ეთისაგან ლირი და ზიმზიმოვი, ივანე  
უსტამბაში და ანანია, სკაპენი და გიქო,  
სვიმონ ლიონიე და ზამბაროვი, მაგრამ  
მიუხედავად ამ სხვაობისა, მსახიობი ყო-  
ველ როლს დიდი მხატვრული ოსტატო-  
ბით ასრულებდა. ყოველი მათგანი ბუნ-  
ებრივობით და რეალისტური სიმართ-  
ლით იყო აღბეჭდილი.

კოტე ყიფიანის ნიჭი და ოსტატობა  
შენიშნეს რუსული თეატრის მოთავეებ-  
მა და არა ერთხელ სთხოვეს მსახიობს  
რუსულ სცენაზე გადასულიყო სამოღვა-  
წეოდ. ის ზოგჯერ გამოდიოდა კიდევ  
თბილისის რუსული დასის წარმოდგე-  
ნებში, მაგრამ სამოღვაწოდ გადასე-  
ლარუსულ თეატრში არ მოიხურვა. ამ-  
ბობდა, რომ ქართული თეატრი ჩემი  
მშობლიური თეატრია, თავს ვერ დავა-  
ნებებო.

კოტე ყიფიანმა კარგად იცოდა თე-  
ატრალური ხელოვნების უაღრესად დი-  
დი მნიშვნელობა ხალხის გათვითცნო-  
ბიერებისათვის. ოთხმოციან წლებში  
ქორნალ „ვერიაში“ გამოქვეყნებულ  
ერთ-ერთ სტატიაში ის წერდა: „თეატ-  
რი არის ცხოვრების ასპარეზი, რომელ-  
ზედაც თვით ცხოვრება შენ თვალწან

სწარმოებს, ცხადად და ამკარად დანახება. თეატრში წარმოდგენილი რამ ამბავი თვალთ დასანახავია და ყურით სასმენელი, მგრძნობიერი. ამიტომაც არის თეატრი საუკეთესო სკოლა, სასწავლებელი ხალხისათვის... თეატრი არის საერო სამსჯავრო“.

კოტე ყიფიანი და მისი და ელენე სამოცდაათიან წლებში ქართველ ხალხსანთა არალიგალური მოღვაწეობის მონაწილენი იყვნენ, რის გამოც კოტე ყიფიანი დაპატიმრებული იყო და გორის ციხეში მოიხადა სასჯელი. სახალხო საქმისათვის თავდადებულ მოუწოდებდა ის მსახიობებს. წერდა, რომ „არტისტი—ხალხის მოძღვარია“. თითონ საუკეთესო მაგალითი იყო უანგარო მოღვაწეობისა ხალხის საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ.

როდესაც მუშათა მოძრაობის აღმაშენებლის გავლენით ოთხმოცდაათიან წლებში სახალხო თეატრი შეიქმნა, კოტე ყიფიანმა გამოიჩინა თავისი საუკეთესო მისწრაფება ხალხის სამსახურისა. ის ერთ-ერთი პირველი პროფესიული მსახიობი იყო, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა ამ თეატრს. ამიტომაც იყო, რომ მისი იუბილე 1914 წელს პროფესიულ თეატრთან ერთად ზეიმით აღნიშნა სახალხო თეატრმაც. საიუბილეო საღამოები გაიმართა სახალხო სახლში და ნაძალადევის თეატრში. ამ იუბილეზე ავჭალის აუდიტორიას პირველი მუშას(კენისმოყვარენი სწერდნენ იუბილარს: „... დღეს სახალხო თეატრს სურს მადლობა გადაუხადოს თავის ძვირფას მასწავლებელს, რომელიც მუდამ, ტირილშიც და ლხინშიც. მისი დაუზარელი მოკეთე ყოფილა“.. ასევე მიმართეს იუბილარს ნაძალადევის მუშას(კენისმოყვარენმა: „ქაბუკურის აღფრთოვანებით

მხარში გვიდგქით ნაძალადევის ს(კენისმოყვარეებს. დაუზარელად იღებდით მონაწილეობას აქ გამართულ წარმოდგენებში და თქვენის მაგალითით ჩვენც გვამხნევედით, გვაჩუხებდით“.

კოტე ყიფიანი აქტიურად თანამშრომლობდა პრესაში. ქართულად და რუსულად აქვეყნებდა წერილებს თეატრზე. საერთო საზოგადოებრივ საკითხებზე, სოფლისმეურნეობის გაუმჯობესებაზე და სხ. შეადგინა მეტად საინტერესო ბოტანიკური ლექსიკონი და რუსულ-ქართული სიტყვიარი.

კოტე ყიფიანმა ქართულ თეატრს შესძინა ორი ათეული დრამატული ნაწარმოები, სახელდობრ: „ბედი ქართლისა“, „ბრძოლა“, „განსაცდელი“, „დაკარგული შვილი“, „დატრიალდა ჯარა“, „ივა გურიელი“, „ვახუშტი — საქართველოს სპასალარი, ანუ ქალის სათნოება“, „ნუ თუ არ მოვა“, „უსისხლოდ“, (გადმოკეთებული ა. წერეთლის მოთხრობიდან „ბაში-აჩუკი“), „კოტე დიდიანი.“ ეს პიესები მეტწილად ისტორიული შინაარსისაა და უდავოდ ადასტურებს, რომ კოტე ყიფიანს შესანიშნავად ჰქონდა შესწავლილი საქართველოს წარსული.

არც თავისი ძველი გატაცება-მხატვრობა დაიწყებია კოტე ყიფიანს. სათეატრო მუზეუმში დაცულია მისი ზოგიერთი ნახატი და მის მიერ შესრულებული მეტად საინტერესო ალბომი ქართული მონოგრაფიებისა.

კოტე ყიფიანი გარდაიცვალა 1921 წლის 17 აპრილს. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

ქართველი ხალხი მუდამ დიდი პატივისცემით იხსენიებს კოტე ყიფიანის უანგარო ღვაწლს ქართული თეატრალური ხელოვნების სარბიელზე.

**ბ. გუხნიკაშვილი**

## ილია ზურაბიშვილი

წილანის ქუჩა, ცხრა ნომერი, ორსართულიანი შენობის მეორე სართული მთელ ღამეს ელექტრონის შექით იყო განათებული. დივიდარბაზის კუთხეში, საწერ მაგიდასთან სავარძელში სამი კაცა იჯდა და თეატრის ბედ-იღბალზე საუბრობდა. მოულოდნელად სავარძლიდან ერთი ტანბალი კაცი წამოდგა, როილს სახურავი ახადა და კლავიშები შეარჩა.

— აბა, ჩემო ვანო, ერთი ურძული გვიმღერე მე და ილიას. — უთხრა მშვიდად ზაქარიამ. კლავიშებმა და კანომ ერთდროულად დაიწყეს სიმღერა. სიმღერას სიმღერა მოჰყვა. ამბავს-ამბავი. ვანო მღეროდა არიებს ქართულ ოპერებიდან. ზაქარია როილის კლავიშებზე ხელს ათამაშებდა. ცალი თვალი კი ვანოსაყენებული იყო. სიმღერა გათავდა. აღფრთოვანებული ზაქარია ვანოს გადაეხეცა. ილია, თამბაქოს ბოლში გახვეული, ვანოს გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდა.

— რა არის კომპოზიტორი უმომღერლოდ? — ქალაღზე გადატანილი სანატო ნიშნებია. — ჩილიპარაკა ილიამ და ზაქარიას გადახედა. ამ დროს უცებ ოთახში თმაშევერცხლი ქალი შემოვიდა. ეს ქალი მაკო საფაროვი-აბაშიძე გახლდათ. იქვე, პირველ სართულზე რომ ცხოვრობდა.

— არ გძინავთ, ქალბატონო მაკო. — მორიდებით შეეკითხა ილია.

— რა დამაძინებს, ჩემო ილიკო, როდესაც აქ საოპერო თეატრი ვადმოგიტანიათ. — უბასუბა მაკომ და სავარძელში ნელა ჩაეშვა.

ზაქარიამ და ვანომ მაკოს ნახვით უსახლეროდ გაიხარეს, რეპეტიციები და სიმღერები განაგრძეს. ზაქარია როილა უკრავდა. ვანო თავდავიწყებით მღეროდა.

ეს გრძელეული სიმღერები ილია ზურაბიშვილის მთელ მხატვრულ შემოქმედებას პარპონულად მიჰყვებოდა. ისე როგორც მის თეატრალურ ხარკვებებსა და წერილებს. ეს აღბათ იმიტომ, რომ ილია ზურაბიშვილი თვითონ იყო შესანიშნავი მომღერალი. მოციქვენი და მსახიობი.

ქართულ თეატრალურ და მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში ილია ზურაბიშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც ბრწყინვალე მკვლევარსა და მცოდნეს თეატრალური და მუსიკალური ხელოვნებისა. მას არა მარტო თეორიულად ესმოდა მუსიკა და სიმღერა, არამედ პრაქტიკულადც ღრმად ერკვეოდა, თუ რაში იყო, როგორც თვითონ ამბობდა, „თავისთავადობა“ კომპოზიტორისა, თუ მომღერლისა.

გარდა იმისა, რომ ილია ზურაბიშვილი არის ქართული თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი თეორეტიკოსი, ის, ამავე დროს, მხატვრული სიტუაციის შესანიშნავი ოსტატიაა. რომლის ფილოსოფიურმა ნიუექლებმა, ეკიზებმა და მინიატურებმა აღაფრთოვანეს ილია ქვეყნადე და აკაცი წერეთელი.

ჩვენ აქ ილია ზურაბიშვილის მხატვრული შემოქმედება იმიტომ გავიხსენეთ, რომ არ არის მწერლის არცერთი მოთხრობა, ნოველა, მინიატურა, თუ ესეიზი, სადაც მუსიკაზე, ცეკვასა და სიმღერაზე არ იყოს მსჯელობა და საუბარი.

ი. ზურაბიშვილის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის დროს ქართული მუსიკალური ხელოვნება დაბალ დონეზე იდგა, ჩვენს პრესაში მუსიკის შესახებ შემთხვევითი ხასიათის წერილები და რეცენზიები თუ იბეჭდებოდა. აი, ამ დროს გამოჩნდა გაზეთ „ივერიისა“ და „ცნობის ფურცელში“ ილია ზურაბიშვილის წერილები. რომლებმაც შექმნეს მუსიკისა და თეატრალური ხელოვნების თეორიული დონე.

ილია ზურაბიშვილი ვალარიშვილის შემამულის ოჯახში დაიბადა. ყვარლიდან თბილისში ჩამოსვლისთანავე იგი დაუცემირდა ჩვენ დაღ მსახიობებს ვასო აბაშიძეს, ვალერიან გუნაას, კოტე მესხსა და სხვებს. მათთან ერთად ჩაეკა ქართულ თეატრალურ საქმიანობაში, ვახდა ილია ქვეყნადის „ივერიის“ თეატრალური მიმთხილველი: იქ წერილებს თეატრისა და მუსიკის შესახებ „ინ-ხენის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა, თარგმნიდა პიესებსა და მხატვრულ პროზას. ილია დაუშვებობდა ზაქარია ფალიაშვილისა და ვანო სარაგიშვილს, მის აზრს ყოველთვის დიდ ანგარიშს უწყევდა ზაქარია ფალიაშვილი.

არ რას წერდა იგი ილია ზურაბიშვილს ერთ-ერთ თავის წერილში:

„შმაი ილიკო!

მეტად არ მესიამოვნა, რომ დღეს ვერ შეხსლებ ჩემთან მოსვლას. სწორედ ვითხრა, შენი იმედი მქონდა, რომ დაესწრებოდი „ლატაქარას“ ლიბრეტოს გადათვალერებმა-მოწესრიგებამ, მაგრამ რას იზამ, როცა მოულოდნელად საქმი გამოგჩენია. მაინც თუ რამენაირად ერთი საათით შეხსლებდი მოსვლას, მეტად დამავლებდი.

რასაკვირველია, ლიბრეტოს გამოცემა წესაკიოხავდა. ეს ადვილი საქმიეა. მაგრამ სულ სხვა იქნებოდა, რომ პირადად დასწრებოდი!

შენი ერთგული ზაქ. ფალიაშვილი,  
1925 წელი, 28 მაისი.“

ილია ზურაბიშვილი ზაქარია ფალაშვილის გენიალური ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პირველი შემფასებელი და პროპაგანდისტი იყო. გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ილია ზურაბიშვილის პირად ფონდში დაცულია ეთერის პირველი შემსრულებლის ო. ბახტაშვილ-შულგინას მეტად საინტერესო გამოუქვეყნებელი მოგონება. აი ერთი ადგილი ამ მოგონებიდან:

„შხადადებოდა დასადგმელად პირველი ქართული ოპერა. ოპერის სიუჟეტი, გულამაჩუყებელ ლამაზ ლეგენდაზე აგებული, — უღტრა ქართული იყო...

გენერალური რეპეტიციის დღისათვის სულიერმა დაძაბვამ მწვერვალს მიაღწია. მით უფრო, რომ ერთ-ერთი თავდადებული თაყვანისმცემელი და პროპაგანდისტი ამ ოპერისა — ჩვენი ქართველი სტასოვი — ილია ზურაბიშვილი, რომელიც რეპეტიციებს ესწრებოდა და რომელმაც პირველმა პირველთა შორის გამოამტკანა და შეაფასა ამ ოპერის მშვენიერება, მისთვის და მისი პირველსახისთვის ჩვეული ექსპანსიობით სთესდა ინტერესს ამ ოპერისადმი ქართველი საზოგადოების ყველა წრეში, სადაც კი მისწვდებოდა და გახტრებულ დავას უმართავდა ყველა დაქვევებულს“.

ილია ზურაბიშვილი თავის თეატრალურ ნარკვევებს ახალი ენარის მოთხრობებს უწოდებდა და არც ცდებოდა. მართალია, ამ ნარკვევების მოქმედი პირები ავტორის უახლოესი მეგობრები არიან და ავტორი იზიარებს მათს შემოქმედებითს გამარჯვებას, თუ დამარცხებას, მაგრამ მკითხველი სრულიად ვერ გრძნობს იოტისოდენა მიკერძოებას რომელიმე მიმართ.

1939 წელს ილია ზურაბიშვილმა დაბეჭდა წიგნი „ვანო სარაჯიშვილი“. ამ წიგნს აღტაცებით გამოხებამურენ როგორც სპეციალისტები, ისე მკითხველთა ფართო მასები. ივანე ჯავახიშვილმა აღფრთოვანებულნი წერილი მისწერა ავტორის წიგნის გამოქვეყნების გამო. ახვე დიდი შეფასება მისცა ივანე ჯავახიშვილმა ილია ზურაბიშვილის მეორე წიგნს „ზაქარია ფალაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

ილია ზურაბიშვილის წიგნი „ვანო სარაჯიშვილი“ არ არის ვანოს საოპერო მოღვაწეობის მიმოხილვა და არც მისი შემოქმედების რეცენზია. ეს უფრო დოკუმენტური მოთხრობაა.

მართალია, ილია ზურაბიშვილი თავის წიგნში სიმღერის რთულ ხელოვნებას ეხება, მაგრამ წიგნი მაინც მხატვრული, პროზაული ნაწარმოების მსგავსად იკითხება. მწერალი ძალიან გასაგები, ხატოვანი ენით გადმოგვცემს, თუ რა

იყო ვანო სარაჯიშვილის სიმღერის საიდუმლოება.

შესანიშნავია ი. ზურაბიშვილის „ოთხი პორტრეტი“ (მაკო საფაროვი-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია-ცაგარლისა და ლადო მესხიშვილი), რომელიც ქართული თეატრალურ ხელოვნების ოთხი ბურჯის შემოქმედებას გვაცნობს. თითოეულ მათგანს თეატრის სცენაზე თავისთავადი ადგილი უჭირავს, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით ავტორმა ოთხივე მსახიობი ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა და მხატვრული პროზის ბადალი ნაწარმოები შექმნა.

ავტორმა შეგნებულად უგულვებელყო მათი ნიჭის მაღალფარდოვანი აღწერა, მათ მიერ განხორციელებულ სახეთა რეცენზიებზე. იგი მხატვრული თხრობით გვაცნობს ამ ოთხი დიდი მსახიობის ცოვრებასა და შემოქმედებას.

„ვანო სარაჯიშვილი“, „აბესალომ და ეთერი“, „ოთხი პორტრეტი“ — წერის ტექნიკით, მხატვრული ოსტატობით გვერდს უმშვენიერ მწერლის საუკეთესო მოთხრობებსა და ფილოსოფიურ ნოველებს.

როგორც ვიცით, ილია ზურაბიშვილს არავითარი მუსიკალური განათლება არ მიუღია, მაგრამ იგი საოცარი სმენის პატრონი იყო. დადი შთაგონებით ლაპარაკობდა მუსიკაზე, სიმღერაზე, საოცრად გრძნობდა ილია ზურაბიშვილი ორკესტრს, თითოეულ საკრავს, გრძნობდა დირიჟორის ხელს, დირიჟორისა და ორკესტრის ურთიერთობის პროფესიული შეგრძნობა მდლანდება მის წერილში პირველი ქართველი დირიჟორის, სახალხო არტისტის ივანე ფალაშვილის შესახებ.

ილია ზურაბიშვილმა გამოაქვეყნა კრებული „ხალხის შემოქმედი გენია“. ამ კრებულში მწერლის სხვადასხვა დროს დაწერილი სამი ნარკვევი შევიდა: „ქართული“, „კახური მრავალეამიერი“ და „ურმული“.

ილია ამ წიგნში ქართული ცეკვა-სიმღერის მხატვრული აღწერით არ კმაყოფილდება. იგი მის ეროვნულ გენეზისს იკვლევს, მის ისტორიკოსად გვევლინება.

ილიას შემოქმედებითი მემკვიდრეობა დღევანდელი მკითხველისათვის მხოლოდ ისტორიული მასალა როდია. მაყურებელი მუდამ ეყოლება „აბესალომ და ეთერს“, მუდამ გახანებენ ვანო სარაჯიშვილს, ვასო აბაშიძეს, ლადო მესხიშვილს, ნატო გაბუნია-ცაგარელს, მაკო საფაროვი-აბაშიძეს და არ შეიძლება დავიწყებას მივცეს, არქივის მტვრითი დიფაროს ილია ზურაბიშვილის სახელი. რომელმაც ცხოვლად დაგვიჩაბა მათი თეატრალური და მუსიკალური მოღვაწეობა.

ა.ლ. სიგუა

## ჩემი სოფლის მოამბენი მიხილ ყვარულაშვილი

ჩემს ბავშვურ წარმოდგენაში იოსებ იმე-  
დაშვილი ზღაპრულ დევგმირად მესახებოდა.

როდესაც ჩვენს ოჯახში თუ სოფელ ხაშმის  
გლეხკაცობაში იმედაშვილზე ჩამოყარდებოდა  
ლაპარაკი მას მუდამ დევ-კაცად სახედნენ. თუ-  
ცა მისი ფიზიკური გარეგნობა ამ შედარებას არ  
ადასტურებდა. ჩვეულებრივი, საშუალო ტანის  
კაცი იყო. უფრო ხმელი აგებულებისა და დეკის  
შთაბეჭდილებას სულ არ ტოვებდა. მაგრამ თა-  
ნასოფლელებს, ხაშმელ გლეხკაცობას ასეთი  
შთაბეჭდილება შეეჭმნათ მასზე. რადგან მათივე  
სიტყვებით რომ ვთქვათ — „იგი იყო, გონე-  
ბით ღონიერი, დაუშრეტელი ენერჯის პატრო-  
ნი, დაუდევარი, შეუპოვარი მოღვაწე, ყოვლის  
შემძლე, რომლის ცხოვრების ყოველდღიურობა  
საკეს იყო ხალხზე ფიქროთ. გლეხკაცობაზე  
ზრუნვით. ამიტომაც იყო, რომ ერთი ხაშმელი  
ხალხური მოქმელი ზედმეტ სახელად „ნალია“  
(ნიკა ქიქრაშვილი) ასე ამღერებდა ჩონგურზე:

„... ნეტა როგორც ხაშშია  
მაჩვენა იმის წყვილია,  
ნეტა დევ-კაცსა შამყარა,  
როგორც იმედაშვილი...“

იოსებ იმედაშვილს სოფელ ხაშმის გლეხკა-  
ცობა წარსულშიც და დღესაც დიდი მადლიერე-  
ბის გრძნობით იხსენიებს, როგორც გლეხობის  
გულშემბატკივარს, სოფლის კეთილდღეობისათ-  
ვის თავადადებულ მზრუნველს, საზოგადო მოღ-  
ვაწეს.

იოსები სათავეში ედგა გარეკახეთის გლეხთა  
მოძრაობას. ის იყო აქტიური ხალხოსანი, გამა-  
ნათლებელი, სოფლად ცოდნის და კულტურის  
დამწერგავი, მწერალი, დრამატურგი, რეჟისორი,  
მსახიობი, შესანიშნავი ლექსიკოგრაფი, ყურნა-  
ლისტი, „თეატრი და ცხოვრება“-ს დამაარ-  
სებელი და მისი რედაქტორი. იოსებ იმედაშვი-  
ლი იყო დიდი ოჯახის პატრონი, ექვსი შვილის  
მამა და ამ მძიმე ტვირთს მარტო ეზიდებოდა  
ნამუხის ქედით. არავითარი გაჭირვებისათვის  
ქედი არ მოუხზია და სამარის კარამდე ქართუ-  
ლი ნაბადი კარს უკან უქმად არ აუქუდებია. და-  
დიოდა მხრებგაშლილი და მკერდზე თეთრწვერ  
დაფენილი, ევროპულ ტანსაცმელზე ჭინჭილიანი  
შავნაბად მოხურული, თქვის ქედით, ხელში ყა-  
ვარკით მუტად კოლორიტული ფიგურა.

აი ახლაც, როდესაც მშობლიურ ხაშმში  
ჩავდივარ და ახლოს ვხვდები თანასოფლელებს,  
იოსებ იმედაშვილის თანამედროვე ადამიანებს,  
ქალებს თუ კაცებს, რომლებიც სამწუხაროდ,  
ძალზე ცოტანი-და დარჩნენ, ჩვეულებრივი ტბა-

ლი საუბრის დროს იხსენებენ თავიანთ ახალ-  
გაზრდობას.

მამაჩემი, დავით ყვარულაშვილი, რომელსაც  
სულ მალე 95 წელი შეუსრულდება, ჯერ კიდევ  
ნათელი გონებით მსჯელობს, იგონებს სოფლის  
წარსულ ღუბჭირ ცხოვრებას, აღარებს აწმყოს  
და ფიქრობს მომავალზე. არ ივიწყებს იოსებ  
იმედაშვილის ზრუნვას სოფლისათვის, რომელ-  
მაც, გლეხობის მხარდაჭერით, სოფელს გზა გაფ-  
ყვანა შეიძლო ეპოქურზე კორქიანებში. დააარ-  
სა ბიბლიოთეკა. არ ივიწყებს აგრეთვე დავით  
ნახუციშვილის დიდ ამავს, რომელმაც ხაშმში  
წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი ახალგაზრ-  
დობისათვის საღამოს სკოლა ჩამოაყალიბა. ამ  
სკოლაში ქრატის შექმნე გვასწავლიდა ქართულ  
ანბანას. თუ არა იოსებ იმედაშვილი და დავით  
ნახუციშვილი, იმ დროს ვინ მიგვაყარებდა  
სკოლის კარებს, ამისათვის დიდი მადლობელი  
ვარ მათი, რომ ჩვენი სოფლის გლეხობაში გა-  
ნათლებილა და ცოდნის სხივი შემოიტანეს —  
ანბობს მამაჩემი. — თეატრიც მავთი დაარსეს  
ხაშმზე — შვილო. — იოსები, დავითი, საპა  
ნათიშვილი, დიუკა, ნუცა ნახუციშვილები,  
ნუშო ლაღიძე, აბრამ გოგინაშვილი ისეთ წარ-  
მოდგენებს გვიჩვენებდნენ ხოლმე, რომ ხან გვა-  
ტირებდნენ, ხან გვაიცინებდნენ“.

გასული საუკუნის 90-იან წლების, სოფელ  
ხაშმის სცენის მოყვარეთა წრის წევრებისა და  
სოფლის თეატრის ისტორიით დაინტერესებული,  
გამოვისახებრე ამ წრის ერთ-ერთ ფუძემდე-  
ბელს ოთხმოც წელს გადაცილებულ ნუცა (ნი-  
ნი) ნახუციშვილს. აი რა მიამბო მან:

— „ჩვენს დროში, ვარე-კახეთში, არც ერთ  
სოფელს არ ჰქონია თავისი სცენისმოყვარეთა  
წრე და არც საიმისო შესაძლებლობა გააჩნდაო,  
რომ სახალხო თეატრი შეეჭმნათ. ბევრმა სო-  
ფელმა არც კი იცოდა თეატრის მნიშვნელობა.  
ჩვენში, ხაშმში სცენისმოყვარეთა წრის ჩამო-  
ყალიბებას სათავეში ჩავდგენენ: იოსებ იმედა-  
შვილი, ალექსანდრე (საპა) ნათიშვილი, ჩემი  
ძმები დავით და ლუკა ნახუციშვილები. ჩვენს  
ახალგაზრდა ვაჟებს ამ საქმეში მხარში ამოუე-  
დებით ქალებიც ნუშო (ანა) ლაღიძე, კეკე მა-  
მულაშვილი, ნუცა მარინდაშვილი, მე და ჩემი  
და კატო.“

დიდი ხალისით შევედევით წრის მუშაობას,  
ვაწყობდით გეგმებს, კუთხულობდით და დასაუ-  
გმელად ვარჩევდით პიესებს.

1892 წელს უჩვეულო ცხელი ზაფხული იდ-  
გა. ხმები ვაკრცელდა, რომ აღმოსავლეთის ქვეყ-  
ნებში გაჩენილმა ხოლევრამ ამიერკავკასიასაც

მოაღწია და ბაქოში ამ სენმა დიდი ზიანი მიადანა მოსახლეობას. დამინებული ხალხი ხშირ დასახლებას ერიდება და ქალაქიდან იხიზნებიანო. ამ საშინელი მოვლენის თემაზე, ქართული თეატრის მსახიობ ვალერიან გუნიას, თურმე ერთ მოქმედებიანი კომედია დაუწერია. ქართული თეატრის მსახიობებს ეს პიესა კიდევ უთამაშინათ და დიდი წარმატებაც ჰქონიათ თბილისში. ამ წარმოდგენას ჩვენი იოსებ იმედიშვილი დასწრებია, წარმოდგენა ძალიან მოსწონებია და ბევრიც უტინია.

ჩვენი სოფლის დიდ მოამაგეს იოსებ იმედაშვილს, ეს პიესა ვალერიან გუნიასაგან სანაქაროდ გადაუწერია, ხაშში ჩამოიტანა და მისი დადგმა შემოგვთავაზა.

იოსები ისე ცოცხლად და გტაცებით ყვეზოდა პიესის შინაარსს, რომ ყველას ერთხმად მოგვეწონა. მხარიც დაუჭირეთ და პიესის დადგმაც მას დაევალებო. იმავე დღეს „მსახიობებს“ როლებიც გაგვიჩაწერია და რეპერტიციასაც შევუდღეკეთ. რეპერტიციებს ჩვენი სახლის განიერ აივანზე გავდიოდით.

სოფელში ხმა დაიბნა, რომ „ნაწაველები“ წარმოდგენას მართავენ და „ხოლვერიანობას“ თამაშობენო, ხოლვერობის ამბავი ხაშშელებს დიდი ხანია გავონილი ჰქონდათ და შიშით ძრწოდნენ, რომ ხაშშამდეც არ მოეღწია ამ საშინელ სენს. ჩვენი „ხოლვერობა“ სოფლის მოსახლეობას პირდაპირი მნიშვნელობით გაეგოთ და ხალხი მოგვიგზავნეს, ამ სახითათო თამაშს თავი დაანებეთო. ჩვენ ჩვენი არ დავიშალეთ და რეპერტიციებს განვაგრძობდით. ერთ საღამოს, როცა სარეპერტიციოდ შევიკრიბინეთ, სოფელსა აივანზე ქვები დაგვიშინეს და ფანჯრის მინებზე ჩაგვიღწეეს. მიუხედავად ამისა, ამ სიტყვ პაპანაქებაში რეპერტიციები სარდაფში ვადავიტანეთ და კვირისთვის წარმოდგენაც მოვაგზავნეთ.

კვირა დილას, სოფელში რამდენიმე ადვალას ხელნაწერი აფიშებიც გაეკარით, მაგრამ მოსახლეობამ, კედლებზე გაკრული აფიშები ჩამოგლიჯა. ხამაღლა გაკვიროდნენ: — არ გვინდა მგაითი „თრიატი“, ვარკეთ ევ სალახინები, ევ-ღა გვავალია სოფელში შავი ჰიბი და ხოლვერა გააჩინონო.

„ნაწაველებს“ მოწინააღმდეგეებთან ერთად, მხარის დამკვირიც ბევრი გაგვიჩნდა, განსაკუთრებით და უმთავრესად ცნობისმოყვარე სოფლის ახალგაზრდობა, რომელიც დიდის მოწადინებით გვეხმარებოდა „თრიატის“ მოწყობაში. სოფელში პირველი წარმოდგენის ნახვის ეშხით არაფერს არ თაკილობდნენ და ყველაფერს აყვებდნენ, რასაც იმედაშვილი დაავალებდათ.

იოსებმა და ჩემმა ძმამ დათიკომ სახელდახე-

ლოდ კიდევ დაწერეს ერთი აფიშა და კანცელარიის წინ გააკრეს. აფიშა იუწყებოდა:

... დღეს, კვირას საღამოს, ძველი „მალაზიას“ დერეფანში წარმოდგენილი იქნება ვალერიან გუნიას ერთმოქმედებიანი კომედია:

„ხოლვერობა“

როლებს ასრულებენ:

თავადი იორამი — დავით ნახტერიშვილი.

ვაჰარი დრდატ წყალობინ — ლუკა ნახტერიშვილი  
მაქთაღა კაპრის ცოლი — ნუკა ნახტერიშვილი.  
მაკრინე ქმართან გაყრილი — ნუშო ლაღიძე.

ქრისტეფორე — საშა ნათიშვილი.

ალი-ბალი-მამადი ისკანდრიოლი — მირზა ყული  
შამხორ-ხობორი — იოსებ იმედაშვილი.

მოსიკო მსახური — მიტა კომოძე.

სიკოია იმერელი სასტუმროს მსახური — კოტე  
ნახტერიშვილი.

რეჯისორი — იოსებ იმედაშვილი.

ძველი ყაზარმა — მალაზიის გრძელი და გამჭვარტული დერეფანი საგანგებოდ დავასუფთავეთ. დერეფნის ბოლოს სცენისათვის სახელდახელო ფიცარნავით ავაშლეთ. დეკორაციებად შინიდან მოტანილი ზეწრებით, ფარდაგებით და ავეჯით გავაწყეთ, რამდენიმე ლამისი და ჭრახის შეტევა კვირა საღამოს „ხოლვერობა“ გავითამაშეთ. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. დერეფანში ტევა აღარ იყო. გარეთ დარჩენილნი ქვის სროლით და ლანძღვაგინებით გვიმასპინძლებოდნენ. ეტყობოდა მათურებელს ძალიან მოსწონდა ჩვენი „ხოლვერობა“ — გულიანად ხარხარებდა. განსაკუთრებით კი მოეწონათ ჩემი ძმა ლუკას თამაში თბილისელი ვაჰრის როლში. იოსებ იმედაშვილმა ბაქოელი თათრის განსახიერებით დიდი სიამოვნება მოჰკვარა ჯერ კიდევ გამოუცდელ მათურებელს. მისი უცნაური ჩაცმულობა და ის გრძელი სახელი ალი-ბალი მირზა, ყული-შამხორ-ხობორი, თათრული კილოთი გამოთქმული სიტყვები და უცნაური მოძრაობა ხალხში დაუსრულებელ ხარხარს იწვევდა.

ამ პირველმა წარმოდგენამ ხაშშელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახალგაზრდები სცენაზე შემოგვიტყნენ და გვეუწყებოდნენ მერე კვირასაც ვაგვემართა ასეთი „თრიატი“.

მაგრამ, მოხდა უცნაური შემთხვევა — მეორე დღეს, ორშაბათ დილით სოფელში საშინელი ალიაქოთი ატყდა. ქალების წვილ-კვილი, წყევლა-კრულვა აყრებდა მთელ სოფელს. ხალხი დარბოდა, ერთმანეთს აწყდებოდნენ და გაკვიროდნენ — „ხოლვერა, ხოლვერა“.

რამდენიმე ოჯახში საშინელმა მუცლის ტკივილმა რამდენიმე წუთში წუთისოფელს გამოასალმა ადამიანები. იმ ოჯახს, რომელშიც მიცვალებული იყო, არავინ ეკარებოდა შიშით. მიც-

ვალენტუს სასწრაფოდ მარხავდნენ. დურგალი კუბოების კეთებას ვერ აღდიოდა. და ეს უფრო აძლიერებდა ხალხის სასოწარკვეთას. ნახევარ სოფელზე მეტი ტყეში გაიხიზნა. ბავშვების კვილი ცასა სწვდებოდა. ერთი სიტყვით, ხაშში გლოვის ზარი იდგა. მთელი სოფელი ტროდა, „ნასწავლებს“ წყევლა კრულავს გვითვლიდნენ და სიკვდილით გვემუქრებოდნენ. განსაკუთრებით კი იოსებ იმედაშვილს. რადგან მისი თაოსნობით მოეწყო წარმოდგენა, მან შემოიტანა სოფელში „ხოლვერა“ და ხალხიც ამოწყვიტაო.

სოფლელების მუქარით შეშინებულმა ჩვენმა მშობლებმა კალიშვილები სხენში და სარდფეხში გადამალეს. ჩვენი ბიჭები კი კანცელარიაში დაიხიზნა და იქ თავმოყრილი გუნვობა სხარებებითა და კეტებით უცლდნენ „ნასწავლებს“ საცემად და ჩასაქოლად. მაგრამ ისევ იოსებ იმედაშვილის გამბედაობამ და ქვიანურმა ახსნა-განმარტებამ იხსნა „ნასწავლები“ ბრბოს რისხვისა და თავდასხმისაგან.

აღუქსანდო (სამა) ნათიშვილი თავგამოდებით განუმარტავდა აღლევებულ გლეხებს, რომ ხოლვერის ბაილა ცხელი ქვეყნებიდან გადმოიტანეს ჰაერმა, მტკვრმა, მწერებმა და ფრინველებმა. მაგრამ გლეხებს ეს განმარტება სასაცილოდ არ ყოფნიდათ.

მოუხედავად იმისა, რომ სოფელ ხაშმის სცენისმოყვარეთა წრეს პირველ წარმოდგენას უცნაური დამთხვევით დაუწყია თავისი მოღვაწეობა და „ხოლვერობას“ ასეთი ტრაგიკული ბედი სწევდოდა, ხაშმელ „ნასწავლებს“ ოდნავაც არ შეუძენდებოდათ კულტურული მუშაობა. გლეხობის თეატრით დაინტერესებისა და ვაგითონობიერებისათვის. წარმოდგენებს მაინც მართავდნენ, აიგნებზე, უფრო ხშირად ღია ცის ქვეშ, მიწური სახლის ბანზე და ზოგჯერ კალოებზედაც. მაგრამ, როდემდე შეიძლებოდა ბანდაბან სიარული. და ამ ერთხელ ახალგაზრდა აგრონომს კოტე ნახტურიშვილს აზრად მოსვლია ნამდვილი თეატრის აშენება. ამისათვის მას გაუქმებულნი ძველი ყაზარმა — მალაზიის ერთ-ერთი კორპუსი აურჩევია.

— ეს აზრი არავისათვის არ გამოიხარებოდა, ვიდრე ნათესავ-მეგობრებში არ შევავაროვე საჭირო ფულადი თანხა, რითაც, ვიცი, ვიცი ხე-ტყე. — მიამბობდა უკვე ხანდაზმული კოტე ნახტურიშვილი. — ამის შემდეგ ჩემი სიიღმელოება გვანდებ მხოლოდ დურგალ-ხელისასან კოლა ჩიქიტს. მოვიტანე ხე-ტყის მასალა და დავეყარე „მალაზიის“ უკან. ერთ დღეს, მე და კოლა ფანჯრიდან მალაზიაში გადავდევრით, მთელი მასალა გადავზიდეთ და სცენის აგებას და მათურებელთა დარბაზში იატაკის დაგებას შევუდევით. დარბაზს ირგვლივ შემოვავლეთ ერთი სართული ქანდარა. ამ ორმა კაცმა ისე გა-

ვაკეთეთ ყველაფერი, რომ არც ხალხს, არც სოფლის მამასახლისს არ გაუგია რა, მაგრამ, როდესაც ყაზარმას ქერი ავხადეთ, რომ გისოსები (კალანტიები) აგვეყვანა, ვილცამ მამასახლისთან დაგვახეზა. სოფლის მამასახლისი მეტად მკაცრი მოხელე იყო, რაიმე კულტურულ წამოწყებას მაინცდამაინც პატივს არ სცემდა. ხელს არ უწყობდა, მით უმეტეს თეატრის ხსენება ჭირივით სძულდა. და ამ, როცა მამასახლისმა, თომა ქოქრაშვილმა ქერადახადილი „მალაზია“ და შიგნით გამზადებული სცენა, იატაკდაგებელი ქანდარიანი დარბაზი დაინახა, გაოცებულმა ეს-ლა წარმოთქვა. — „დააპატივრეთ ეს მამაძალები! — მე და კოლა სამი დღით დაგვაპატივრებს და ვასამართლებდასაც გვიპირებდნენ. ამ ხნის განმავლობაში სოფლის ახალგაზრდობამ სასწრაფოდ თბილისში აცნობა იოსებ იმედაშვილსა და დავით ნახტურიშვილს, ისინი, უმაღლესე განდნენ სოფელში და „სოფლის დამკვეთელის“ მამასახლისის ტყვეობიდან გაგვანთავისუფლეს. საქმე ისე მოგვარდა, რომ თეატრის დამთავრების საშუალება მომეცა და 1905 წლის აგვისტოში, ახალ სცენაზე იოსებ იმედაშვილის რეჟისორობით ხაშმის სცენის მოყვარეთა წრემ პირველად დადგა აკაკი წერეთლის „პატარა კახი“, სადაც პატარა — კახის როლს შეასრულეს“ — მიამბობდა კოტე ნახტურიშვილი.

ამ დღიდან დარბაზში შესასვლელი კარის თავზე დაიკიდა დიდი აბრა წარწერით — „სოფელ ხაშმის სახალხო თეატრი“.

ახალი თეატრის სცენაზე წარმოდგენები სისტემატრად იმართებოდა. აქ იდგებოდა, გიორგი ერისთავის „გაყარა“, „ძუნწი“, აქსენტი ცაგარლის „ხანუმა“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ვალერიან გუნიას „და-ძმა“ და ვოდველები. დავით ერისთავის „სამშობლო“, შილერის „ყაჩაღები“, შექსპირის „ვენეციელი ვაჟარი“ და მრავალი სხვა პიესა.

აქვე იმართებოდა გლეხური ხალხური საღამოები, ჩონგურზე გამოირება, გუნდური სიმღერები, სპორტული თამაშობა-შეიკრებანი და სხვა. თუ ადრე გლეხობა „ნასწავლებს“ ქვებს უშენდა ეხლა თვითონ ეხევეებოდნენ „ცენაზე“ გამოყვანას.

ჩემი მშობლებისა და ხაშმელების გადმოცემით ვიცი, რომ იოსებ იმედაშვილს, ხაშმის სახალხო თეატრის სცენაზე, მრავალ ქართულ პიესებთან ერთად, დაუდგამს შექსპირის „ვენეციელი ვაჟარი“, სადაც შეილოკის როლი თვითონ შეუტრულებია. დაუდგამს აგრეთვე შილერის „ყაჩაღები“, კარლ შოროს ასრულებდა საშა ნათიშვილი, ხოლო ფრანც შოროს თვითონ იოსებ იმედაშვილი.

## „ქართული რეჟისორები“

ჩვენ თეატრმცოდნეობის წიგნის თაბო ჯერ-ჯერობით ღარიბულად გამოიყურება, ამიტომ ყოველი ახალი ნაშრომის გამოჩენა გვახტერებს. მით უმეტეს. თუ იგი მაღალი პროფესიული დონით, საქმის ცოდნითა და კეთილსინდისიერით თვალთახედვით, სიმართლით არის დაწერილი.

სწორედ ასეთია ვასილ კიკნაძის ახალი წიგნი — „ქართველი რეჟისორები“, რომელიც ჩვენი თეატრის ხუთ თვალსაჩინო მოამაგეს კოტე მარჯანიშვილს, სანდრო ახმეტელს, ვასო ყუშიანიშვილს, ალექსანდრე წერეთელსა და დიმიტრი ალექსიძეს გვაცნობს.

წიგნი გამოსვლისთანავე გაიყიდა. რაც იმის დამადასტურებელია, რომ ასეთ ლიტერატურას მკითხველი მრავლად ჰყავს. იგი საყურადღებო ნაშრომია არა მარტო ქართული თეატრმცოდნეობის სპეციალისტებისათვის, არამედ ყველასათვის. ვისაც ჩვენი თეატრის ბედ-იღბალი აინტერესებს.

ქართველ რეჟისორებზე საუბარს ავტორი კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობის განხილვით იწყებს. ეს ბუნებრივია. იყო დრო, როცა წარმოდგენები მსახიობი ან ღრამატურგი დგამდნენ. მარჯანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მსახიობები რეჟისორის ისე უცქეროდნენ, როგორც მათი არტიტული თავისუფლების მოძალადეს, როგორც დესპოტს, რომელიც თითქმის არსამეცა მათ მხატვრული შემოქმედის დამოუკიდებლობას“. ასეთი დამოკიდებულების გამო რევოლუციამდელი ქართული თეატრი რეჟისორის ხელის ნაცლებობასა გრძნობდა. ათიან წლებში გამოჩნდნენ პროფესიონალი რეჟისორები, რომლებმაც თეატრის განახლებისათვის ბრძოლა დაიწყეს. მაგრამ სათანადო ნიადაგის მოღმზადებლობის გამო ეს ამბავი მალე შეფერხდა და მხოლოდ საქართველოში კოტე მარჯანიშვილის ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო აღორძინება. ქართულმა თეატრმა არა მარტო იგრძნო დიდი რეჟისორის ხელი, მთლიანად მას დაემორჩილა.

კოტე მარჯანიშვილს ბობოქარი სული ჰქონდა. იგი მთელ სამყაროს სცენიდან უკრეტდა. ტიკინ ტაბიძემ მარტოოდენ ლამაზი ფრაზისათვის როდი თქვა: მისთვის მთელი ქვეყანა ერთი უზარმაზარი თეატრი იყო. ამ ლაკონური ფრაზით პოეტმა დიდი ჰუმანიტება იღალადა. შემოქმედი კაცის ბუნება შესანიშნავად დაახასიათა.

მუდამ ახლის მაძიებელმა კოტემ პოეტის აღ-

ტაცება იმიტომ გამოიწვია, რომ თვითონაც პოეტად იყო დაბადებული. იღონდა თავისი პოეტური ხილვებით იგი სცენას ანათებდა. კოტე — რეჟისორი ისწრაფვოდა თავისი შინაგანი სამყარო მსახიობის წყალობით ხალხისათვის გადაეშალა. თავისი დროის ყველა სატკივარი გაეხსნა, სულს უხილავი თროლვა ამოეხსნა და ამას მიაღწია კიდევ. ქართულ თეატრში მარჯანიშვილის ეპოქა შეიქმნა.

კოტე მარჯანიშვილზე სქელტანიანი წიგნების დაწერა შეიძლება. საამისო მასალა მისი მღიდარი და მრავალშრივი შემოქმედებიდან ბლომად არსებობს. მაგრამ მკვლევარი ყველა მასალას არ გამოიდევენბია. ამ დიდი რეჟისორის ცხოვრება-მოღვაწეობიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი გამოუყვია და გაუანალიზებია. ეს ამბები მან თავისებური გააზრებითა და ახლებური თვალთახედვით წარმოგვიდგინა.

განსაყუთრებული გულმოდგინებით უმუშაუნია ვ. კიკნაძეს სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი პორტრეტის შესაქმნელად. ეს ფაქტორად პირველი მონოგრაფიული ნარკვევია ახმეტელზე.

დაღუბულ მეგობრებს გამოუეცხადათ თანაგრძნობა მათზე ფიქრით და არა დატრიბნითო. — ეპიკურეს ამ სიტყვებით იწყებს ავტორი მძლავრი ნოვატორული სულის რეჟისორზე საუბარს. მაგრამ მისი ფიქრი მარტოოდენ სანდრო ახმეტელზე როდი ჩერდება. იქვე მკვლევარი საერთოდ ქართული თეატრის ბედ-იღბალზე გვაფიქრებს.

ვ. კიკნაძემ ღრმად განჭვრიტა ყველაფერი, რაც ს. ახმეტელის სულში ტრიალებდა. ჩაუყვირა იმ ვითარებას, რაც ამ დაუდგრომელი რეჟისორის ირგვლივ ხდებოდა და ამით იმდროინდელი ქართული თეატრის როგორც კონკრეტული, ასევე ზოგადი მდგომარეობის უტყუარი სურათი დაგვიხატა. რეჟისორის ყველა ჩაფიქრების დედაზარი გაგვაცნო.

ავტორის აზრით, ახმეტელი „იონებობდა, რომ ოდესმე თეატრს წაერთმია რელიგიის გავლენის სფერო. ამ დიდი იდეალებიდან გამომდინარე, როდესაც თეატრს, ქართველი ხალხის ეპოქური და ინტელექტუალური აღზრდის ფუნქციასთან ერთად მისი ეროვნული ფორმების სრულყოფის, შენახვის, განზოგადებისა და საერთოდ მთელი ერის წინამძღოლობის ამოცანა დააკისრა. აი, რატომ შეაღარა თეატრი ეკლესიას. რა თქმა უნდა, ეკლესიას მხოლოდ დიდი, რწმენით შექმნილი მრავალი საუკუნის მანძილზე. თავის აუდიტორიად ჰყოლოდა მთელი სა-



## თეატრალური წიგნის თარო

ქართველო. მეოცე საუკუნის დასაწყისში რელიგიამ თანდათან დაჰკარგა თავისი გავლენის სფერო და ახმეტელიც წაორდ ამ პერიოდში იბრძვის, რათა თეატრს გადაეცეს ეკლესიის აუდიტორია, თეატრმა აიღოს რელიგიის მიერ დაკარგული პოზიციები და თავის ხალხის სულიერი ცხოვრება გამოსახოს.

რწმენის გარეშე შეუძლებელია ცხოვრება. რწმენა აძლევს ძალასა და ენერჯის ადამიანს. იგი იძლევა სიმტკიცეს, გამძლეობას, ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანის სულიერ მისწრაფებებს“.

ეს მხოლოდ ერთი დეტალია. ს. ახმეტელის შემოქმედება-მისწრაფებებთან დაკავშირებათ ვ. კენაძე განიხილავს ძველი თეატრის ტრადიციებთან თანამედროვე სცენური ხელოვნების დამოკიდებულებას, მსახიობის პლასტიკის, წარმოდგენის რიტმის, მუსიკისა და მხატვრობის საკითხებს და ქართული თეატრის ძირითად პრობლემებს.

ფაქტობრივი მასალის ასევე ღრმა გაანალიზებით არის დაწერილი ვასო ყუშიბაშვილის, ალექსანდრე წუწუნავასა და დიმიტრი ალექსიძის შემოქმედებითი პორტრეტები. ავტორი თვალათვლავ გვიჩვენებს თვითველი შემოქმედის ნიშან-თვისებას, რაც მას განსაკუთრებულად გილს ავლენებს ქართული თეატრის ისტორიაში. მკვლევარი მეცნიერულ აზრებს პოეტური დეტალიზაციით გადმოგვცემს, მსჯელობის დროს იმელებს ცოცხალ ამბებს, უშუალოდ ნანახს ან თვითმხილველთაგან გაგონილს, ყველაფერი ეს კი წიგნს ლაღად საკითხავს ხდის. ამით მისი შემეცნებითი ღირებულება კი არ მცირდება. პირიქით უფრო ადვილად ასათვისებელი ხდება, უფრო მკაფიოდ იბეჭდება ჩვენს მეხსიერებაში. ეს არის ვასილ კენაძის წერის სტილის სიეთე.

ხშირად მკვლევარნი თეატრის წარსულის მდგომარეობის გადმოსაცემად, ეყრდნობიან რა პრესაში გამოქვეყნებულ რეცენზიებსა თუ თვითმხილველთა მოგონებებს, მხოლოდ ფაქტებს აღწესხავენ ემპირიულად და არ ანალიზებენ. ვ. კენაძის წიგნი მთლიანად განსხვავდება ასეთი მკვლევარების ნაშრომებისაგან. იგი უბრალო იმფორმატორი კი არ არის, არამედ მოვლენების განმსჯელია. წიგნის მთავარა ღირსება მაინც ის არის, რომ ავტორი თეატრის გუშინდელ დღეს განიხილავს დღევანდელი ქართული თეატრალური ცხოვრების უფრო მკაფიო ანალიზისა და სადღეისო საჭირობოტო საკითხების დასაყენებლად. წარსულის მავალითებს, უფრო კი სუბიექტურ თუ ობიექტურ შეცდო-

მებს განიხილავს თანამედროვე პრობლემების გადსაჭრელად.

ჯერ კიდევ 1922 წელს კ. მარჯანიშვილმა განაცხადა: „ხელოვნება დაიწყო, დაიშალა, დაქუცმაცდა, აღარ არის ძლიერი, მონუმენტური და მთლიანი ხაზები... მომღერალი თავის ვიწრო პროფესიის რკალში კარჯიშობს მხოლოდ, მან აღარ იცის თამაში, არტისტმა არ იცის სიმღერა, მოცეკვავემ კი — არც თამაში და არც სიმღერა. არტისტში უნდა ჰქონდეს ერთმანეთს ხელოვნების მრავალი ხაზი. თეატრი უნდა იყოს განსახიერება სინთეზური ხილვისა. ამჟამად წარმოებს სასტიკი ბრძოლა შინაარსსა და ფორმას შორის. ფორმა თუ შინაარსი ხელოვნებაში? და შეიქმნა ორი უკიდურესობა. ჩემი აზრით, ორივე მცდარია. ხელოვნება ფორმისა და შინაარსის შედეგებია...“

დღევანდელი თეატრისათვის რამდენი საგულისხმო რამ არის აქ თქმული!

ახმეტელს პოეტური ფორმის ტრავიკომედია იტაცებდა. ავტორის ინტერპრეტაციით კომიკურისა და ტრავიკულის ერთიანობა ქმნის ეროვნული კომედის ახალ სახეს, მას თვით ერის ისტორია და მისი ხსიათი განსაზღვრავს. ქართულმა კაცმა საუკუნეების მანძილზე მტერთან ფსიქოლოგიური ბრძოლის თავისებური ფორმა გამოიმუშავა. იგი მუდამ მხნეა და ოპტიმისტურად განწყობილი, რაოდენ შიშვე მდგომარეობაც არ უნდა ჰქონდეს, რაღაც განსაკუთრებულა მისი სიცილი და მხიარულება. მის იკით ხშირად ტრავიკული შინაარსია დაფარული“. ვინა ეს აზრი დღესაც ყურადსაღები არ არის როგორც ქართველი დრამატურგებისათვის, ასევე ქართველი რეჟისორებისათვის? რატომ არის, რომ ქართულ სცენაზე ყველაზე ნაკლებად ტრავიკომედიის ვხედავთ?

ალექსანდრე წუწუნავა ხმალომებული იბრძოდა. რომ საოპერო თეატრი „ეროვნულ რუსებზე“ გადაეყვანა. იგი ამ თეატრში რუსთაველის ენის ღირსებასა და მის პრესტიჟს იცავდა. იგი მსახიობებს ქართული ენის სილამაზისა და მუსიკალობის გრძობას უღვივებდა და „რა სამწუხაროა, რომ ა. წუწუნავის მიერ ნახევარი საუკუნის წინათ წამოყვებული ეს საქმე დაივიწყეს საოპერო თეატრის თანამედროვე მესვეურებმა! თითქოს რაღაც „პროფესიონალიზმში“ ჩაიძირა უაღრესად დიდი ეროვნული ტენდენცია, როგორღაც დაენინდა და დაიკარგა ის მოქალაქეობრივი პათოსი, რომელიც მას პატრიოტმა რეჟისორმა მიანიჭა!“

ვ. კენაძის ეს გულისტკივილი კომენტარს არ საჭიროებს.

„ყუშიბაშვილთან პიესის ფორმა განსაზღვ-

რავდა სპექტაკლის ფორმასაც. მას სძულდა ის რეჟისორები, რომლებიც წინასწარ მოამზადებენ რაღაც აკვიტებულ ფორმას და მას ტომარასავით ჩამოაცემვენ ხოლმე პიესას. ასეთი რეჟისორები კი ცოტანი როდი არიან.“

მართლაც ქართულ თეატრში ყველაზე ძნელად ქართველ დრამატურგებს რომ უჭირთ ფენის შედგმა, განა ამ წინასწარ აკვიტებული ფორმის ძიება არ არის დამნაშავე?

ავტორი განაგრძობს: „ყუშიტაშვილმა ბევრ რეჟისორზე აღრე იცოდა, თუ რა არის მოდერნი ან რა პოპულარობის მოტანა შეეძლო მისთვის, მაგრამ იგი არასოდეს არ წასულა ამ გზით. მან ევროპასა და ამერიკაში იმდენი რამ ნახა, რომ საქართველოში თეატრალური ეფექტის მოხდენა არ გაუჭირდებოდა. ეს კარგად უნდა ახსოვდეთ ახალგაზრდა რეჟისორებს! ყუშიტაშვილი თანამედროვეობას გრძნობდა არა მხოლოდ ფორმებში, არა განსხვავებულ, თავმომწონე რეჟისორულ ტრიუქებში, არამედ თანამედროვე ადამიანის შინაგანი სამყაროს გახსნაში.“

ვ. კიკნაძე სამართიანად კიცხავს ყველა იმ ახალგაზრდა შემოქმედს, რომელიც თავიდანვე დიდების გვირგვინს მოითხოვს. წააკვირდით რართული შემოქმედებითი გზა გაიარა დიმიტრი ალექსიძემ, ვიდრე იგი თავის ქეშმარიტ მოწოდებას მიაგნებდა. „მას ხშირად არ ჰქონია საშუალება ეფიქრა თავის საყვარელ თემებზე, იგი სპარტანული სიმკაცრით იცავდა თეატრის სარეპერტუარო რეჟიმს. თეატრის ინტერესი უპირველესი იყო და მას სწამდა, რომ ახალგაზრდა რეჟისორმა მრავალი წლის დაძაბული და პატიოსანი შრომით უნდა მოიპოვოს „შინაგანი თავისუფლება“ პიესის არჩევაში. ეს კონსერვატიზმი კი არა, იმ ბუნებრივი წინააღმდეგობის ძალაა, რომელიც აწრთობს და აყალიბებს რეჟისორის სულს. ეს ბეწვის ხიდი გაიარა მარჯა-

ნიშვილმა და ახმეტელმაც. ასე გავიდნენ დაღ გზაზე გამოჩენილი მსახიობებიც...“

ასეთი ცხოველყოფილი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. მთელი წიგნი ამ სულით არის დაწერილი. იგი აქტიურად ეხმარება ქართული თეატრის სადღეისო ამოცანებს.

წიგნს რომ ვხურავთ, მრავალი რამ გვაფიქრებს, ერთი რამ კი — განსაკუთრებით. ყუშიტაშვილზე საუბრისას ვ. კიკნაძე თითქოს გაკვრით შენიშნავს: „მას უყვარდა სცენაზე მართალი, ადამიანური ატმოსფერო. სწორედ ეს ადამიანური სითბო და ყურადღება აკლდა მას, ასე მგონია, დაუფასებელი წავიდა იგი... ვერც სხვა ქართველ რეჟისორებს მოვუარეთ ბოლომდე. ყველამ იცის ვ. მარჯანიშვილის ცხოვრების ისტორია საქართველოში. გავიხსენოთ ახმეტელის ბედიც. განა მარტო მარჯანიშვილსა და ახმეტელს შეეხო საძრახი და უშაღური ხელი. იგივე ითქმის ა. წუწუნავაზეც, იგივე ითქმის ყველა რეჟისორზე, ვინც ამ წიგნშია წარმოდგენილი. და ეს მოხდა ჩვენში, სადაც ასე ცოტაა რეჟისორული ტალანტები...“

ეს აზრები არა მარტო გვაფიქრებს, სულსაც გვიფორიაქებს. ქართული თეატრისა და ქართველი რეჟისორების ბედი განა ცალცალკე არსებობს? ეს თავისებური გაფრთხილებაც არის: ნიჭიერ შემოქმედ ადამიანებს მეტი გულისხმიერებით უნდა მოვექცეთ, რომ ისინი ნაადრევად არ დაიღუპონო, რომ მათ თავისი ქვეყნის სამსახური ბოლომდე შესძლონ.

ვ. კიკნაძის „ქართველი რეჟისორები“ ჩვენი თეატრის გუშინდელი და დღევანდელი დღის მრავალ მწვევე საკითხს ეხმარება და ახლებურად აშუქებს. ქართულ თეატრმცოდნეობას საინტერესო წიგნი შეემატა.

ა. რაზველიშვილი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

თეატრი და მისი საბჭო . . . . .	3
გაიოზ იაკაშვილი — თეატრის საერთაშორისო დღე . . . . .	5
თეატრის დღისადმი მიძღვნილი სხდომა . . . . .	6
ლ. ღონღაძე — ილია ჭავჭავაძე „სამშობლოს წარმოდგენაზე“ . . . . .	7
მიხეილ ჭიაურელი — ქართული თეატრის მეგობარი . . . . .	9
ერემია ქარელიშვილი — ქართული ლექსის დიდოსტატი . . . . .	9

### ჩვენი იუბილარები

დავით ჩხეიძე — ცაცა ამირეჯიბი ოთხმოცი წლისაა . . . . .	12
სალამო უვარელში . . . . .	14
კარლო კომახიძე — 25 წელი ფოთის თეატრის სცენაზე . . . . .	15
ვ. შეგისი — შეხვედრა ქართველ მსახიობებთან . . . . .	16

### რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

ია აბულაძე — „სიყვარული სახუმარო არ არის“ . . . . .	17
გ. მეგრელიძე — ოპერის მომღერალი ოპერეტაში . . . . .	18
პ. ხმალაძე — „როცა სიცოცხლე გვეძახის“ . . . . .	17
არჩ. დავითიანი — „ღიახ, ქვეყანა გადაბრუნდა“ . . . . .	21
ევგ. პოპოვა — „ყბაჩამ დაიგვიანა“ . . . . .	23

### სახალხო თეატრებში

აკაკი გენჭაძე — როგორ დაიდგა ჩემი პიესა . . . . .	24
ლ. კაპანაძე — თეატრალური მუზეუმის შენაძენი . . . . .	26

### ღვაწლმოსილთა გახსენება

ნ. ლაშხია — ნატო გაბუნია . . . . .	28
გ. ბუხნიკაშვილი — კოტე ყიფიანი . . . . .	30
ალ. სიგუა — ილია ზურაბიშვილი . . . . .	34
მიხ. ყვარელაშვილი — ჩემი სოფლის მოამაგენი . . . . .	30

### თეატრალური წიგნის თარო

ა. რაჭველიშვილი — „ქართველი რევესორები“ . . . . .	39
---	----

## СО Д Е Р Ж А Н И Е

Театр и его совет . . . . .	3
Г. Якашвили — Международный день театра . . . . .	5
Л. Гонгадзе — Илья Чавчавадзе на спектакле «Родина» . . . . .	7
Мих. Чиаурели — Друг Грузинского театра . . . . .	8
Е. Карелишвили — Большой мастер . . . . .	9

### Наши юбиляры

Д. Чхеидзе — Цаце Амиреджиби 80 лет . . . . .	12
Вечер в Кварели . . . . .	14
К. Комахидзе — 25 лет на сцене Потийского театра . . . . .	15
В. Жегие — Встреча с грузинскими актерами . . . . .	16

### У театральной афиши республики

И. Абуладзе — «Любовь — не шутка» . . . . .	17
Г. Мегрелидзе — Оперный невец в оперете . . . . .	18
П. Хмаладзе — «Жизнь зовет» . . . . .	19
Арч. Давитян — «Да, мир перевернулся» . . . . .	21
Е. Попова — «Кбача опоздал» . . . . .	23

### В народных театрах

А. Гецадзе — Как было поставлено моя пьеса . . . . .	24
Л. Капанадзе — В театральном музее . . . . .	26
П. Лашхия — Нато Габуния . . . . .	28
Г. Бухникашвили — Котэ Кипшани . . . . .	30
Ал. Сигуа — Илья Зурабишвили . . . . .	34
Мих. Кварелавили — Люди моего села . . . . .	36

### Театральная книжная полка

А. Рачвешвили — «Грузинские режиссеры» . . . . .	39
--	----